



ისტორიული მეგავიჭრობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2016 წ. ივლისი, №7(70), ფასი 3 ლარი

21 შოთა
ჩუბინაშვილი
და მისი
ეპოქის
გამოწანა



დავით ჩუბინაშვილი
(1814-1891 წწ.) —
ქართველოლოგი, პირველი
დიდი ქართულ-რუსული
ლექსიკონის შემდგენელი,
ქართული ენის რუსეთში
სწავლების ფუძემდებელი



გიორგი მალაშვილი
(1904-1969 წწ.) —
ქართველ ექიმთა და
ბუნებისმეტყველთა
საზოგადოების (1916 წ.)
პირველი თავმჯდომარე



**ალექსანდრე
თვალჭრელიძე**
(1881-1957 წ.წ.) —
საქართველოში მინერალურ-
პეტროგრაფიულ
კვლევათა ფუძემდებელი

რა გვეუწავლება, რა გვეჭირვება?

ახლა ჩვენი ხალხი სწორეთ დამგზავსა
ისეთს ხალხს, რომელიც ჟამთა
ვითარების გამო აყვანილა და მთვარეზე
გადასახლებულა, სადაც სულ სხვა
ცხოვრების წესია: სხვა ნიადაგია,
სხვა წადილი და სხვა შრომა.
აბა, ამაგივისა სხვა პლანეტიდან
გადმოყვანილს ერს რა ეცოდინება?
...ყველანი ბრმანი შექმნილვართ და
ბრმასავით ნაბიჯის წინ წადგმას
ვშიშობთ, ღრეში არ გადავვარდეთ და
სულ არ დავიღუპოთ. ეს დრო ვერ
გვიცვნია, იმის მოთხოვნილება ვერ
შეგვიტყვია — აი, რა არის უმთავრესი
ჩვენი უძლურება, ჩვენი უბედურება.

ჟურნალი „კრებული“

8

უნიკალური ფულის ერთეული ბრიტანეთის მუზეუმში — დავით აღმაშენებლის მონეტა

26





მოსკოვის უნივერსიტეტი XIX საუკუნის დასაწყისში

სარჩევი

სახელოვანი ქართულები	
■ საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი მეზნეობები	4
ფემეოლაპრუღიანი საკითხაზი	
■ რა გვეუბრაება, რა გვეჩივრაება?	8
უნივერსიტეტის პირველი პროფესორები	
■ ალექსანდრა თვალჭრალიძე — საქართველოში მინერალურ-პეტროგრაფიულ კვლევათა ფუძემდებელი	12
საზოგადო მოღვაწე	
■ ალექსანდრა სიგუა: პლაფიერ მიქალაძის ღვაწლი და აზვები	15
„სელი-სელ საზოგადოება“	
■ შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოწვანა	21
ეს საინტერესოა	
■ უნიკალური ფულის ერთეული ბრიტანეთის მუზეუმში — დავით აღმაშენებლის მონეტა	26
„თერგდალეულები“	
■ მედიცინის მოღვაწენი	27
იუბილე	
■ ილია ახეატელი — 135	33
პრობლემა	
■ პეარის დაბინძურების რეიტინგში საქართველო პირველ ადგილს იკავებს	35
ზარდენი	
■ მოგზაურის თვალთ დანახული საქართველო	36
რა სელმა ააგო	
■ ქველი ქართული სურთმოქვრაება	41
გულოცავთ	
■ ნუნუ გაბუნია — 75	50

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უპკ) 050 (479.22)

ი-892

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები

ქართველი ახალგაზრდობის კავშირი მოსკოვის უნივერსიტეტთან მისი დაარსებიდანვე დამყარდა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საქართველოსა და რუსეთის კულტურულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობას იმ დროისათვის ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა.

მოსკოვის უნივერსიტეტის გახსნის პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდნენ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრენი — პირველი ქართველები, რომლებმაც მოსკოვის უნივერსიტეტთან ურთიერთობა დამყარეს. მოსკოვის უნივერსიტეტისა და მისი გიმნაზიის პირველი ქართველი მოსწავლეები იყვნენ ვახტანგ მეექვსის ძის ბაქარის შვილები, ლევანი და დავითი. ბაქარმა უნივერსიტეტის გახსნისთანავე, 1755 წელს თავისი შვილები ლევანი და დავითი უნივერსიტეტთან არსებულ მოსამზადებელ გიმნაზიაში მიაბარა. ლევან (ლევონ) და დავით გრუზინსკებმა (ეს გვარი ქართველ ბატონიშვილებს ალექსანდრე I მისცა) გიმნაზიაში თავი გამოიჩინეს, როგორც შესანიშნავი ნიჭით დაჯილდოებულმა, მშრომელმა ახალგაზრდებმა. მათ, როგორც ნიჭიერსა და განსწავლულ მოწაფეებს, პატივისცემით ეპყრობოდნენ თვით უნივერსიტეტის რექტორები: ჯერ — არგამაკოვი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ — მელისინო. მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიოგრაფები ლევან ბატონიშვილს მოსკოვის უნივერსიტეტის საუკეთესო სტუდენტთა შორის ასახელებენ. ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში ნათქვამია, რომ ლევან ბაქარის ძე გრუზინსკი იყო საპატიო წევრი მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა. 1755 წელს რექტორ მელისინოს წინადადებით ლევან გრუზინსკი სხვა მოწინავე მოწაფეებთან ერთად პეტერბურგს გაიგზავნა დედოფალ ელისაბედთან წარსადგენად. ელისაბედთან წარდგენილ ახალგაზრდებს გვარდიის კაპრალის წოდება მიანიჭეს. შემდგომში ლე-

ვანმა თავი გამოიჩინა, როგორც მნიშვნელოვარმა და ისტორიკოსმა.

მოსკოვის უნივერსიტეტისადმი დიდი სიმპათიით იყო განწყობილი ლევან და დავით გრუზინსკების ბიძა, ვახტანგ VI მეორე ვაჟიშვილი, ბაქარის ძმა გიორგი ბატონიშვილი. ის ახლო მეგობრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ხოვანსკისთან, დოლგორუკისთან და მათთან ერთად მონაწილეობდა უნივერსიტეტის გახსნაში. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს (1785 წ.) მან უნივერსიტეტს 10.000 მანეთი შესწირა.

გიორგი ბატონიშვილის საჩუქარს დიდი სიხარულითა და მაღლობით შეხვდა მთელი რუსეთის ინტელიგენცია და, რასაკვირველია, თვით უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი. მაღლობის აღსანიშნავად უნივერსიტეტის შენობაზე მიკრულ იქნა მარმარილოს მემორიული დაფა, რომელზეც აღნიშნული იყო გიორგი ბატონიშვილის გვარი, სახელი, ტიტული და მისი ღვაწლი უნივერსიტეტის წინაშე. ამ დაფამ თითქმის 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაუზიანებლად გაძლო უნივერსიტეტის შენობის კედელზე. საინტერესოა ისიც, რომ უნივერსიტეტის ინფორმატორად (თვალყურისმდევნელად) მეფის მთავრობის მიერ დანიშნული იყო ერთი ქართველიც — სიმონ ეგნატაშვილი, ცნობილი დიპლომატი და ქართული საისტორიო-საგმირო ნიგნებისა და ქართული ხალხური ლექსების რუსულად მთარგმნელი. მას, როგორც უნივერსიტეტის ინფორმატორს, ევალებოდა,



დავით ბაგრატიონი
(1767-1819),
მეცნიერი, სამედიცინო-
ბიოლოგიური შრომების ავტორი

თვალყური ედევნებინა მოსკოვის უნივერსიტეტისათვის და შესაფერისი ცნობები მიეწოდებინა გაზეთთა რედაქციებისა და უნივერსიტეტით დაინტერესებულ პირთათვის.

ქართული კულტურის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, ქართველთა მოღვაწეობას პეტერბურგში. ჯერ კიდევ ამ ქალაქის დაარსებამდე რუსეთის მტრებს მამაცურად ებრძოდა ქართველი მეფის — არჩილის შვილი ალექსანდრე ბაგრატიონი (1674-1711), რომელიც დაახლოებული იყო პეტრე პირველთან და სიყვარულით ეზიარა რუსულ კულტურას. პეტერბურგში ქართველი მოღვაწეების საქმიანობა განსაკუთრებით მას შემდეგ შეიქმნა თვალსაჩინო, როცა იქ ჩავიდნენ იოანე, მირიან, დავით, ბაგრატ, ოქროპირ, ილია, ვახტანგ, ფარნაოზ, თეიმურაზ და გრიგოლ ბაგრატიონები. მათთან ერთად პეტერბურგში გადასახლდნენ მათი ახლობელი მნიშვნელები: გაბრიელ რატიშვილი, ნიკოლოზ ონიკაშვილი, სიმონ ტაბი-

ძე, იოანე ბაზლიძე, ვასილ ჭილაძე, დიმიტრი თუმანიშვილი, იონა ხელაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გოდერძი ფირალიშვილი, პეტრე ქებაძე და სხვები, რომლებიც არა მარტო დიდი ინტერესით ეცნობოდნენ რუსეთის კულტურას და აცნობდნენ მას საქართველოს, არამედ თანდათანობით თვითონ გახდნენ მონაწილენი ამ კულტურის განვითარებისა.

საქართველოში გაჩნდა შრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ფილოსოფიაში, მედიცინაში.

ცნობილია დავით ბაგრატიონის ლიტერატურული, ფილოსოფიური, პოლიტიკური, ურიდიული თხზულებანი, მის მიერვე დაწერილი ფიზიკის შემოკლებული კურსი, იოანე ბაგრატიონის (ერეკლე II შვილიშვილი) თავისებური ენციკლოპედია — „კალმასობა“ და სხვ.

ფრიად სასარგებლო მუშაობას ეწეოდნენ: ზედმინეწვით განათლებული, მეცნიერების სხვადასხვა დარგს დაუფლებული, მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა ხელაშვილი, ვახტანგ VI-თან ერთად გადასახლებული ბარათაშვილების შთამომავალი, **პირველი ქართველი ნუმისმატიკოსი მიხეილ ბარათაშვილი (1784-1856); მან პეტერბურგში 1844 წელს რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „ნუმისმატიკის ფაქტები ან ძველი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“.** მ. ბარათაშვილი ერთ დროს იყო საქართველოს სტატისტიკური საზოგადოების პალატის წევრი, ჩრდილოეთის ანტიკვართა დანიის საზოგადოების ნამდვილი წევრი, რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და სხვ. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ პოეტი და მთარგმნელი სოლომონ რაზმაძე (ა. პუშკინის ლექსების ქართულ ენაზე პირველი მთარგმნელი), პეტრე შალიკაშვილი (შალიკოვი) და სხვები.

ქართველი ხალხი იღწვოდა იმისთვისაც, რომ რუსი მკითხველისათვის გაეცნო თავისი მდიდარი ნაციონალური კულტურა. ჯერ



თიმიშურაზ ბაბრატიონი (1782-1846), მეცნიერი, ნაყოფიერად მუშაობდა მედიცინაში

კიდევ XVIII საუკუნეში ერთხანს მოსკოვის უნივერსიტეტის თანამშრომელმა, რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკმა სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილმა (იგნატიევმა) რამდენიმე წიგნი თარგმნა ქართულიდან რუსულ ენაზე. მოგვიანებით მისმა შვილმა, რუსეთის საგარეო საქმეთა განყოფილების ქართული ენის თარგმანმა ნიკოლოზ სიმონის ძე ეგნატაშვილმა ქართულ-რუსული ლექსიკონი შეადგინა.

რუსეთის დედაქალაქში — პეტერბურგში მოღვაწე ქართველმა მწიგნობრებმა და მეცნიერებმა ქართულ ენაზე გადმოიღეს რუსეთისა და ევროპის ბევრი დიდი მოაზროვნის შრომები, შეავსეს და გაამდიდრეს ნაციონალური კულტურის საგანძური არა მარტო ნათარგმნი ლიტერატურით, არამედ ორიგინალური შრომებითაც, რომელთა შორის ბევრი იყო საბუნებისმეტყველო და სამედიცინო ხასიათისაც. **დავით ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, პეტრე კლაპიტონიშვილის და სხვათა მიერ იმ პერიოდში შექმნილ სამედიცინო ხასიათის ნაშრომებმა გარკვეული როლი შეასრულეს ქართული სამედიცინო კულტურის განვითარებაში.**

სოლომონ დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზო-

გადოებრივი და ფილოსოფიური აზრის გამოჩენილი წარმომადგენელია, მან ქართული და, აგრეთვე, რუსული ფილოსოფიური აზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველები რუსეთისა და ევროპის კულტურულ ცენტრებში მნიშვნელოვან სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძველი ეყრება ქართველმცოდნეობას. 1841 წელს ქართულ ფილოლოგიის შესწავლას ხელი მოჰკიდა ცნობილმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ფრანგმა მეცნიერმა მარი ფელისიტე ბროსემ, რომელიც რუსეთში ჩამოვიდა 1837 წელს. ნიკო მარის, ვ. ბარტოლდის, ივანე ჯავახიშვილის აზრით, მარე ბროსე (1802-1880) მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელია რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში.

ქართველოლოგიაში დიდი ღვაწლი შეიტანა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, პარიზის „აზიური საზოგადოების“ და კოპენჰაგენის ანტიკური საზოგადოების წევრმა **პირველმა ქართველმა აკადემიკოსმა თიმიშურაზ ბაგრატიონმა**, რომელსაც მარი ბროსე ასახელებდა ერთ-ერთ მის მასწავლებლად.

1845 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსდა ქართული ენის კათედრა, რომლის გამგედ დაინიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ლექსიკოგრაფი, ცნობილი ქართველოლოგი დავით ჩუბინაშვილი.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილ საფრანგეთის „აზიური საზოგადოების“ (რომელიც 1822 წელს დაარსდა) წევრებად, თიმიშურაზ ბაგრატიონის შემდეგ, მსოფლიოს სხვა სახელმძოვებელ მეცნიერებთან ერთად იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, კალისტრატე სალია, ხო-

ლო 1969 წლის 21 ნოემბრიდან — შალვა ამირანაშვილი, ამავე საზოგადოების წევრი იყო ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ დავით ჩუბინიშვილმა, მარი ბროსემ და ზაქარია ფალავანდიშვილმა 1841 წელს პეტერბურგში გამოსცეს „ვეფხისტყაოსანი“.

ქართველმცოდნეობის ჰორიზონტის გაფართოებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გიორგი XII სასახლესთან დაახლოებული ეგნატე იოსელიანის შვილის, XIX ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსის — პლატონ იოსელიანის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიკოსის — დიმიტრი ბაქრაძის, პროფესორების: ალექსანდრე ცაგარელის, ილია ოქრომჭედლიშვილის (სერებრიაკოვი), ალექსანდრე ხახანაშვილის, მოსე ჯანაშვილისა და სხვათა ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას.

ქართველმცოდნეობის გამდიდრებაში მომდევნო თაობის წარმომადგენლებიდან დიდი ღვაწლი მიუძღვით ცნობილ ფილოლოგს, ენათმეცნიერსა და არქეოლოგს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს და შემდეგ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს — **ნიკო მარს, ივანე ჯავახიშვილს** — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, **ექვთიმე თაყაიშვილს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და სხვ.

მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე სხვა ქართველებსაც. ასე, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში დიდი წვლილი უძევს ფიზიკოს **პეტრე ბაგრატიონს** (1818-1876), რომელმაც თეორიული საფუძველი ჩაუყარა მოცინების მეთოდს ოქროს მეტალურგიაში.

ქიმიის განვითარების ისტორიაში საპატიო ადგილი უკავია ნოვოროსიის უნივერსიტეტის (ოდესაში) დამსახურებულ პროფესორს, სსრკ მეცნიერებათა აკად-

ემიის წევრ-კორესპონდენტს, მ. ლომონოსოვის პრემიის ლაურეატს — **პეტრე მელიქიშვილს**. პეტრე სიახლე აგროქიმიაში შეიტანა ნოვოროსიის უნივერსიტეტის პროფესორმა, ერთხანს ამ უნივერსიტეტის რექტორმა **ვასილ პეტრიაშვილმა**.

გეოგრაფიის დარგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა (1874-1888) **გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი**.

1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს გიორგი ყაზბეგი გახლდათ ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსი. რაზმი ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა და ყაზბეგი ყველა ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისათვის წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით და ოქროს იარაღით დაჯილდოვდა. ბრძოლებში ორჯერ მიიღო კონტუზია და ამის გამო მეორე კლასის დაჭრილებში ჩაირიცხა. ამ ომში გიორგი ყაზბეგის გვერდით იბრძოდა მისი და ელისაბედი, პეტერბურგის სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებული.

1878 წ. რუსეთ-თურქეთის შორის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გიორგი ყაზბეგი ბაქოს 153-ე ქვეითი პოლკის მეთაურად დანიშნეს. პოლკი მაშინ არზრუმში იდგა და მისი მეთაური ამ დროს ქალაქის კომენდანტადაც ითვლებოდა.

1891 წ. გიორგი ყაზბეგი გენერალ-მაიორის წოდების მინიჭებასთან ერთად ვარშავის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად დანიშნეს, შემდეგ იყო ივანგოროდის ციხესიმაგრის კომენდანტი. 1900 წელს გენერალ-ადიუდანტის წოდება მიანიჭეს და კვლავ ვარშავაში გადაიყვანეს ციხესიმაგრისა და მთლიანად გამაგრებული რაიონის კომენდანტად. 1905 წ. ხელმძღვანელობდა პორტარტურის დაცვას და შემდეგ ვლადივოსტოკის კომენდანტად გადაიყვანეს. თუმცა იმის გამო, რომ ამბოხებულ ჯარისკაცებს სასტიკად არ გაუსწორდა და მშვიდობიანად მოაგვარა დაპირისპირება, მთავრობამ ლიბერალობა დასწამა და სამსახურიდან დაითხოვა.

გიორგი ყაზბეგი ნაყოფიერ კვლევით მოღვაწეობას ეწეოდა გეოგრაფიის სფეროში. 1965 წ. ავადმყოფობის გამო, საზღვარგარეთ (როგორც ჩანს, იტალიაში) წასულა სამკურნალოდ. სწორედ ამ პერიოდში მოამზადა და 1867-68 წწ. გამოაქვეყნა ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი **„იტალიელები საქართველოს შესახებ“**.

1874 წ. გიორგი ყაზბეგი კონსპირაციულად, სამხედრო-სადაზვერვო მისიით იმყოფებოდა ოსმალეთის მიერ მიტაცებულ უძველეს ქართულ პროვინციებში — აჭარა, შავშეთი, არტანუჯი, ლივანა, ლაზეთი. ამ მოგზაურობის შედეგად დაწერა ორი ვრცელი ნაშრომი **„სამი თვე თურქეთის საქართველოში“** (რომელსაც რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ვერცხლის მედალი მიაკუთვნა) და **„ლახისტანის სანჯაყის სამხედრო-სტრატეგიული ნარკვევი“**. ტბეთის ეკლესიაში აღმოაჩინა **„ტბეთის სულთა მატეანე“**, რომელიც მდიდარია ისტორიულ-გენეალოგიური მასალით. მოინახულა ხიხანის ციხე, ოპიზა და პარხალი. გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს ეკუთვნის **„თერგის ოლქის სამხედრო-სტატისტიკური აღწერა“**.

XVIII საუკუნის 30-80 წლებში პეტერბურგში მუშაობდა **რუსეთის პირველი გეოდეზისტი, მეცნიერი, ლიტერატორი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე** (მუშაობდა სამხედრო იურიდიული კოლეგიის წევრად, ჰქონდა სახელმწიფო მრჩეველის ხარისხი) **დიმიტრი ციციშვილი**.

დიმიტრი ციციშვილი სამეფო სახლთან დაახლოებული პირი იყო. მას მოსწონდა მეფე ბაქარის და. ვახტან VI-მ ანდერძით განსაზღვრა ქალიშვილის დიმიტრიზე გათხოვება. ჭაბუკ თავადიშვილს სურდა, რაიმე მნიშვნელოვანი და ღირსახსოვარი ეძღვნა მეფე ბაქარისათვის — მომავალი ცოლის ძმისთვის. ამ მიზნით **თხუთმეტი წლის ასაკში გერმანულიდან ქართულად თარგმნა არითმეტიკის სახელმძღვანელო, რომელიც თვით მთარგმნელის მიერ გადაწერილია წერილი, მხედრული,**

ლამაზი კალიგრაფიით. წიგნი პატარაა, ნაწერია თეთრ ქაღალდზე, ჩასმულია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში და მოიცავს 64 ფურცელს. ეს ავტოგრაფი დაცულია კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. სავარაუდოდ, აღნიშნული თარგმანი ხელნაწერებად არ გაუმრავლებიათ. ირკვევა, რომ სახელმძღვანელო თარგმნილია 1736 წელს ვახტანგ VI გარდაცვალებამდე. წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არითმეტიკის ეტიმოლოგიას და საგნის შემადგენელი ნაწილების განსაზღვრას. სახელმძღვანელო დატვირთულია უცხო ტერმინებით და ეს მისი გაუვრცელებლობის ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო.

მოგვიანებით დიმიტრი ციციშვილმა რუსულ ენაზე შექმნა ორიგინალური პრაქტიკული გეოდეზიის სახელმძღვანელო. საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და თანამშრომლობდა მოსკოვში ქართული სტამბის დამაარსებელ ათანასე თბილელთან. დიმიტრი ციციშვილი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას და გამოსაცემ ქართულ წიგნებს შესაბამის უცხოურ ძეგლებთან ადარებდა.

XIX საუკუნის დასაწყისში მოსკოვში მოღვაწეობდა ქართველი მშენებელი იაგორე ჭელიძე (ჩელიძე). იგი იყო მოსკოვის გენერალური მინათმზომი (1801 წლიდან), მოსკოვის 1812 წლის ხანძრის შემდეგ შექმნილ მშენებლობის კომისიის მხაზველობითი განყოფილების დირექტორი (1817 წლიდან). მან დიდად შეუწყო ხელი დანგრეული მოსკოვის დაგეგმარებასა და აღდგენას. **ი. ჭელიძემ გამოიგონა ცემენტი, რომელიც წყალში მკვრივდება ცემენტი დღემდე.**

მიხეილ გარსევანიშვილი (გარსევანოვი) იყო კავკასიის სამოქალაქო ნაგებობათა და გზატკეცილების მშენებლობის მთავარი ინჟინერი, ხოლო 1883 წლიდან 20 წლის მანძილზე პეტერბურგის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორი. მისი ვაჟი საბჭოთა კავშირის მეცნიერე-

ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ნიკოლოზ გარსევანიშვილი (1879-1950) სალმშენებლო და ჰიდროტექნიკის დარგის ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი ახალი მეცნიერების — გრუნტების მექანიკის თეორიული საფუძვლების ერთ-ერთი შემქმნელი და ფუძემდებელია მსოფლიოში.**

მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა დიდი სპეციალისტი იურისპრუდენციაში, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, ორდინარი პროფესორი, რუსული თეატრის გამოჩენილი მსახიობის სილა ზანდუკელის (სადუნოვი, 1756-1820) უმცროსი ძმა **ნიკოლოზ ზანდუკელი, რომელიც ორჯერ იყო არჩეული ეთიკურ-პოლიტიკური ფაკულტეტის დეკანად და ორჯერ ასრულებდა მოსკოვის უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობას.**

იაგორე ჭილაშვილი (ჩილიევ) რუსეთში XIX საუკუნის დასაწყისის განათლებული მოაზროვნე, გამოჩენილი იურისტი, პროკურორი, სოციოლოგი, მართლმსაჯულების თეორიის დემოკრატიული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი და დეკაბრისტების ერთ-ერთი იდეური წინამორბედი.

სერგი ლაზარეს ძე ბიბილური (ლაშქარიოვი, ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთში გადასახლებულ ლაზარე გრიგოლის ძე ბიბილურის შვილი) ეკატერინე II ეპოქის (XVIII ს.) რუსეთის ნიჭიერი დიპლომატი და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი **ალექსი წერეთელი** (ცერეტელოვი) მოღვაწეობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტში და იყო თავისუფლების მოყვარე ბულგარელი ხალხის დიდი მეგობარი.

XVIII-XIX საუკუნეებში ქართველი მოგზაური, კომერსანტი და დიპლომატი **რაფიელ დანიბეგაშ-**

ვილი იყო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რუსეთის იმპერიის პირველი ადამიანი, რომელმაც იმოგზაურა და აღწერა ბირმა (პეგუს სამეფო), ინდოეთის ქალაქები და სხვ. მან 5 მოგზაურობაში გაატარა 28 წელიწადი, ცხენით და ხომალდით გაიარა დაახლოებით 70.000 კილომეტრი, შეისწავლა და აღწერა 10-ზე მეტი სახელმწიფო, მათი ხალხი. მან ქართულ, რუსულ (ქ. მოსკოვი, 1815 წ.) და ფრანგულ ენებზე გამოაქვეყნა თავისი თხზულება „მოგზაურობანი ინდოეთში“; 1970 წელს ქ. მოსკოვში „მოგზაურობანი...“ გამოიცა რუსულ, ჰინდის და ინგლისურ ენებზე. მის მამას, იოსებ დანიბეგაშვილს, XVIII საუკუნეში მოუწევია ორი მოგზაურობა ინდოეთში.

დიპლომატი, მოგზაური, მწერალი გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი მუშაობდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში საიდუმლო მრჩეველად. 1819-1820 წლებში მან 7 ქართველ ვაჟკაცთან ერთად იმოგზაურა თურქეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში. ეწვია და ესაუბრა ეგვიპტის ფაშა მაჰმედ ალის და სხვა გამოჩენილ სახელმწიფოთა მოღვაწეებს. მოგზაურობის დროს ნახული, განცდილი შთაბეჭდილებანი აღბეჭდა თხზულება „**მგზავრობაში**“, რომელსაც დაურთო საკუთარი ხელით შესრულებული გეოგრაფიული რუკა და საინტერესო ადგილების ილუსტრაციები. გ. ავალიშვილის ეს ხელნაწერი სათანადო განმარტებებით გამოიცა პროფ. ე. მეტრეველის რედაქციით.

P.S. საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ამ მეცნიერთა წვლილი უდავოდ დიდია ქართული მეცნიერების თუ კულტურის განვითარებაში. ნათელია, რომ ისინი შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, რათა ქართული საქმე ეკეთებინათ. მათ იქ თავიანთი „პატარა საქართველო“ ჰქონდათ, საიდანაც „დიდ საქართველოს“ აღიერიებდნენ. მათი დამსახურებით საქართველოში გაჩნდა შრომები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, ფილოსოფიაში, მედიცინაში.

რა გვეუბლება, რა გვეჩივრება?

ისტორია მეორდება, ბევრჯერ უთქვამთ. ალბათ, იმიტომ, რომ ადამიანი ნებისმიერ ეპოქაში ერთნაირია — ისევე უყვარს, ისევე სძულს, მოსწონს და ქმნის ან ანადგურებს... პუბლიკაცია, რომელსაც ქვემოთ წაიკითხავთ, 1871 წლის ჟურნალ „კრებულის“* (№5) მონივნად სტატიან. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოეჩვენოს მკითხველს, ბევრ ადგილას უნებლიეთ დაგავიწყდება XIX საუკუნის 70-იან წლებზე რომაა ლაპარაკი და არა დღევანდლობაზე. როგორც ჩანს, ისტორია მართლაც მეორდება, ადამიანებმა კი წარსულის გამოცდილების გააზრება და გათვალისწინება, სამწუხაროდ, ვერ ისწავლეს. კითხვები — რა უშველის ჩვენს გაჭირვებულ საზოგადოებას, რა წამალი განკურნავს იმის ახლანდელ უძლურ მდგომარეობას? რა არის უმთავრესი ჩვენი უძლურება, ჩვენი უბედურება? — ახლაც მწვავედ დგას ქართველი საზოგადოების წინაშე.

„ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროდგან, როცა დიდებულმა რუსეთმა თვის საფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან და უწყნარებელი ბრძოლით აკლბულნი, მისუსტებულნი და თავ დაკიდებულნი უნუგეშობით. ამას შემდეგ გაცარცვულმა ქვეყანამ შეისვენა. ჩვენმა მფარველმა რუსეთმა განიზრახა მთელი კავკასიის დამორჩილება. კავკასიის მახმადიანობა ადგა თავის დასაცველად და ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, ჩვენმა ქვეყანამაც მიიღო მონაწილეობა. რუსეთთან საქმე გაიზიარა; დადგა სამხედრო პერიოდი. ერთი მხრით აფიცრობა შეიქნა ჩვენ უპირველესს დანიშნულებათ და მეორეს მხრით სამოქალაქო სამსახური, ესე იგი კანცელარიული საქმის წარმოება. ორივე ხელობის კაცები საზოგადოთ შეადგენდნენ ჩინოვნიკობას, რომელშიაც იწყო განსაკუთრებით სახელმწიფო ჯამაგირით ცხოვრება და უწინდელ ოჯახობის თადარიკზე. როგორც უსარგებლოზე, ისე ხელი აიღო. ვინც უფრო მარჯვე იყო ლეკებთან და მთიულ ხალხთან ბრძოლაში, ამასთანავე, ვინც უკეთ იცოდა რუსული, ის უფრო ბევრს ჯამაგირს იღებდა; ვინც უფრო დახელოვნებული იყო რუსულად ქალაქის წერაში, ვინც

უფრო მალე გაეჩვეოდა კანცელარიურს საქმის წარმოებას, იმას უფრო ბევრი ჯამაგირი ეძლეოდა. თფილისი შეიქნა მთავრობის წერტილი. რუსეთიდან მოვიდა ჩინოვნიკობა, საიჭვო ზნეობის და ცოდნისა (კარგი პირველად უცხო-უცნობ ქვეყანაში ვინ წამოვიდოდა?). მთავრობა იმათ აძლევდა დიდს ჯამაგირს, ოღონდ ვისმე გაებედნა ახალს მხარეში წამოსვლა. ამ სახით გაჩნდა ისეთი საზოგადოება, რომელსაც არ ჰქონდა საფუძვლიანი ცხოვრების შესწავლა, ნამდვილი ევროპული მეცნიერება. დიდი ჯამაგირი მდიდრულად ცხოვრების ნებას აძლევდა და ამის გამო შემოვიდა საშუალებაზე მომეტებული ხარჯვა. ჩვენმა ერმა რომ ეს განცხრომა ჰნახა, იმის გარეგანი მშვენიერი სახე მოეწონა. მდიდარი მხედრული მუნდირი, მშვენიერი სახლის მორთულობა, ევროპულს წესზე ხშირად ბალი და ვეჩერები, ევროპული ფარჩები ტანსაცმელად, ევროპული, მეტელი სახლის სამკაულად, ევროპული სტოლი და მაზედ მშვენიერი მუზიკა საზოგადო შესაქცევად ვის არ შეაყვარებს თავს? მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ რომ ესენი

დაინახა, მაშინვე აღტაცებით წამოიძახა: აი, ბედნიერი დროება: როდის იქნება, რომ ჩვენი შვილები აფიცრებათ გახდნენ, ჯამაგირი ეძლეოდეთ და როგორც ქალაქში მაღალი ჩინოვნიკობა, ისე დაიწყონ ცხოვრებაო. მართლაც ჩვენმა საზოგადოებამ იწყო თავის შვილების კორპუსებში გაგზავნა, მდიდარი ევროპული ცხოვრების გემო გაიცნო, თუმცა იმისთვის არც გონებით და არც საშუალებით გამზადებული არ იყო. ნატრობდა იმ წესზე ცხოვრებას, მაგრამ ფული არ ჰქონდა. ამდროს გაიხსნა ქალაქში პრიკაზი იმ განზრახვით, რომ ვისაც ფული სჭიროდა თავის ოჯახობის გასაუმჯობესებლად, იქითგან შესძლებოდა გამოტანა. ფულის უნახავს ერში ფული დატრიალდა. გონიერი კაცი იქვე იფიქრებდა, ამას კარგი შედეგი არ ექნებაო. მართლაც წამოიძარათ თფილისში და სოფლად სამეტაჟიანი შიგნით ევროპულ წესზე გამართული სახლები, დაიკრა შიგ მუზიკა, ქეიფი და შექცევა ერთმანეთზე მიყოლით. ადგილ-მამულები პრიკაზში დაგირავდა და იქიდგან გამოტანილი ფული კი ჩაბარდა ქალაქის ვაჭრობას. ქვეყანა ჩინოვნიკობით აიძსო. ამდროს მოინია აღმოსავლეთის ჩხუბი, რომელმაც რუსეთს უჩვენა ახალი გზა ცხოვრებისა. შემოვიდა რუსეთში გონიერი ცვლილება. ბატონ-ყმობითი დამოკიდებულება მოიშალა. სახელმწიფომ სცნო, რომ ქვეყნის კეთილმდგომარეობას ყოველი კაცისგან გონიერი შრომა თუ ხელს შეუწყობს, თორემ სხვა არაფერიო. დამყარდა სამოსამართლო ცვლილებაც. ამ ცვლილებამ მოითხოვა ნამდვილად განათლებული გონებაგახსნილი ახალ თაობა. ყველა ზემოხ-

* ჟურნალი „კრებული“ ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით გამოდიოდა 1871-1873 წლებში, მისი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი.

სენებულნი ცვლილებანი, რასაკვირველია, ჩვენშიაც გადმოვიდა.

ამ ცვლილებებმა მოითხოვა ჩვენგანაც ახალი გონება გახსნო, ჭეშმარიტად განათლებული და ახალ საქმეში დახელოვნებული თაობა. ამისთანა კაცები რუსეთშიაც ცოტა გამოჩნდა, თორემ ჩვენში სად იქნებოდა? დადგა ისეთი დრო, რომ ყოველს კაცს მოეთხოვა იმის საკუთარი ჭკუით და ხელით ცხოვრება.

მაშ, როგორი პირით შეხვდა ჩვენი ერი ახალს დროს და იმის ახალს მოთხოვნილებას?

ჩვენი საზოგადოება იყო შემდგარი ახალი და ძველი თაობისგან. ძველი თაობა შეადგენდა უწინდელს მებატონეს, რომელიც რჩებოდა ყმის მუშაობით, ოჯახობაში ყოველივე უფულოთ უკეთდებოდათ. იმან იცოდა მხოლოდ მისდამი ყმების მოვალეობა. ყოველწლობით ბელეებს და სასიმიდებს ივსებდა ყმების შრომით. ამის გარეშე სხვა ცხოვრების საშუალება არც არა სცოდნია და ვერც არას მოახერხებდა. როდესაც შემოვიდა ახალი ცხოვრების წესი, მომეტებული ხარჯი, მაშინ მამული პრიკაზში შეიტანა, ფული კი მალე მიფლანგა. დარჩა ვალით სავსე და ამ დროს ყმების განთავისუფლებაც შემოესწრო. წარმოდგინეთ იმის მდგომარეობა ყოველ ღონისძიებას მოკლებული და ყელამდის ვალში ჩასმული! ამისთანა მოვლენამ ის საშინლათ შეარყია. ვინც ძალიან მოხუცებული იყო, ყველას დავლა დაეცა; სხვები კი დარჩენ არაქათნართ-

მეულნი, ამ ჟამათ სიღარიბით დაცემულნი და მომავალზე უიმედონი. აი, ძველი თაობა ასე შეხვდა ზემოხსენებულს ცვლილებებს.

ახალმა თაობამ რაღა ქნა? — ახალი თაობა, ვისაც კი რამე ესწავლა, ყველა შეადგენდა ჩინოვნიკობას, რომელნიც მხოლოდ ჯამაგირით ცხოვრებდნენ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში; მაგრამ მხედრობასაც თავის საქმე გამოელა, მხარე დამშვიდდა. სამხედრო სამსახურში ჩინოვნიკობა მომეტებული შეიქნა; ზოგი იძულებული იყო უალაგობის გამო სამსახურისთვის თავი დაენებებინა და ძველს თაობას გვერდით ამოუდგა. ვინც სამსახურში დარჩენ, იმათაც, მომეტებული ხარჯის გამო, ჯამაგირი აღარ ეყოთ. სამოქალაქო ჩინოვნიკებიც იმ ორი გრომის ცოდნით, რომელიც თავის დროს შეეძინათ, ახალ სამოსამართლო და საგამგებო ცვლილებაში ველარ გამოდგენ, ოჯახობაშიაც გამოუდგარნი დარჩენ, ამიტომ რომ ფული და მოხერხება არ ჰქონდათ. ამ სახით როგორც ძველი, ისე ახალი თაობა ჩვენი საზოგადოებისა დარჩენ რიყზე. ორივე ვალეზავსებულნი, ფულის უქონელნი, ცოდნა მოკლებულნი და ოჯახისთვის გამოუდგარნი.

მაშ განვიმეოროთ: რა პირით შეხვდა ჩვენი საზოგადოება ახალს დროს და იმის მოთხოვნილებას?

— **ის შეხვდა ახალს დროს და იმისგან მოხდენილს ცვლილებას ყოვლად მოუზადებელი და უნეგეშოთ. იმას არც ცოდნა აქვს,**

არც ნივთიერი საშუალება. იმათში ორი სამი კაციც არ გამოირჩევა ისეთი მცოდნე და დახელოვნებული, რომ რაიმე კეთილი საქმე იფიქროს საზოგადოებისთვის. ამას გვიმტკიცებს ბანკის გაუმართელობა აქამდის.

მაშ, რა უშველის ჩვენს გაჭირვებულს საზოგადოებას, რა ნამალი განკურნებს იმის ახლანდელს უძლურს მდგომარეობას?


აი, ჩვენ გვსურს, ნათლათ წარმოვსთქვათ ამის პასუხი.

ჩვენი ძველები რომ ბევრათ მოხერხებული იყვნენ თავის დროისთვის, ვინამც ჩვენ, ამის მიზეზი ბევრია. უმთავრესი კი ის არის, რომ ისინი დიდი ხნიდგან ჩაყენებული იყვნენ თავისებურს წრეში. იმათმა ისტორიულმა ცხოვრებამ დიდი ხნიდგან მოიმკო თავისებური ჩვეულება, წესი თითოეული კაცის წადილი ცხოვრებაში და იმის დანიშნულება. ყოველმა დედამ წინათვე იცოდა, როგორი უნდა ჰყოფილიყო მისი შვილი, რა ღონე და მოხერხება უნდა ჰქონოდა ვაჟკაცობაში, რომ თავის ტოლამხანაგში პატივცემული ყოფილიყო და მამა-პაპის სახელი არ შეერცხვინა.

შთამომავლობა ერთი მეორის ზედ მიყოლებით იზადებოდა და კვდებოდა; მონიფულებაში შედიოდა და მოხუცდებოდა სულ ერთი და იმავე განზრახვის ასასრულებლათ. რა იყო ეს განზრახვა? — მემამულეს კარგათ მოეხმარა თავის მამა-პაპეული, თავის ყმები რიგზე ემუშავებინა, მომეტებულათ არ შეევიწროებინა ისინი, სახნავ-სათესი მიწები თავ-თავის დროზე ეხნა და ეთესა, თავის დროზე ჭირნახული მოპკრიფა, ოთფეხი ემრავლებინა და ბრძოლაში ვაჟკაცობა გამოეჩინა. იმას ხელში ეჭირა თავის მამა-პაპეული: ხვნათესვით მოჰყავდა პური, აშენებდა საქონელს: ხარ-კამბეჩს, ძროხას, ცხვარს და იკეთებდა იმის მატყისგან ტან-საცმელს. სარწმუნოებაზე იყო მტკიცეთ, სახარების სიტყვა ჰქონდა მაგალითად ცხოვრებაში და თუმცა ისე არ იქცეოდა, მაგრამ ეშინოდა მა-

რა პირით შეხვდა ჩვენი საზოგადოება ახალს დროს და იმის მოთხოვნილებას?


— **ის შეხვდა ახალს დროს და იმისგან მოხდენილს ცვლილებას ყოვლად მოუზადებელი და უნეგეშოთ. იმას არც ცოდნა აქვს, არც ნივთიერი საშუალება. იმათში ორი სამი კაციც არ გამოირჩევა ისეთი მცოდნე და დახელოვნებული, რომ რაიმე კეთილი საქმე იფიქროს საზოგადოებისთვის. ამას გვიმტკიცებს ბანკის გაუმართელობა აქამდის.**



დასრულებული ყმანვილი კარგათ დახელოვნებულია მხოლოდ ფაბრიკებისთვის და ზავოდებში, რომელნიც ჩვენ სრულებით არ მოგვეძევა და იმათ დაწყებას დიდი ფული უნდა მეურნეობის აკადემიაში გაზდილი ყმანვილი განვითარებულია განსაკუთრებით ოჯახობაში, იცის ადგილმამულის შემუშავება ევროპიულს წესზე, მრავალ-გვარი ოჯახობის დაწყება და ფეხზე დაყენება, თუ ფული ექნა. ამ ზემოხსენებულს სასწავლებლებში გამოსულნი იმდენათ განვითარებულნი და გართულნი არიან მართო თავის ხელობაში, რომ გარეშე იმისა სხვა არა ეცოდინებათ რა და თუ თავის ხელობაში ვერ იმოვნეს ალაგი ისეთივე ულონონი და მოუხერხებელნი რჩებიან, როგორც კორპუსში გამოსულები. ისინი მხოლოდ თავის განკერძოებულს საქმეს ჩასჩერებიან და სხვა საქმიანობა, საზოგადო საქმის ყურისგდება, ახალი მოთხოვნილების, ახალი დროს გარჩევა, თუ ერთ საქმეში ვერ იხეირეს, მეორის ხელის მოკიდება არ შეუძლიათ. ამას გარდა იმათ უნდა ჰქონდესთ უეჭველათ კაპიტალი. უამისოთ ისინი ქვეყნის გამოუდგეარნი ხდებიან და სადაც ფაბრიკები და ზავოდები ბევრი იქნება, იქ გასწევენ სამუშაოთ. მაშასადამე თუ ჩვენში ფეხი ვერ მოიკიდეს, საზღვარს გარეთ წავლენ. დურგალს თუ შინ არ ექნა სამუშაო, ქალაქში წავა. იმათი საქმეც ასეა.

უნივერსიტეტი კი სულ სხვა რიგზე ზრდის ახალგაზრდობას. თვითონ სახელი უნივერსიტეტი (universitas — საქვეყნო, საყოველთაო) აჩვენებს, რომ იმაში გამოზრდილს ყმანვილს ყოველ საქმეში თვალი აქვს ახელილი, ყოველს საქმეს გონება უწვდება და ცხოვრების მოთხოვნილების გაგებაში განსაკუთრებით გონებაფხიზელია.

უნივერსიტეტის მონაფე არაფერ მეცნიერებაში თავით ფეხებამდის არ არის ჩაფლული, მაგრამ ყოველს მეცნიერებას, ყოველს საზოგადო და კერძო საქმეს ზევიდგან დაჰყურებს. რასაც უნ-



**ნაფიქილი ახალი თაობა მაჟინ გაჩნდა,
როდესაც ის დაბადებულანვე დაჰაჰასებადის
თავის ქვეყნის ჰაერში, გაჩაგობაში გაიქოვლა,
ქარგათ შიისწავლის იმის კანონებს და თან
მაღალი სწავლას მიეცემა საუბლიანათ
სსოვრების გასაჩხრაქათ და ნაფიქილი
ლონისქიების მოსახეარებლათ, რომ გოლოს
მაინს გაგოვიდეს ახლანდელი გაჭირვებულან.**

და მოჰკიდოს ხელი, ყველას მოკლესხანში იგებს და ყველაფერში ოსტატი ჰხდება.

უნივერსიტეტის კურს დასრულებული ორის სამის წლის განმავლობაში, თუ მოინდომა, შეუძლიან გახდეს საუკეთესო მეურნეობის მეცნიერი, საუკეთესო ინჟინერი, საუკეთესო ტექნოლოგი და სხვ. ევროპაში მაგალითებით დამტკიცებულია, რომ პირველი კაცები ყოველ ხელობაში და მეცნიერებაში სულ უნივერსიტეტები ყოფილან და არიან.

ამას გარდა უნივერსიტეტი ზრდის ისეთს ახალგაზრდობას, რომელსათ სისხლში აქვს გამჯდარი საზოგადოების სიკეთის წადილი. ის ჩვეულებრივის გონების სიფხიზლით ადევნებს საზოგადო საქმეებს თვალს და სადაც გასაჭირია, იქ ეტანება.

რომელს ქალაქშია ც უნივერსიტეტი, ის ქალაქი ჰხდება ყოველს საქმეში და წინაურებული, იმის მცხოვრებლებს ემატებათ ცოდნა და გონების სიმკვირცხლე, პატიოსნური მოქმედება მრავლდება, ზნე მაღლდება.

ამას გარდა, როგორც რომელიმე საკვების მცენარის საზრდოთ შემოღება, მაგალითად, კართოფილის ან სიმინდისა, ამრავლებს იმ მხარეში კართოფილის ან სიმინდის თესვას — ყველა ცდილობს ეს მცენარე გააშენოს, ამიტომ რო კარგი ფასი დაედება, რადგან ყველა იმის ჭამას ეჩვევა — უნივერსიტეტიც სწორეთ ამავე გვარათ ამრავლებს მხარეებში გიმნაზიებს და დაბალ სასწავლებლებს თავისი პანსიონებით.

უნივერსიტეტში შედიან გიმნა-

ზიის კურს დასრულებულები. მაშასადამე, უნივერსიტეტის გახსნით, უეჭველათ ეს სასწავლებლებიც უნდა გამრავლდეს მხარეში, რადგან ყოველ წლობით ასს და ორასს გიმნაზიის კურს დასრულებულს ითხოვს.

ბევრნი იტყვიან, თავად-აზნაურობა მეტის მეტი სიღარიბის გამო ველარ ძლებულობს თავის შვილების არამც თუ სადმე გამოზდას, — არამედ იმის ჩაცმადახურვაც უძნელდებაო, ასე რომ ხშირათ შეხვდებით სოფლათ აზნაურის შვილებს კონქებში გამოხვეულს და შიშველ-ტიტვლებსაც. მაშ რა გვეუნივერსიტეტი, ჯერ ისეთი სასწავლებლის გახსნა გვინდა, რომელსაც შეეძლოს მართო ამ შიშველ-ტიტვლების რჩენა და რისიმე სწავლებაო. ამის გამო დაუმატებენ ისინი საჭიროა ისეთი სასწავლებლის გახსნა, სადაც განსაკუთრებით ჩვენი სოფლის თავად-აზნაურობის შვილები იზრდებოდესო სახელმწიფო ხარჯზე. მაგრამ ამისი მთქმელნი ივინყებენ, რომ იქ საცა შეიძლება ნუხური ყურძნის ჭამა, კრიკინას ანუ გარეულს ყურძენს ვინ მოკიდებს ხელს. თუ კი უნივერსიტეტი იქნა, ადრე თუ გვიან ზემოხსენებული სასწავლებელიც უნდა გაიხსნას და ერთი კი არა, რამოდენიმე. და ამ სასწავლებლებში მიუცილებლათ უფრო ბევრი ვაკანსიები დარჩებათ ჩვენებს, ვიდრე ერთს რომელსამე სასწავლებელში, თუნდაც რომ იმაში მართო ჩვენ თავად-აზნაურის შვილების მეტს არავის იღებდენ.

შუბრნალი „კრებული“

ალექსანდრე თვალჭრელიძე — საქართველოში მინერალურ- პეტროგრაფიულ კვლევათა ფუძემდებელი

1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის — პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე კრისტალოგრაფიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კურსთა წასაკითხად მიწვეულ იქნა უკვე ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე თვალჭრელიძე (1881-1957 წ.წ.), რომელიც მანამდე ამავე კურსებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ამდენად, ეს წელი უნდა ჩაითვალოს კათედრის შექმნის წელიწადად, თუმცა ფორმალურად ეს მოხდა 1928 წელს, როდესაც პოლიტექნიკური ფაკულტეტისა და რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი შეიქმნა და ჩამოყალიბდა კრისტალოგრაფიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრა, რომლის გამგედაც დაინიშნა ალ. თვალჭრელიძე.



ქართველი გეოლოგი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1941), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1947), პროფესორი (1919), საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1946) ალექსანდრე თვალჭრელიძე საქართველოში მინერალურ-პეტროგრაფიულ კვლევათა ფუძემდებელია. მისი შრომები შეეხება კრისტალოგრაფიის, მინერალოგიის, პეტროგრაფიისა და სასარგებლო წიაღისეულის საბა-

დოთა გეოლოგიის საკითხებს. თვალჭრელიძის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია გუმბრისა და ასკანის ბენტონიტური თიხების, მარმარილოს, ქალცედონისა და სხვ. საბადოები საქართველოში. ალ. თვალჭრელიძე დაიბადა ქ. ჩერკესკში 1881 წელს, იქვე მიიღო პირველდაწყებითი განათლება, შემდეგ კი სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემ-

დეგ სტაჟირება გაიარა გეტინგენის უნივერსიტეტში (1910 წ.), ხოლო 1912-13 1912-1913 წწ. მუშაობდა პეტერბურგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიის ლაბორატორიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი *ვლადიმერ ვერნადსკი, ხოლო შემდეგ (1919 წლამდე) — დონის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1919 წლიდან იგი უკვე თბილისის უნივერსიტეტშია და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კითხულობს კრისტალოგრაფიის, მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ღირშესანიშნავი მოვლენა — 1920 წელს მისი ავტორობით გამოდის „გეომეტრიული კრისტალოგრაფიის“ კურსი — უმაღლესი სწავლების ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. ეს, პირველ რიგში, აღსანიშნავია იმიტომ, რომ ალ. თვალჭრელიძე აღიზარდა რუსულენოვან ოჯახში და განათლებაც

**მან აქტიური მონაწილეობა მიიღო
თბილისის მიღამოების პირველი გზამკვლევის
შეღებანში. მეცნიერის ამგვარმა დიდმა
პატივსიამ, საქმის სიყვარულმა და აქტიურმა
მოღვაწეობამ პოპულარული გახდა
გეოლოგიური საქმიანობა და ახალგაზრდებში
ამ დარგისადმი სხოველი ინტერესი გამოიწვია,
რაც საფუძვლად დაედო ჩვენში
მალაქკალიფიზიური და მკლავრი
გეოლოგიური სკოლის შექმნას.**

რუსულ ენაზე მიიღო, სწორედ ამ მიზეზით ერიდებოდა იგი ქართულად საუბარს, თუმცა ლექციებისა და მოხსენებების კითხვის დროს დაფაზე ტერმინებსა და დებულებებს შესაშური ქართული კალიგრაფიით წერდა. აქედან, ალბათ, კარგად ჩანს მისი სულისკვეთება და დამოკიდებულება ქართველი საზოგადოებისადმი.

ალ. თვალჭრელიძე უდიდესი ენთუზიაზმითა და წარმატებით სწავლობდა საქართველოს მინერალურ რესურსებს. მისი მეცადინეობით ჩვენში აღმოჩენილ იქნა **ადსორბენტი თიხების უმდიდრესი საბადოები დასავლეთ საქართველოში**. ეს ნედლეული აუცილებელი იყო ნავთობის მრეწველობის განვითარების საქმეში, ამ აღმოჩენამ უდიდესი ეკონომიკური ეფექტი მისცა სახელმწიფოს, რადგანაც ჩვენში ამგვარი ნედლეული ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოდიოდა; ეს საბადოები (გუმბრინი, ასკანა) ამჟამად ფუნქციონირებს. **ბენტონიტური თიხების საბადოების გარდა მან აღმოაჩინა და შეისწავლა მარმარილოს, ქალცედონის და სხვა საბადოები.**

გარდა ზემოაღნიშნულისა, ალ. თვალჭრელიძემ შემდგომშიც გამოაქვეყნა უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები: „**კრისტალთა ოპტიკის შესავალი**“ და „**მაგმური ქანების პეტროგრაფია**“.

მეცნიერულ-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ალ. თვალჭრელიძე აუცილებლად



ვერნადსკი (ცენტრში) მოსკოვის უნივერსიტეტში, 1911 წ.

თვლიდა, რომ უაღრესად საჭირო იყო მინერალოგიური და პეტროგრაფიული ცოდნის შეტანა მოსახლეობაში. იგი სისტემატურად კითხულობდა პოპულარულ ლექციებს და აწყობდა ექსკურსიებს გეოგრაფიული და გეოლოგიური საზოგადოებისათვის, **მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის მიდამოების პირველი გზამკვლევის შედგენაში.**

მეცნიერის ამგვარმა დიდმა არუდიციამ, საქმის სიყვარულმა და აქტიურმა მოღვაწეობამ პოპულარული გახდა გეოლოგიური საქმიანობა და ახალგაზრდაებში ამ დარგისადმი ცხოველი ინტერესი გამოიწვია, რაც საფუძვლად

დაედო ჩვენში მაღალკვალიფიციური და მკლავრი გეოლოგიური სკოლის შექმნას.

ახალდაარსებულ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე და შემდეგ ინდუსტრიულ ინსტიტუტში ალ. თვალჭრელიძემ მოიწვია გამოცდილი პეტროგრაფი პროფესორი **გ. სმირნოვი**, რომლის ხელმძღვანელობითაც სტუდენტები უმაღლეს დონეზე ეუფლებოდნენ მაგმური ქანების პეტროგრაფიულ შესწავლას პოლარიზაციული მიკროსკოპისა და ფოტოგრაფიის თეოდოლიტური მაგიდის საშუალებით. მეორე დიდი სპეციალისტი, რომელიც მოწვეულ იქნა კათედრაზე, იყო დოცენტი ***ილია ყიფშიძე**. იგი კითხულობდა ლექციებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საგნებში, როგორიც არის კრისტალოგრაფია და მინერალოგია. მისი ლექციები თითქმის ზეიმი იყო სტუდენტებისათვის და ამ საგნებში კურსის მოსმენის შემდეგ ისინი თავგადადებული გეოლოგები ხდებოდნენ.

1929 წლიდან ა. თვალჭრელიძე ხელმძღვანელობდა **მინერალური ნედლეულის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალს** (შემდგომ ა. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი).

აკადემიკოსი გლადიმერ ვერნადსკი:

ქპირფასო ალაქსანდრა ანტონის ძე! დიდად გაამეხარდა, რომ თქვენ აპირებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მისარჩა თქვენთვისა და მისარჩა პრინციპულად, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო სამეცნიერო მუშაობის მკლავრი ხანტარი.

1941 წლის თებერვალში ალექსანდრე თვალჭრელიძე 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ-ს მოწინავე მეცნიერებათა ერთად, აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა ღვაწლმოსილ მეცნიერს ერთ-ერთმა პირველმა მიულოცა მისმა დიდმა მასწავლებელმა აკადემიკოსმა ვლადიმერ ვერნადსკიმ: „ძვირფასო ალექსანდრე ანტონის ძე! დიდად გამეხარდა, რომ თქვენ ავირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მიხარია თქვენთვისა და მიხარია პრინციპულად, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო სამეცნიერო მუშაობის მძლავრი ცენტრი“.



ილია ყიფოძია

1941 წლიდან თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოს, სადაც მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მომზადდა მრავალტომიანი მონოგრაფია საქართველოს სსრ ბუნებრივი რესურსების შესახებ. 1941-1947 წ. იგი ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის მინერალოგიის სექტორს.

ომის შემდგომ წლებში იგი აქტიურად აგრძელებს თავის მოღვაწეობას: საქართველოს ბუნებრივი რესურსების, კერძოდ ბენტონიტების, შესწავლას, საქართველოს სხვადასხვა რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური ათვისების პრობლემათა კვლ-

ევას; არ ცხრება მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც. ამავე წლებში ალექსანდრე თვალჭრელიძე დიდ ყურადღებას უთმობს მეცნიერების ისტორიის საკითხებს, ხშირად კითხულობს პოპულარულ ლექციებს, მუშაობს მოგონებებზე.


1947 წელს უმაღლესი საბჭოს-ტაციო კომისია მას დისერტაციის დაუცველად, თბილისის უნივერსიტეტის საბჭოს წარდგინებით, ანიჭებს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს. ა. თვალჭრელიძის შრომათა დახასიათება თბილისში გამოაგზავნა ცნობილმა გეოლოგმა *ალექსანდრე ფერსმანმა.

დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, 3 სხვადასხვა ორდენითა და მედლებით. ალექსანდრე თვალჭრელიძე გარდაიცვალა 1957 წლის 29 ივლისს თბილისში.

* ვლადიმერ ვერნადსკი (1863-1945) — რუსი და საბჭოთა მეცნიერი, რომელიც მოღვაწეობდა XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში; რუსეთის, სანკტ-პეტერბურგის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი; უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. შექმნა სამეცნიერო სკოლები, ბიოგეოქიმიის მეცნიერება. ის დაინტერესებული იყო სხვადასხვა მეცნიერებით, როგორცაა გეოლოგია, ნიადაგმცოდნეობა, კრისტალოგრაფია, მინერალოგია, გეოქიმია, ბიოლოგია, პალეონტოლოგია, ბიოგეოქიმია, ფილოსოფია და ისტორია. სწო საზოგადო მოღვაწე; 1943 წელს 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მეცნიერებასა და ტექნიკის დარგში მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა პირველი ხარისხის სტალინის პრემია.

* ილია ყიფოძია (1882-1953) — გეოლოგი, საქართველოს გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაამთავრა რაინ-ვესტფალიის უმაღლესი ტექნიკური სკოლა (ქ. აახენი, 1908). 1919 წლიდან მუშაობდა თსუ-ში, აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1928-1938). მან ალექსანდრე თვალჭრელიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა კრისტალოგრაფიისა და მინერალოგიის სწავლებას.


* ალექსანდრე ფერსმანი (1883-1945) — რუსი გეოქიმიკოსი და მინერალოგი, გეოქიმიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სტალინური პრემიის ლაურეატი; 1912 წელს გახდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც კითხულობდა გეოქიმიის კურსს (პირველად მსოფლიოში).



ლაზრაფორიტი, მდინარე ლიახვის ხეობა



ანგლუზიტი, ლაზეთი (თურქეთი)



კალციტი (ტრაპერტინი), ნახჭევანი

ალექსანდრე სოგუა

ვლადიმერ მიქელაძის ღვაწლი და ახალი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №6)

XIX საუკუნე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში ნაყოფიერი და მრავალფეროვანია თავისი შინაარსით. დიდი მწერლები, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები, მხატვრები, კომპოზიტორები, სცენის აღიარებული ოსტატები, ფილოსოფიურად განსწავლულნი და ღრმად მოაზროვნე ადამიანები, აი რა მოგვცა ჩენ XIX საუკუნემ. ასე ბრწყინავდა XIX საუკუნე არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და მთელ დასავლეთ ევროპაში. ბევრმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სწავლა-განათლება საზღვარგარეთ მიიღო, რომლებმაც ნახეს და განიცადეს ევროპაში მომხდარი მუშათა კლასის დიდი აჯანყებები და გამოსვლები. ამ განსწავლულმა ადამიანებმა თავისუფლების იდეები საქართველოშიც უშიშრად გადმოიტანეს და ხალხში დაიწყეს ახალი იდეების ქადაგება. ისინი, უპირველეს ყოვლისა, იყვნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ამიტომ მწერლების მოღვაწეობა და მათი შემოქმედება გახდა ჩვენი ხალხის ეროვნული წინსვლისა და სულიერი სიძლიერის წყარო. ქართველმა ერმა მწერალში იგრძნო და ჰპოვა დიდი ავტორიტეტი. ერის კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების და ლიტერატურის ისტორიისთვის აუცილებელია შევისწავლოთ და გავიცნოთ თითოეული მოღვაწის საქმიანობა და ურთიერთობა ხალხთან, საზოგადოებასთან და, როგორც ილია წერდა, „აქ სულერთია, თქმაა ეს ღვაწლი, თუ ქმნა“.

1899 წელს საქართველოში ფართოდ აღინიშნა პუშკინის დაბადების 100 წლისთავი. ყველა გაზეთმა და ჟურნალმა მოათავსა წერილები და პოეტის ლექსები. გაზეთ „ივერიამ“ კი რამდენიმე ნომერი მიუძღვნა დიდი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის მოგზაურობას საქართველოში.

1899 წლის 26 მაისს გაზეთ „ივერიაში“ (№109) დაიბეჭდა ვრცელი მონიშნული წერილი „ალექსანდრე პუშკინი“, რომელსაც ხელს აწერს „დავინწყებული მწერალი“. ავტორი პუშკინის პოეზიას, მის შემოქმედებას ღრმად დაკვირვებითა და ცოდნით განიხილავს, მიუჩენს მას თავის დიდ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში და წერს: „დღეს ასი წელიწადი სრულდება ალექსანდრე პუშკინის დაბადებიდან. სრულიად რუსეთი

დღესასწაულობს ამ დღეს. დღესასწაულობს ყველა, ვისაც ცოტაოდენი მაინც პოეზიის სიყვარული ვლავის გულში, ვინც მწერლობას პატივს სცემს, ვინც რუსეთის გონებრივ წარმატებას აფასებს. დღეს რუსეთის ეროვნული დღეობაა, რადგან პუშკინი ყოვლად ნიჭიერი რუსის ეროვნული მგოსანი იყო. პუშკინისაგან იწყება ახალი ხანა რუსეთის მწერლობისა, რომელიც მან დამოუკიდებელ გზაზე დააყენა. ამით აღნიშნა ახალი ხანა, საღი, იმედებით სავსე. ლომონოსოვმა სცადა, მშობლიური პოეზიისათვის ახალი გზა ეჩვენებინა, მაგრამ ვერ მოახერხა“. ავტორი შემდეგ განაგრძობს: „პუშკინმა კი პოეზია, მწერლობა თვით ცხოვრებას დაუკავშირა. მისი პოეზია რუსეთის ცხოვრების გულიდან არის ამო-



ღებული, მისი პოეზია თვით ცხოვრებაა რუსეთის საზოგადოებისა, რუსის ერისა, უმაღლესი შემოქმედების ძალით განამდვილებული, გამშვენიერებული“. ავტორი დაასკვნის: „ქართველთათვის პუშკინის მნიშვნელობა ფრიად დიდია. ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში ისეთი ჩამომავლობა არ ყოფილა საქართველოში, რომელსაც რამე ესწავლოს და პუშკინის მუზას არ დასწავებოდეს“.

1883 წელს ვლადიმერ მიქელაძემ რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი: „რუსული ცხოვრების გავლენა ქართველ საზოგადოებასა და ცხოვრებაზე“ (კრიტიკული ნარკვევი). ეს წიგნი თავისი ღრმა შინაარსით, საკითხის მართებული და სწორი დაყენებით მეტად საინტერესოა იმათთვის, ვისაც დაინტერესებს რუსულ-ქართული მწერლობის ურთიერთობა, მათი კავშირი. დღეს ხსენებული წიგნი ფართო მკითხველისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარ-

მოადგენს, ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ, რომ წერილიდან ვრცელი ამონაწერები მოვიყვანოთ, რათა მკითხველს ნათელი და სწორი წარმოდგენა ჰქონდეს ავტორის კონცეფციებზე, მის შეხედულებაზე, თუ რა გავლენას ახდენდა რუსული მწერლობა ქართულ წერლობაზე. როდესაც დაინტერესებული მკითხველი უშუალოდ გაეცნობა მიქელაძის ზემოთ დასახელებულ წიგნს, არ შეიძლება ღრმა პატივისცემით და სიყვარულით არ აღივსოს ავტორისადმი, ვინაიდან ვლადიმერ მიქელაძის აღნიშნული წიგნი, ვფიქრობ, პირველი მეცნიერული ნაშრომია, ნიჭიერი პუბლიცისტისა და მოაზროვნის მიერ დაწერილი, რომელმაც ასე ღრმად და საინტერესოდ გააშუქა რუსულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხი. მართალია, ჩვენში ამ ურთიერთობის საკითხის შესახებ ინერგებოდა საგაზეთო-საჟურნალო წერილები, მაგრამ წერილებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა და არც კია ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი. ამიტომ მიკვირს, რომ ის მკვლევარები, რომლებიც მუშაობდნენ და მუშაობენ რუსულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხზე, რატომ ამ წიგნს არ ასახელებენ. ეტყობა, მათთვის უცნობი ყოფილა ამ საინტერესო წიგნის არსებობა, თორემ სხვანაირად გვერდს ვერ აუვლიდნენ მას. ავტორი ჭეშმარიტი პუბლიცისტის მახვილი კალმით დამაჯერებლად და ღრმა ცოდნით აანალიზებს, თუ როგორ შეუწყო ხელი რუსული ლიტერატურის წინსვლას 50-60-იან წლებში რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა რეფორმამ. ამ რეფორმის შემდეგ რუსულ ლიტერატურაში დადგა ახალი ეპოქა, ახალი ხანა. ავტორი წერს: „უახლოესი ქართული ლიტერატურის აღორძინება ემთხვევა რუსული საზოგადოების საყოველთაო გამოცოცხლების ეპოქას. იგი გამოცოცხლდა წინა ოცდახუთი წლის რეფორმების გავლენით, ამ რეფორმების წინ მუშაობამ რუსულ ჟურნალისტიკას

ფართო სარბიელი გადაუშალა მაღალი და ჰუმანური იდეების ფართო პროპაგანდისტისათვის“. ავტორი შემდეგ განაგრძობს: „ახალი განთიადი აღმოაჩინდა და შორეული ციკლიდური განათდა ყოვლისმაცოცხლებელი, ყველაფრის განმაახლებელი თავისუფლების სხივებით. გაიღვიძა აქამდე უქმად მყოფმა მძლავრმა ძალამ, გამოიღვიძა, ჩამოიშორა მოდუნება და აპათია, რომლის გამოც უმინაარსოდ მიედინებოდა მთელი ჩვენი ცხოვრება. ეს იყო გამოწვეული ბატონყმობის მძიმე ინსტიტუტის არსებობით, რომელიც ამახინჯებდა, ან სრულებით ახშობდა ხალხურ თვითმოქმედებას და საზოგადოებრივ ინიციატივას. ფართო ასპარეზი მიეცა რუსულ აზროვნებას, დიდი იმედები, მაღალი იდეალები აღაფრთოვანებდა საზოგადოებას და ლიტერატურას“.

„რუსულმა ლიტერატურამ, რუსმა მწერლებმა წინა პლანზე დააყენეს ხალხის სულიერი, ხალხის მატერიალური ყოფაცხოვრების, მისი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გარდაქმნისათვის ბრძოლა. ეს ბრძოლა აისახა მათ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ შემოქმედებაში. ამიტომ ისინი უარყოფენ იმ ხორცმეტს, რომელიც ხალხის ორგანიზმზე ისტორიულმა უსამართლობამ გააჩინა“.

დიახ, რუსულმა ლიტერატურამ, რუსულმა მწერლობამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ბატონყმობას, ამ ხორცმეტს, როგორც ამას ვლადიმერ მიქელაძე უწოდებს.

რუსული ლიტერატურის ეს ბრძოლის აპოთეოზი და განახლებული ცხოვრებისათვის ბრძოლა რუსული ლიტერატურის გავლენით ქართველმა მწერლებმაც შეითვისეს: **„რუსული ლიტერატურის გავლენით, — წერს ვლ. მიქელაძე, — აღიზარდა ქართველ მწერალთა ის თაობა, რომელიც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე იყო ქართული საზოგადოების სულიერი ცხოვრების ერთადერთი გამომხატველი. ეს მწერლები ახორციელებდნენ დიდი გარდაქ-**

მნების შემდეგაც წარმოშობილ დიდ იდეებს. ქართული ლიტერატურა, ასე ვთქვათ, რუსულ ლიტერატურას კვალდაკვალ მიჰყვებოდა და ახდენდა იმ საკითხების აკლიმატიზაციას, რომელსაც ამუშავებდნენ რუსი მწერლები. ილია ჭავჭავაძის ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ ქართულ საზოგადოებაში, ქართველი ინტელიგენციის წინაშე დიდი როლი შეასრულა. ამ ჟურნალის გარშემო შეიკრიბნენ ქართველი მწერლები და ჩვენი დიდი მამულისშვილები, დიდი საზოგადო მოღვაწეები... მართალია, ამ ჟურნალს, სამწუხაროდ, დიდხანს არ უარსებია, მაგრამ მან რაც გააკეთა ახალი იდეის დამკვიდრებისათვის საქართველოში, ისეთი ძვირფასია და დიდმნიშვნელოვანი, როგორც ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე. მაშინ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ილია გაბედულად გამოვიდა თავისი შესანიშნავი მოთხრობით „კაცია ადამიანი?!“, რომელმაც დიდი გამოსხაურება გამოიწვია საზოგადოებაში, ნაწარმოებმა აღაშფოთა ქართველი თავადაზნაურობა და მისი მასხარად აგდება ლუარსაბ თათქარაძის სახით“. შემდეგ განაგრძობს: „როგორც ცნობილია, რუსული საზოგადოების მთელი თაობა აღიზარდა ნეკრასოვისებური მუზის გავლენით. ეს გავლენა არ შეიძლება არ არეკლილიყო უახლოესი პერიოდის ქართველ მწერალთა საზოგადოებაშიც. საერთოდ მოსალოდნელმა გლახთა რეფორმამ საქართველოში შექმნა ლიტერატურა, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ადგილობრივ საზოგადოებაზე“.

25 წლის ჭაბუკი რუსულ ენაზე დაწერილ თავის წიგნში, როგორც ჭეშმარიტი პუბლიცისტი და მოაზროვნე, თანმიმდევრულად იხილავს იმას, თუ რა დიდი როლი და დამსახურება მიუძღვით ქართველ მწერლებს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაში. იგი წერს: „...ქართველი მწერლები თავიანთი შემოქმედებით, თავიანთი ნაწერებით მუდამ ხალხს ემ-

სახურებოდნენ. მათ დროშას ამშვენებდა დევიზი: სამშობლოს სიყვარული, განათლებისაკენ მისწრაფება და პატიოსანი შრომა. „მე ვსჯიდი სულმდაბლობას და მტრობის შხამს“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე; ისინი განავითარებდნენ გონებას, აკეთილშობილებდნენ გულს, ავითარებდნენ თვითმოქმედების აუცილებლობის გრძნობას და ამით ამზადებდნენ საზოგადოებას სიკეთის მომცემ გარდაქმნათა მისაღებად, რომელთა მიზანი იყო საზოგადოების აღორძინება, მისი განახლება. „უმოქმედოდ ყოფნა ბოროტების წყაროა“, — წერს ილია ჭავჭავაძე.

ვლადიმერ მიქელაძე თავის ნიგნში მრავალ საინტერესო საკითხს შეეხო. ესაა რუსული ლიტერატურის გავლენა ქართულ მწერლობაზე, მისი დიდი მნიშვნელობა ზოგად საკაცობრიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, მაგრამ მას მხედველობიდან არც ის გამოორჩენია, თუ რა დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქართველ ხალხს ქრისტიანული მოძღვრების დაცვაში, აღმოსავლეთის ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ახალგაზრდა პუბლიცისტი დიდი ცოდნითა და დაკვირვებით წერს: „ქართველი ხალხის მთელი ცხოვრება გრძელი ეპოპეა მართლმადიდებლობისა და ეროვნული ინტერესების დაცვის შესახებ. ქართველები ქრისტიანობის მოწინავე რაზმია აღმოსავლეთში. ამ პატარა რაინდული ხალხის მტკიცე მკერდზე დაიმსხვრა აღმოსავლეთის ბარბაროსთა მისწრაფებანი — ქრისტეს მოძღვრების კვალის აღმოფხვრა აზიაში. საქართველო, ქართველი ხალხი ხშირად იცლებოდა სისხლისაგან, მაგრამ მართლმადიდებლობის დროშისათვის არასოდეს გაუშვია ხელი და მოიტანა იგი ჩვენ დრომდე და გადასცა დიდ რუს ხალხს.

საიდან უნდა მოეთანათ ქართველ პოეტებს თავიანთი ლირიკის მოტივები, თუ არა ამ სახელოვანი წარსულიდან. ძველი ქართველი ქალი მამულს უზრდი-



ალექსანდრე ხახანაშვილი

და მეომარს, ახლა კი პოეტები ურჩევენ მას, ისე აღზარდოს „შვილი, რომ მას წინ უძღოდეს ჭეშმარიტება, უკან კი განათლების კვალი რჩებოდეს“.

ეს ვრცელი ამონაწერები ვლ. მიქელაძის ნაწერებიდან ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვინდა, ამ შესანიშნავ ეროვნულ მოღვაწესა და მამულიშვილს არქივის მტკერი მოვაშოროთ და ჩავაყენოთ იგი ქართველ მოღვაწეთა, ქართველ პატრიოტთა რიგებში, რომლებიც კალმით და პრაქტიკული მოღვაწეობით ქართველ ხალხს ემსახურებოდნენ, მისი ჭირი და ლხინი გულთან მიჰქონდათ, მის სევდასა და დარდს გულით ატარებდნენ. ამას ამტკიცებს მისი შემოქმედება, მისი ღრმა ცოდნით და დიდი ურედიციით დაწერილი ნიგნები და პუბლიცისტური წერილები, რომლებიც სხვადასხვა დროს დაბეჭდილია ქართულ-რუსულ პრესაში და ალმანახებში.

ვლ. მიქელაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა ძალიან მრავალმხრივია. იგი წერდა ლექსებს, კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, ნარკვევებს, დიდი მცოდნე იყო საფინანსო-საბანკო და სასოფლო-სამეურნეო საქმეებისა, მუდამ გვერ-

დში ედგა ილია ჭავჭავაძეს. ტყუილად კი არ წერდა თავის მოგონებაში ნინო ყიფიანი 1940 წელს „ქართული ლიტერატურის მატრიანეში“, რომ **ვლადიმერ მიქელაძე გაჭირვების ტალკვესად ევლინებოდა ილია ჭავჭავაძესო**. ერთხელ თურმე, — წერს ნინო ყიფიანი, — ვლადიმერ მიქელაძემ იხუმრა: „Я создал Ильини эру!“ დიახ, ის თავისი ნიჭიერი კალმით და საზოგადო მოღვაწეობით ტალკვესად და დამხმარედ ევლინებოდა არა მარტო ილია ჭავჭავაძეს, არამედ მთელ ქართველ მშრომელ ხალხს, მთელ ერს, ამიტომ სცემდა მას ილია ჭავჭავაძე ესოდენ დიდ პატივს და სიყვარულით ეპყრობოდა.

ვლადიმერ მიქელაძემ 1883 წელს გაზეთ „დროებაში“ (№86) დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღსავსე წერილი მიუძღვნა სერგეი მესხის უდროოდ გარდაცვალებას. ღრმა გულისტკივილით დაწერილ წერილში მან აღნიშნა სერგეი მესხის ის დიდი დამსახურება, რომელიც მიუძღოდა მას სარედაქტორო მუშაობაში. ის წლების განმავლობაში „დროების“ რედაქციაში აახლოვებდა სხვადასხვაგვარ მომქმედ მამულიშვილებს, ვისაც კი თავისი ქვეყნისათვის კალმით და სიტყვით დახმარება სურდა.

ათი დღე

დალესტნის მთებში

1879 წელს 22 წლის ჭაბუკი ვლ. მიქელაძე დალესტანში მოგზაურობს და რუსულ ენაზე წერს ნიგნს „ათი დღე დალესტნის მთებში“. ეს ის ნლებია, როცა დალესტნის მამაც მთიელ ხალხს — შამილის მიმდევრებს ჯერ კიდევ იარაღი არ დაეყარათ და სასტიკად ებრძოდნენ მეფის კოლონიზატორულ პოლიტიკას. მართალია, იმამი შამილი 1859 წლის 25 აგვისტოს დააპატიმრეს და კალუგაში გადაასახლეს, მაგრამ მთიელებს გამარჯვების რწმენა მაინც არ დაეკარგათ და იარაღით ხელში ბრძოლას განაგრძობდნენ. დალესტანში მოგზაურობის დროს ვლ.

მიქელაძეს შეხვედრია თავადი ა. ნაკაშიძე, რომელიც თურმე აჯანყებული მთიელების წინააღმდეგ, როგორც ვლ. მიქელაძე წერს, სუვოროვისებურ გადასვლებს ახდენდა და მოულოდნელად იქ გაჩნდებოდა, სადაც მას მოწინააღმდეგე არ ელოდა. ამით მან დააშოშმინა და დაანყნარა ჩაჩნეთი და შემდეგ ელვისებურად გაეშურა აღმოსავლეთ კავკასიაში, სადაც 1877 წელს ოქტომბერში დაღესტნის არმია სასტიკად დაამარცხა. ამის შემდეგ იგი დაღესტანში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასზე შექმნილია მრავალი ხალხური ლექსი და სიმღერა. შემდეგ ავტორი ისე დიდებულად და ბრწყინვალედ აღწერს ნაკაშიძის პირად ღირსებებს, ხასიათსა და გარეგნობას, რომ გეგონებათ, რომელიმე დიდი რომანისტი ახასიათებდეს თავისი გმირის ვაჟკაცობას „ნაკაშიძე დაახლოებით 40 წლისაა, — წერს ვლ. მიქელაძე, — წარმოშობით ქართველია, გურიის მკვიდრი, პირველი ნახვისთანავე იმსახურებს თქვენს სიმპათიას. მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟკაცია, აქვს მრგვალი სახის ნაკვეთები, პატარა უღვაშები და ასეთივე ქილვაშები. სახე მეტყველებს ენერგიულობას, მოძრაობაში იგრძნობა გულადობა“. ვლ. მიქელაძე თავის წიგნში ბევრ საინტერესო ცნობებს გვანდის შამილისა და მისი ერთგული ნაიბების შესახებ. ავტორს დაღესტანში მოგზაურობის დროს პირადად გაუცვნია შამილის ნათესავები და ის პირები, რომლებიც შამილთან ახლოს იდგნენ.

პარიზის გამოფენისთვის საზოგადოებრივი

სადაც უნდა ეშრომა და ეღვაწა ვლადიმერ მიქელაძეს, თბილისსა თუ მოსკოვში, ლენინგრადსა თუ პარიზში, ქუთაისსა თუ თავის სოფელ კულაშში, იგი მუდამ იმის ცდაშია, იმაზე ფიქრობს და ოცნებობს, რომ დიდი ისტორიული და გმირული წარსულის მქონე ქართველი ერის სახელი შორს იყოს ცნობილი, რომ მას, როგორც მოწინავე ერს, პატივს სცემდნენ და იცნობდნენ ევროპის, აზიისა და სხვა დიდი ქვეყნების კონტინენტებზე. ამისათვის იბრძვის იგი ჭაბუკობიდან, ამისათვის ათავსებს 1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№29) ვრცელ წერილს „ძველი და ახალი ამბავი“ „დავიწყებული მწერლის“ ფსევდონიმით. პუბლიცისტი ღრმა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ: „პარიზში ორიენტალისტების ყრილობაზე ქართველების შესახებ მეცნიერთ სიტყვაც არ დაუძრავთ. გული მეტკინა. ანდა როგორ არ უნდა მტკენოდა? ყველაზე რამე ითქვა, ყველაზე რამე დაიწერა, ხოლო ჩვენ არავის გავხსენებიათ, თითქოს არც წარსული გვექონდეს და არც ახლა დედამიწაზე ფეხი გვედგას“. ავტორი იმაზე ოცნებობს და იმის ფიქრსა და ცდაშია, რომ პარიზის მომავალ მსოფლიო გამოფენაში, რომელიც 1900 წელს გაიმართება, ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა, ჩვენც უნდა ვაჩვენოთ ქვეყ-

ნის მიღწევები და ნახელავი. ჩვენც უნდა ვაჩვენოთ ჩვენი პური, სიმინდი, ქერი, ღვინო, ტყე, თამბაქო, აბრეშუმი და სხვა. „გამოფენა, — წერს ავტორი, — ისეთი საასპარეზო მოედანია, სადაც ხდება მშვიდობიანი კულტურული ბრძოლა ერთა შორის“. „გარდა ამისა, — განაგრძობს პუბლიცისტი, — მომავალი პარიზის გამოფენა ჩვენთვის სხვამხრივაც საყურადღებო და სასარგებლოა. ჩვენ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი გონების ნამოქმედარიც. კაცობრიობას წარუდგინოთ ნაწარმოები ჩვენი სულიერი მწერლობის, ძველი და ახალი საერო ლიტერატურისა, მეცნიერებისა, ჩვენი ძველი ისტორიული ეკლესიებისა და ხუროთმოძღვრებისა. კარგად გადაღებული ფოტოსურათები სხვადასხვა ხელნაწერისა, რომლებიც თავმოყრილია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნსაცავებში. ვახუშტის ბიოგრაფია და რუკა, ქართლის ცხოვრება, მეფე ვახტანგის კანონები, ფიროსმანი, ნახატიანი „ვეფხისტყაოსანი“, თხზულებანი გაბრიელ ეპისკოპოსისა, დავით გურამიშვილისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა. აგრეთვე, აუცილებელია შედგეს სრულიად საქართველოს მოკლე ისტორიული აღწერა. კარგად, თვალსაჩინოდ აღიბეჭდოს ქართველი ერის სვებედი, დამსახურება ქრისტიანობისა და კაცობრიობის წინაშე. ამ ისტორიულ აღწერილობას უნდა მიემატოს, აგრეთვე, მოკლე ისტორია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნებისა“.

როგორც აქ მკითხველი დაინახავს, ავტორს მხედველობიდან არ გამორჩენია ჩვენი სულიერი სიმდიდრის, ჩვენი მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის არც ერთი მხარე. ავტორს წერილში ვრცლად და დეტალურად აქვს ჩამოთვლილი და დასახელებული, თუ რით უნდა წარვდგეთ პარიზის 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და რით შეგვიძლია თავი გამოვიჩინო-

1883 წელს ვლადიმერ მიქელაძემ რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი: „რუსული სსოვრების გავლენა ქართულ საზოგადოებასა და სსოვრებაზე“ (კრიტიკული ნაჩვენები). ეს წიგნი თავისი ღრმა შინაარსით, სპიტიის პართიკული და სწორი დაყენებით მათად საინტერესო იმართვის, ვისაჲ დაინტერესებს რუსულ-ქართული მწერლობის ურთიერთობა, მათი კავშირი. ღრმად სსენებული წიგნი ფართო პირობებისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ნოთ, თავი ვისახელოთ მოწინავე ცივილიზებული ქვეყნის წინაშე.

პარიზის გამოფენის სამზადისთან დაკავშირებით ვლადიმერ მიქელაძე ორი წლით ადრე პროფესორ **ალექსანდრე ხახანაშვილს** ვრცელ წერილს სწერს:

„ღრმად პატივცემულო ალექსანდრე სიმონის ძევ!

ბ. კარიჭაშვილს მთანდო კომიტეტმა, ეთხოვა თქვენთვის, ქართული ლიტერატურის მოკლე ისტორია დაგეგნერათ იმ წიგნში ჩასართავად, რომელსაც პარიზის გამოფენისათვის ვამზადებთ. თქვენი პასუხი მოგვივიდა. ხოლო გარემოება ეხლა ცოტა შეიცვალა. ჩვენ გვინდოდა პოტოს საქართველოს ისტორია გამოგვეცა თქვენისა და სხვების ნაწერების ზედდამატებით, მაგრამ არ გამოგვადგა, რადგან მას უფრო მხედრული ხასიათი აქვს, ვიდრე პოლიტიკური და ამას გარდა შიგ საქართველოს ერის გულისცემაც არ ისმის. თუმცა კი შიგა და შიგ ბევრი კარგი ადგილებია, რომლებითაც სავსებით უნდა ისარგებლოს საქართველოს ისტორიის ყოველდამწერმა.

ამის გამო გადავწყვიტე, კვლავ თქვენ შეგაწუხოთ: გთხოვთ, დაგვიწეროთ საქართველოს მოკლე პოლიტიკური ისტორიაც — რუსები რომ იტყვიან: რჩეპკ მყირპმმ ბპუზმმ. ერთი სიტყვით უცხოელმა რომ წაიკითხოს, შეეძლოს, სრული წარმოდგენა შეიქმნას საქართველოს წარსულ ცხოვრებაზე. ამ წიგნს დაემატება და ერთად გამოიცემა. გარდა თქვენ მიერ დაწერილი ლიტერატურის ისტორიისა, ქართული სამართლის ისტორიის წარკვევს გვინერს **ნიკო ხიზანიშვილი**, ხოლო საქართველოს ისტორიის წარკვევს წერს **თ. ჟორდანიას** და **კირიონი**.

თქვენს მეტი პოლიტიკური ისტორიის მცოდნე და კარგი დამწერი ვერავინ ვიშოვეთ, ვარჩიეთ, ისევ თქვენ შეგაწუხოთ. უნდა მოგვეშველოთ, მეტი ღონე არ არის. აგრეთვე, მოკლე ლიტერატურის „ოჩერკის“ დაწერასაც თქვენ გავალებთ. ოცი, ოცდაათი გვერდი უნდა იყოს. გერმანულად ლათინი



აკაკი წერეთელი

გვითარგმნის, ფრანგულისა და ინგლისურის კარგ მთარგმნელებსაც ვიშოვით. ორიგინალები რუსულად უნდა იქნეს დაწერილი და იქიდან გადავთარგმნით სხვა ენებზე.

ქართული წიგნი დაახლოებით 200-220 გვერდი უნდა იქნეს და კომიტეტში წარდგენილი 1899 წლის პირველ იანვრამდე, თორემ გამოცემა ეგებ ვერ მოვასწროთ. ერთი სიტყვით, ამ საქმეზე ჩვენი აზრი გამოხატულია „ივერიის“ ნომერში, რომელსაც ამასთანავე გიგზავნით. დანარჩენი თქვენ თვითონ უფრო იცით.

ღრმად თქვენი პატივისმცემელი ვლადიმერ მიქელაძე“.

რაოდენი სიყვარული და ერთგულება ამ წერილში სამშობლოსადმი, მის წარსულსა და მომავლისადმი!

„ჩემი მოგონება ბატონი აკაკის შესახებ“

ვლადიმერ მიქელაძემ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა აკაკი წერეთლის შესახებ, რომელიც გამოუქვეყნებელია და ხელნაწერი დაცულია გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში:

„ერთ გაზაფხულზე საჩხერეში ქართლიდან სტუმრები ჩამოვიდ-

ნენ. წერეთლებს ჩვეულებად ჰქონდათ, სახლიკაცის სტუმრები თითოეულად ყველას უნდა დაეპატიჟებინა. აკაკის მახლობელმა სახლიკაცმა კოტე წერეთელმა ქართლიდან ჩამოსული სტუმრები დაპატიჟა, რომელსაც ჰქონდა შესანიშნავი ბალი და რომელსაც ირგვლივ მდინარე ჩიხურის წყალი უვლიდა. ბაღში დააგეს ხალიჩები და ზედ გაშალეს სუფრა, რომელიც თაიგულებით იყო მორთული. მანდილოსნები და ხანშიშესულები მუთაქებზე დასხდნენ და ჩვენ, ყმანვილებმა, ხალიჩებზე ფეხმორთხმული დავსხედით. არაჩვეულებრივი ლამაზი იყო სუფრა: მშვენიერი მტკნარი მაისის ღამე იყო, ერთი მხრით იჯდა საქართველოს დიდება აკაკი და მეორე მხრით კალმით დახატული მშვენიერი ქალები. ამ მშვენიერ სუფრას უფრო მეტ სილამაზეს მატებდა პირბადრი მთვარე, პირველი სხივი აკაკის მიანათა მის მშვენიერ სახეზე. არაჩვეულებრივი სანახავი იყო ამ ღამეს აკაკი. ერთ აქ მყოფ მშვენიერ სტუმარ ქალთაგანს აკაკი ეტრფოდა. დაჯდომისთანავე თამადის არჩევას შეუდგნენ. აკაკიმ მე დამასახელა თამადათ, რომელსაც მთელი სუფრა მიემხრო. მე მაღლობა გადაუხადე ყველას, ავიღე აზარფეშა, გავავსე მშვენიერი წითელი ღვინით და მივმართე სუფრას: ბატონებო, პირველ ყოვლისა, მე უნდა მედღეგრძელებინა ქართლიდან ჩამობრძანებული სტუმრები, მაგრამ ამ ჟამათ მე გავკადნიერდები და ჩემს თავს ნებას ვაძლევ, ეს სადღეგრძელო შემდეგისათვის გადავდო.

მე ვსვამ სადღეგრძელოს ამ აზარფეშით საქართველოს დიდების, ქართველი ერის საამაყო შვილის და მარად უკვდავის, ბატონი აკაკის. ამ სადღეგრძელოს ყველა ალტაცებით შეუერთდა და ყველა ფეხზე წამოდგა, როცა სადღეგრძელო გათავდა, მე ავიღე აზარფეშა, ვიახელი აკაკის, დავიჩოქე მის წინ და გულზე ვეამბორე. მან გულში ჩამიკრა და გადამკოცნა. ჩამომართვა აზარფეშა, მიუხედავად იმისა, რომ ღვინოს არ სვამდა, სიამოვნებით გაავსო აზარფე-

შა და საზოგადოებას მადლობა გადაუხადა. აზარფეშა არ ჰქონდა დაცლილი, რომ სუფრამ სთხოვა ექსპრომტათ ეთქვა რამე, არც დაუყოვნებია, ერთი თვალი მშვენიერი სატრფოსაკენ გააპარა და მისი ლამაზი და მოლიმარე სახე მთვარეს მიაჩერდა, მთვარემ და აკაკიმ ერთი მეორე დაამშვენეს და პირველათ წარმოსთქვა ეს ლექსი ამ მშვენიერ სუფრაზე:

„როცა ვიყავ ახალგაზრდა და სიამით ძგერდა გული, ვნატრობდი და არ მეღირსა ბედუკუდმართს სიყვარული“.

ერთ დილას აკაკისთან წავედი, წარდს ვთამაშობდით, ამ დროს შემოვიდა მისი მახლობელი სახლიკაცი, რომელსაც ლაპარაკის დროს ენა ებმებოდა და თან შემოიტანა ხონჩაზე დაწყობილი ცოცხალი კალმახები. ვინ მოიტანა ესაო, ევქვეს კაალმახეები სიიკორომ მომოოროგააართვაა... ბატონმა აკაკიმ აღარ დააცალა სიტყვა ბატონის გათავება და მიაძახა: ეს კალმახები აქ დადევი ჩემო გიორგი და ბატი შენ წაიყვანო.

ერთხელ საჩხერიდან ქუთაისს მიდიოდა აკაკი. მასთან ჩვენც მივდიოდით. ამერიდან წერეთელი, ანტონ აბაშიძე და მე ჩავსხედით მატარებელში, ჭიათურას რომ გავცილდით და კაცხის მთებს ჩაუარეთ, აკაკიმ მკითხა, პიპინასთან კაცხში ხომ არ ყოფილხართო. მე მოვახსენე, გახლდით ბატონო-თქო. თუ დააკვირდი, ხეს შეხვდი სწორსაო? მართლაც, სოფელ

კაცხში იშვიათად შეხვდებით სწორ ხეს. მე უპასუხე, არა ბატონო-თქო, იქ სადაც ხე არ იზრდება სწორი, ადამიანი როგორ იქნება სწორიო. ანტონ აბაშიძემ მოახსენა: ბატონო აკაკი, თუ რამე კარგი გაქვთ, ყველა აბაშიძეებიდან გახლავსო. პოეტმა მრისხანეთ უპასუხა, — თუ კი რამე სიგლახე და სისაძაგლე მახლავს, ყველა აბაშიძეებიდან მაქვსო“.

ვლ. მიქელაძე XIX საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეებს არა მარტო პირადად მეგობრობდა, არამედ მათთან ჰქონდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი ურთიერთობაც.

* * *

„შრომის ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილი ამ საუკუნისა“, რაც ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში დააყენა, არ ყოფილა უცხო ვლ. მიქელაძის ლიტერატურული შემოქმედებისთვის, მისი მოღვაწეობისათვის. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ექომაგებოდა და ეხმარებოდა თავის სოფელ კულაშში ღარიბ მშრომელ ხალხს. იქ მან თავის სახლში გახსნა სამეურნეო სკოლა, სადაც ახალგაზრდობა სწავლობდა ხვნა-თესვას და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ასე იღვწოდა ვლ. მიქელაძე არა მარტო თავის სოფელში, არამედ მთელ საქართველოში, ამიტომ გახდა იგი პოპულარული მოღვაწე.

ვლ. მიქელაძემ დაარსა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო. ბან-

კი მეტად დიდ და კარგ საქმეს აკეთებდა. ის ხელს უწყობდა და ეხმარებოდა ღარიბ მოსახლეობას.

ერთ დროს კახეთს შეესივნენ თავგასული ჩარჩი ვაჭრები, რომლებიც გლეხთა ნაოფლარით გაკეთებულ ღვინოს ჩალის ფასად ყიდულობდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით 1898 წელს გაზეთმა „ივერია“ (№257) „ნადიკვარელის“ ფსევდონიმით მოათავსა ვრცელი წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ამ გაჭირვებაში მყოფ ღვინის პატრონებს საიდანღაც მშველელი გამოუჩნდათ, — თბილისის სასოფლო-სამეურნეო ნდობის საზოგადოების ბანკის დირექტორი ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძე. ბნმა მიქელაძემ ქვემო ქიზიყიდან დაწყებული ჩამოუარა უფრო დიდ სოფლებს და ყველგან სოფელთ განუმარტა, რომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მზად არის, ხელი გაუწოდოს სოფელთ მწარმოებელთ. და როცა მათ გაჭირვება ექნებათ, ასესხებს ფულს. ამან თავზარი დასცა როგორც ჩარჩი ვაჭრებს, ისე დალალეებს, ისინი ათასგვარი ხრიკებით, ცუდლუტობითა და გაიძვერობით ავრცელებდნენ ხალხში ხმებს, ყველაფერი ეს ტყუილი და მოგონილიაო. ამის შემდეგ ვლადიმერ მიქელაძე გაემგზავრა თელავის მაზრაში, შემდეგ შილდაში, ყვარელსა და ახმეტაში. ასე ზრუნავდა და ეხმარებოდა ხალხს ვლ. მიქელაძე. ყველაფერი ეს, — წერს გაზეთი „ივერია“, — მტკიცე ლაგამია იმ მევახშეებისა, რომლებიც იმკიან, სადაც არ დაუთესიათ — რა, და რომელთა გაუმადლარ კუჭსა მუქთად ჰკვებავს სოფლელი მწარმოებელი“.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ვლადიმერ მიქელაძის ეს დიდი ღვაწლი, ღვაწლი კაცისა, რომელიც წლების განმავლობაში გვერდში ედგა მშრომელ ხალხს; კაცი, რომელიც განთიადის მოახლოებას სიხარულით შენატროდა და წერდა:

წყვდიადში მყოფს დიდებულ ელოდება მომავალი.

შურნალი „განთიადი“

„რუსული ლიტერატურის გავლენით, — წერს ვლ. მიქელაძე, — აღიზარდა ქართველ მწერალთა ის თაობა, რომლის უკანასკნელი 25 წლის მანძილზე იყო ქართველი საზოგადოების სულიერი სსოვრების ერთდართი გაუმოხატველი. ეს მწერლები ახორციელავენ დიდი გარდაქმნების შედეგად წარმოუშობილ დიდ იდეებს. ქართული ლიტერატურა, ასე ვთქვათ, რუსულ ლიტერატურას კვალდაკვალ მიჰყვება და ახდენდა იმ საკითხების აქლიმატიზაციას, რომელსაც აშუშავებდნენ რუსი მწერლები.“



შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გაგება

1937 წლის შემოდგომაზე შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოში დიდი სამზადისი იყო შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის დიდი გამოფენისთვის. დაარსდა „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“, რომელზეც დიდი ივანე ჯავახიშვილის ამ წერილშია მოთხრობილი. ვფიქრობთ, ეს საინტერესო მასალა იქნება მკითხველისთვის, რადგან, როგორც ცნობილია, წლებადელი წელი იუნესკომ დიდი ქართველი მგოსნის წელიწადად გამოაცხადა.

მუზეუმის სამოქმედო ასპარეზი XI-XIII საუკუნეებით არის შემოფარგლული; ამ დაწესებულების უპირველეს მოვალეობას შ. რუსთაველის დღესასწაულისათვის გამოფენის მოწყობა შეადგენს და თვით მუზეუმიც, შესაძლებელია, მხოლოდ ამ დროისათვის იყოს დამთავრებული.

წინასწარ შედგენილი გეგმა მთელ სამუშაოს სამ მთავარ სექტორად ყოფს: ერთს სალიტერატურო სექტორი შეადგენს, მეორეს — ხელოვნებისა, მესამე კი ყოფაცხოვრებისა და მეურნეობის სექტორია. ყოველ სექტორს თავისი ხელმძღვანელები ჰყავს. ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ამ სტრიქონების ავტორს.

ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენა მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს. **გამოფენამ უნდა მნახველს უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI-XIII ს., როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წესწყობილება.** გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, ისევე, როგორც რაინდობის წესები წარმოიდგინოს; იცოდეს, რას იცვამდნენ და იხურავდნენ მაშინ, რანაირი ავეჯი და ჭურჭლეული ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნე-

ობას, მემინდვრობას, მევენახეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ყოფა-ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა.

მაშინდელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღსადგენად, მისი დონის გასათვალისწინებლად და გამოფენის დამთვლიერებისათვის ცხადსაყოფელად, რა თქმა უნდა, მარტო წერილობითი წყაროების ცნობები საკმარისი არ არის, არამედ ამ კულტურის თვით იმდროინდელი ნივთებიც არის აუცილებლად საჭირო. ვიცა, მატერიალური კულტურის ისტორია თუნდაც მარტო გადაკითხული აქვს, ეცოდინება, რომ უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და საგნები, ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ავეჯი, ჭურჭელი და იარაღი მეტად ცოტაა გადარჩენილი და იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, ისიც თითო-ოროლა. პოლიტიკური ცხოვრების უკულმართობამ, დროისა და ჰავა-ნიადგის უღმობელობამ და წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობამ ასეთი საგნების უმეტესობა იმსხვერპლა და ხშირად უკვალოდაც კი დაუკარგა მეცნიერებას. ამ მხრივ ბედნიერ გამოჩანს, რომლის მშრალმა ჰავამ და უნოტიო ნიადაგმა, მეტადრე კი პირამიდებში დამურვილობის საშუალებით მიცვალებულთა დამარხვის წესმა მეცნიერებას დაუზიანებელი შეუნახა როგორც ტა-



ნისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი და ქსოვილები, ისევე მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთიც.

ძველ საქართველოზე მრავალგზის თავდამტყდარმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო რაც გადარჩა, იმათაგანაც ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენ წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და განადგურდა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ XI-XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ნივთიერ ნაშთთაგან ძალიან ცოტა-ლა გვაქვს გადარჩენილი. ამ გადარჩენილთაგანაც არა ერთი უძვირფასესი ძეგლი საქართველოდან უცხოეთშია გატანილი, ზოგი იქაურ მუზეუმებშია დაცული, უმეტესი ნაწილი კი 1921 წელს მენშევიკური მთავრობის მიერ ყაჩაღურად გატაცებულ განძეულობას წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ჯერაც არ დაბრუნებია (ეს განძეულობა ჩვენმა ქვეყანამ დაიბრუნა დიდ სამამულო ომში ჰიტლერ-

რულ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ (რედ.).

საქართველოს სახელმწიფოებრივი კულტურის თანდათან ზრდის გაფართოებისა და გაღრმავების გასათვალისწინებლად გამოფენილი იქნება XI-XIII სს. პოლიტიკური რუკა, რომელზედაც ამ ხნის სახელმწიფოებრივი საზღვრები აღინიშნება. გამოფენის მნახველს სახელმწიფოებრიობა გარეგნულად წარმოუდგება უზენაესი ხელისუფლის თანამდებობის პირთა ტანისამოსისა და ხელისუფლების ნიშნების სურათებითაც, და თუ მოხერხდა და მოესწრო, დარბაზობისა და ვაზირობის გამომხატველი სურათების საშუალებითაც.

XI-XIII სს. საქართველოსათვის რაინდობა იყო დამახასიათებელი. ამიტომაც გამოფენაზე ამ რაინდობის გარეგნული გამოხატულებაც უნდა იყოს წარმოდგენილი შეჭურვილი რაინდის სახით მაინც. სამწუხაროდ, არც საქართველოს მუზეუმის კოლექციებში და არც სხვაგან სადმე საქართველოში ამჟამად რაინდისა და ცხენის მთლიანი იმდროინდელი ჯავშანი და თორი უკვე აღარ მოიპოვება. მხოლოდ ბერლინის ცოიგ-ჰაუზში (იარაღების მუზეუმში) ნახავს ადამიანი საქართველოდან (ხევსურეთიდან) XIX ს-ში გატანილს, მანეკენებზე ჩამოცმულს, XIII ს. რაინდისა და ცხენის ორს მთლიანს საუცხოო ანაკრებს. **XIII ს. მშვენიერი ოქროს ზარნიშით უხვად შემკული ქართული მუზარადიც არსებობს, მაგრამ ჯერჯერობით არც ის არის საქართველოში.** ისტორიული კედლის მხატვრობისა და მი-

ნიატურების მიხედვით წარმოდგენილი იქნება იმდროინდელი აზერისა და ყოველგვარი საჭურველის სურათები.

რაკი იმდროინდელი არც ტანისამოსი და არც ავეჯი გადარჩენილი არ არის და არც არავითარი იმედი შეიძლება გვექონდეს, რომ არქეოლოგიური გათხრითაც კარგად დაცული ამნაირი მნიშვნელოვანი რამ ნაშთი ოდესმე აღმოჩნდეს, ამიტომ ამ დანაკლისის ანაზღაურება და შევსება შემდეგი საშუალებით დავისახე. თუ თვით ტანისამოსს, თავსაბურავსა და ფეხსაცმელს ისევე როგორც ავეჯსა, ჭურჭელსა და იარაღს ჩვენამდის ან სრულებით არ მოუღწევია, ან მცირე რაოდენობით (ჭურჭელი, იარაღი), სამაგიეროდ ისტორიული პირების კედლის მხატვრობა მოგვეპოვება, სწორედ ამის მიხედვით შესაძლებელია მკვლევარმა მაშინდელი ტანისამოსი, თავსაბურავი და ფეხსაცმელი საკმაოდ კარგად აღადგინოს.

კედლის მხატვრობით აღბეჭდილი ისტორიული პირების ჩაცმულობის, თავსაბურავის, სამკაულისა და იარაღის ხელნაწერებში დაცულ მინიატურებთან შედარებითმა შესწავლამ დამარწმუნა, რომ მხატვრობის ამ უკანასკნელი დარგის ძეგლებში ბევრგან ისეთივე ჩაცმულობა, ქსოვილების სახეები, თავსაბურავი, სამკაული და იარაღი წარმოდგენილი, როგორც ისტორიულ მხატვრობაში გვხვდება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს, რა თქმა უნდა, სათანადო სიფრთხილის დაცვითა და წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომ იმდროინდელს საქართვე-

ლოში გავრცელებული ჩაცმა-დახურვის წესის შესასწავლად და აღსადგენად ხელნაწერებში დაცული მასალაც გამოვიყენოთ. ამ დაკვირვებასა და დასკვნას იმიტომაც აქვს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა, რომ კედლის მხატვრობაში მხოლოდ მეფე-დედოფლისა და მაღალი წრის წევრების, ვაზირებისა და ერისთავების (ზოგჯერ მათი მეუღლეებისაც) სურათები მოგვეპოვება, ჩვენ კი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ჩაცმულობა უნდა ვიცოდეთ და გამოფენის მნახველს წარმოუდგინოთ. საბედნიეროდ, საამისო მასალებიც არის გადარჩენილი. ეს სწორედ ზოგს ხელნაწერში დაცული მინიატურების გამოყენებით შეიძლება, ამ გზით მოპოვებული მასალა მკვლევარს საშუალებას აძლევს საშუალო და დაბალი სოციალური ფენის, ქალისა და კაცის, მოზრდილისა და ბავშვის, ვაჭრის, მიწისმოქმედისა და მწყემსის მაშინდელი ჩაცმულობაც გამოარკვიოს.

მხატვრობით აღბეჭდილი ასეთი მასალების შედარებითი შესწავლით, წერილობით, ისტორიულსა და სხვა წყაროებში დაცულს ცნობებთან ერთად, არამცთუ მაშინდელი ჩაცმა-დახურვის წესისა და გარეგნული სახის აღდგენა ხერხდება, არამედ თვითოეული მათგანის სახელის გამორკვევაც შეიძლება. სწორედ ამ და კიდევ სხვა მასალების მიხედვით უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს ტანისამოსისა და მატერიალური კულტურის ყველა სხვა დარგის ისტორიაზე ვმუშაობ და გამოსაქვეყნებლად ვამზადებ.

ამ გეგმის მიხედვით და ამ მასალების გამოყენებით სწარმოებს გამოსაფენი ექსპონატების მზადება. უკვე დახატულია კედლის მხატვრობის ისტორიული პირებისა და ხელნაწერი წყაროებიდან ამოღებული ბევრი სურათი და არა ერთი კიდევ იხატება და გადმოღებული იქნება მომავალი თვეების განმავლობაში. თანამდებობის პირთა და სოციალური ფენების წარმომადგენელთა ამ მთლიან სურათებს გარდა გამო-

**გამოფენა უნდა მნახველს
უჩვენოს, თუ როგორ
ცხოვრობდნენ საქართველოში
XI-XIII საუკუნეებში, როგორი იყო
მისი სახელმწიფოებრიობა,
როგორი იყო მისი წესწყობილება.**

ფენაზე ისეთი ნახატებიც იქნება, სადაც გამოფენის დამთვალერებელს თავსაბურავების, ტანისამოსების, ფეხსაცმელებისა და სამკაულების, ისევე, როგორც იარაღის თითოეული დარგის ცალკ-ცალკე შედარებითი შესწავლისათვის განკუთვნილი მთელი მასალა წარმოუდგება.

საქართველოს ნივთიერი კულტურის შესწავლის დროს, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი ადგილი ქსოვილებსა და ხელსაქმესაც უნდა დაეთმოს. ამ დარგის გასათვალისწინებლად ჩვენ, ერთის მხრით, ძველი ქსოვილების შემთხვევით გადარჩენილი ნაჭრები მოგვეპოვება, მეორე მხრით, კედლის მხატვრობაში ისტორიული პირების ჩაცმულობის ქსოვილების სახეების შესწავლაც საკმაოდ მრავალფეროვანსა და საყურადღებო მასალას გვანდის. საუცხოო მასალები მოგვეპოვება მაშინდელ საქართველოში გავრცელებული ნაკერი და ნაქსოვი არშიების სახეების აღსადგენადაც, ახლა რომ ამ დარგის საგამოფენო ექსპონატებს შევხვით, უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქსოვილების გადარჩენილი ნაჭრების უმეტესი ნაწილი XX ს. დამდეგს საქართველოდან გატანილი იყო და ჩვენში მხოლოდ რამდენიმე ნაჭერიღაა დარჩენილი. მაგრამ ეს გატანილი ნიმუშები გამოფენისათვის დაგვიბრუნდება და მათი გამოყენება შეგვეძლება. დანარჩენი მთელი მასალა ნახატების სახით იქნება წარმოდგენილი. მაგრამ ხელობის ამ დარგის უფრო ცხადსაყოფელად ვფიქრობ კარგი იქნებოდა, რომ უფრო დამახასიათებელი სახიანი ქსოვილებისა და არშიების ნიმუშები ძველი სურათების მიხედვით მოგვექსოვინებინა.

ამავე გზით და მსგავსივე წყაროების მიხედვით, მაშინდელი ავეჯის შესასწავლად და წარმოსადგენადაც წარმოებს მუშაობა და გამოფენის მომავალი დამთვალიერებელი ავეჯეულობის არაერთს საყურადღებო ნიმუშის სურათს ნახავს. აქაც, თუ დრო და გარემოება ხელს შეგვინწყობს,

ძველი ნახატების მიხედვით ავეჯის გაკეთებინებასაც ვფიქრობ.

მაშინდელი ჭურჭლეულის გასათვალისწინებლად და გამოსაფენად თითო-ოროლა გადარჩენილი ძველი ჭურჭელიც მოიპოვება. ამას გარდა, ნაქალაქარი დმანისის შარშანდელმა არქეოლოგიურმა განათხარმაც მაშინდელი თიხის მოხატულ-მოჭიქულიცა და ჩვეულებრივი ჭურჭლეულის რამდენიმე მთლიანი ცალი და ნატეხების დიდძალი მასალაც შეგვძინა. მათგან სხვა ქვეყნებიდან შემოტანილიც და ადგილობრივიც არის. პირველად სწორედ აქ აღმოჩნდა ქართულ წარწერიანი X-XIII სს. ჭურჭლის ნატეხებიც. მთელი ეს უხვი მასალა უკვე გასუფთავებულია და ამჟამად ზოგი მათგანის ნატეხების შეკონინება წარმოებს ჭურჭლის მთლიანობის აღსადგენად; შარშანდელი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგი უფლებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ ზაფხულში არქეოლოგიური თხრა იმდროინდელი მეჭურჭლეობის წარმოსადგენად კიდევ ბევრ საინტერესო ნიმუშსა და მასალას შეგვძენს, რომელიც, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ უპირველესად გამოფენისათვის იქნება გამოყენებული. ამავდროს ჯეროვანი ყურადღება კედლის მხატვრობაში, ხელნაწერებსა და ჭედვითი ხელოვნების ძეგლებში დაცულს ჭურჭლეულის გამოხატულებასაც აქვს მიქცეული და გადმოღებული ჭურჭლეულის მაშინდელი მარაგის ნაირნაირობის მთლიანად წარმოდგენის მიზნით ნახატები იქიდანაცა გვაქვს.

ჭურჭლეულის ყოველმხრივ შესწავლა უფროს მეცნ. თანამშრომელს ლ. მუსხელიშვილს აქვს მინდობილი.

XI-XIII სს. საქართველოს ეკონომიკის გასათვალისწინებლად გამოსადეგი სასოფლო მეურნეობის მაშინდელი ნაწარმოები რომ გადარჩენილი იყოს, ამის დამადასტურებელი ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და მომავალშიაც ამის დიდი მოლოდინი ჩვენი ჰავისა და ნიადაგის პირობებში მაინცადამაინც არ შეიძლე-

ბა ჰქონდეს ადამიანს. მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ დანაკლისის ანაზღაურება, ნაწილობრივ მაინც, შემდეგი გზით შეიძლება. ნერილობითი წყაროების საშუალებით გამორკვეული გვაქვს პურეულის სად რა ჯიშ-სახესხვაობა იყო მაშინდელს საქართველოს მემინდვრობაში გავრცელებული, ისევე, როგორც უკვე ვიცით იმდროინდელი მევენახეობის საუკეთესო ვაზის ჯიშები ორ ათასეულზე მეტი მაინც, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენს დრომდისაც კი მოაღწია. გამოფენის დამთვალიერებელს რომ სასოფლო მეურნეობის ამ დარგების მაშინდელი დონის ნაწილობრივ გათვალისწინების საშუალება ჰქონდეს, სათანადო სპეციალისტებს დაევალოთ (პროფ. ლ. დეკაპრილევიჩი და დოც. ვ. მენაბდეს) საქართველოს თანამედროვე მეურნეობაში იმდროინდელი კულტურის შერჩენილი წარმომადგენლების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა, მათი ნიმუშების თავთავის სახით და მარცვლებად შეგროვება და საგამოფენოდ მომზადება. ამის წყალობით უკვე გამოიკვია, თუ რას წარმოადგენს ის ქრთილი, რომელიც იმდროინდელს წყაროებში ხშირად გვხვდება, და რა იყო სახელდობრ ის უმდარესი მარცვლეული, რომელიც შ. რუსთაველს აქვს თავის უკვდავ თხზულებაში შეტანილი: „მე მარგალიტი მოგეცი, შენ ქვრიმა დაგიტესია“. ამ მარცვლეულობის გამოფენილ ნიმუშებთან ერთად ექსპერიმენტული გამოკვლევით მოპოვებული ცნობებიც იქნება აღნიშნული თითოეული მათგანის სამეურნეო თვისებების შესახებ.

იმდროინდელი მევენახეობის დონის გასათვალისწინებლადაც გამოფენილი იქნება მაშინდელი საუკეთესო ვაზ-ყურძნის დღევანდლამდე შერჩენილი ჯიშების ლერწი, ფოთლები და შესაფერისი ნივთიერებიდან ხელოვნურად გაკეთებული მტენებიც. აღნიშნული იქნება სათანადო სპეციალისტის ამპელოლოგის პროფ. ს. ჩოლოყაშვილის ექსპერიმენტულს გამოკვლევაზე დამყარებუ-

ლი ზედმინევენიტი ცნობებიც ამ ყურძნის თითოეული ჯიშის ყველა სამეურნეო თვისებაზე.

შინაური ცხოველების მომშენებლობასაც საქართველოს ეკონომიკაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა ამ დარგს განსაკუთრებული ყურადღება არ მიქცეოდა, თუნდაც სხვა ცხოველებისათვისაც თავი დაენებებინა ადამიანს, ცხვრისა და ცხენის პრობლემის მიტოვება ხომ არ შეიძლებოდა. ძველი სურათების მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ თავდაპირველად საქართველოში კუდიანი ცხვრის ჯიში ყოფილა გავრცელებული. ჯერ კიდევ ბატონიშვილი ვახუშტის დროსაც ეს ჯიში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც კი ყოფილა გავრცელებული.

XIX-XX სს. კუდიანი ცხვარი აღმ. საქართველოში უკვე აღარა ჩანს და აქ მთლიანად ე.წ. თუშური ცხვრის ცხიმ-კუდიანი ჯიშია გაბატონებული, ძველი საქართველოს კუდიანი ცხვრის თავდაპირველი ჯიში კი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში არის შერჩენილი. ამ ორი ჯიშის სადაურობისა და გაჩენის ხანის პრობლემები საქართველოს ეკონომიური ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია. თუ კუდიანი ცხვარი ქართული მეურნეობის კუთვნილებად უხსოვარ დროიდანაა ქცეული და ამიტომ ამ ჯიშის გაჩენის საკითხს შ. რუსთაველის ხანასთან არავითარი კავშირი არა აქვს, სამაგიეროდ ცხვრის ცხიმ-კუდიანი, ე.წ. თუშური ჯიშის საქართველოში გაჩენა უშუალოდ სწორედ ამ ხანასთან არის დაკავშირებული.

XII ს. მეორე ნახევრის ერთს ქართულ ხელნაწერში დაცული ნახატის მიხედვით გამორკვეული მაქვს, რომ ამ დროს საქართველოში ცხიმ-კუდიანი ცხვრის ჯიში უკვე ცნობილი ყოფილა და მოიპოვებოდა. მაშასადამე, საქართველოს მეცხოველეობის მეურნეობაში ამ მხრივ დიდი ცვლილება მომხდარა. ცხადია, ვისაც საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკის წარმოდგენა სურს, ქართველი ხალხის მეურნეობისათვის

ამ თვალსაჩინო ცვლილების ნამდვილი ღირებულება გამორკვეული უნდა ჰქონდეს. თუშურ ცხვარს წველაც კარგი აქვს, მისი ხორციც გემრიელია და მატყლსაც ურიგოს არ იძლევა. კუდიან ცხვართან შედარებით ის უფრო მოზრდილიც არის. „თუშური ცხვრის“ ჯიში ზოოტექნიკურად ასე თუ ისე შესწავლილია. პირიქით, სრულებით შესწავლილი არ იყო საქართველოს თავდაპირველი ჯიში, კუდიანი ცხვარი. ვიცით მხოლოდ, რომ ტანით თუშურზე საგრძნობლად უფრო მომცრო და მჭლეა, არც წველა უვარგა და არც ხორცი აქვს თუშურისებრ გემრიელი. სამაგიეროდ კუდიანი ცხვარი თუშურზე უფრო ნაყოფიერია, რადგან წელიწადში ორ-ორ კრავს იგებს ხოლმე და მის მატყლსაც ნაზი ბენვი ურევია. ცხადია, მარტო ასეთი გარეგნული დახასიათებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. თუ საქართველოს მეურნეობაში XII ს. მომხდარი ცვლილების ღირებულების ზედმინევენიტი შეფასება გვწადიან, ე.წ. „იმერული“, ე.ი. კუდიანი ცხვრის ჯიშიც მეცნიერულად, ზოოტექნიკურად ყოველმხრივ უნდა გვყავდეს შესწავლილი. მხოლოდ ამ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, რომ „თუშური“ და „იმერული“ ცხვრის ჯიშების შედარებითი შესწავლით XII ს. საქართველოს ეკონომიკაში მომხდარი ცვლილების სამეურნეო მნიშვნელობა შეუმცდარად შეგვეფასებინა.

უძველესი დროიდანვე ქართულთა ტომები საუკეთესო ცხენებითაც იყვნენ ცნობილნი, შემდეგშიც ქართული ცხენის სახელი ისეთ შორეულ ქვეყანაშიც კი იყო განთქმული, როგორც ძველი რუსეთი იყო. ამისდა მიუხედავად ჩვენებური ცხენი დღევანდლამდის მეცნიერულად სრულებით შესწავლილი არ იყო, შორეული წარსულიდან გადარჩენილი გვაქვს შიომღვიმის მონასტრის ძველი ქვის კანკელის XI-XII ს. ბარიელიეფი, რომელზედაც ცხენოსანი არის გამოქანდაკებული. იქ გამოყვანილი ცხენი მოკლე ტანიანია, მას ლამაზი მაღალი კისერი

და თავი აქვს, თანაც კობტა ნაკეთიან, ჯიშიან ცხენად მოჩანს. მაშინდელი ქართული ცხენის ჯიშის შესაფასებლად, რასაკვირველია, უნდა გამორკვეული ყოფილიყო, თუ თანამედროვე საქართველოში შერჩენილი ცხენი რა ჯიშია და მიაგავს თუ არა იგი თავისი ტანის პროპორციითა და ნაკვთით ცოტად მაინც XI-XII ს. საქართველოში გავრცელებულს ცხენის ჯიშს.

ამნაირად, ამ შემთხვევაშიც უნდა გამორკვეულიყო, გადარჩენილია თუ არა ის ჯიში, რომელიც საქართველოს წარსულში ჰყოლია, თუ ის გადაჯიშდა ან ეგების გადაშენდა და უკვალოდ გაჰქრა კიდევ? ამ საკითხის გამორკვევაც, რასაკვირველია, მხოლოდ ზოოტექნიკური შესწავლის გზით შეიძლება.

ამგვარად, XI-XII ს. საქართველოს მესაქონლეობის სწორი სურათის წარმოსადგენად ჩვენს თანამედროვე მესაქონლეობაში წარსულიდან შერჩენილი შინაური ცხოველების შესწავლა იყო საჭირო და მეცამიტომ დავავალე ამ ამოცანის გადაჭრა სათანადო დაწესებულებას, მაგრამ ამ პრობლემის სასურველი სიღრმე-სიგანით გაშუქება შეუძლებელი შეიქმნა, თუმცა ორი ზემოაღნიშნული საკითხისათვის აუცილებლად საჭირო ცნობები მაინც გვექნება.

სასოფლო მეურნეობის ინტენსიური წარმოება და კულტურული ყოფა-ცხოვრების მაღალი დონე უწყალსადენოდ და უსარწყავარხებოდ წარმოუდგენელია. XII ს. ამ დარგს საქართველოში ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი. თამარის ბრძანებით ისეთი დიდი არხები იყო გამოყვანილი, როგორიც ალაზნისა და სამგორისაა. შიომღვიმეს ორი წლის განუწყვეტელი მუშაობის შემდგომ ანტონ მწიგნობართ-უხუცესმა და ვაზირთა უპირველესმა სხალტბიდან გამოყვანილი წყალსადენი გაუკეთა. სხვაც ბევრია ამის მსგავსი. გამოფენაზე ალაზნის არხის გეგმა, ნახაზები და ფოტოსურათებიც იქნება წარმოდგენილი, შიომღვიმის

წყალსადენის ტექნიკური თვალსაზრისით შესწავლის შედეგად აღიბეჭდება და წყალსადენების თვით მიღები, წყალსაცავი და სხვა მოწყობილობაც გვექნება.

ცნობილია, რომ ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო. ამიტომაც მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფაცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო. რაკი საქართველოს ჩვენს დრომდის არსებული ძველი ქალაქებიდან არც ერთს ძველი საქალაქო კულტურის აღარავითარი ძეგლი შერჩენილი არა აქვს, ამის გამო ნაქალაქარი დმანისის არქეოლოგიურ გათხრას შევუდექით. იმედი გვქონდა იმ ქალაქის იმდროინდელ გეგმას მაინც გამოვარკვევდით, მოწყობილობას ვნახავდით და საყოფაცხოვრებო საგნებს ვიპოვნიდით. წარსული წლის თხრამ, რომელიც დოც. ლ. მუსხელიშვილის მეთაურობით და პროფ. გ. ჩუბინაშვილის კონსულტაციით წარმოებდა, ეს მოლოდინი სრულებით გაამართლა და მომავალი ზაფხულიც, უეჭვლია, იმედს არ გაგვიცრუებს, გამოფენისათვის გამოსადეგ ნივთებს უხვად შეგვეს, რომელნიც მაშინდელი საქალაქო კულტურის წარმოსადგენად მთლიანად გამოყენებული გვექნება.

განსაკუთრებული ყურადღება მიმოსვლისა და სავაჭრო გზებსაც აქვს მიქცეული და ამ საკითხის შესწავლა წყაროების მიხედვით და გზათა მაშინდელი ქსელის რუკისათვის მასალების დამზადება დოც. ნ. ბერძენიშვილს აქვს დავალებული. საგანგებოდ შესწავლილი იქნება თამარ მეფის ბრძანებით გაყვანილი პირდაპირი გზა თბილისიდან ჯავახეთში და გადასავალზე აგებული ფუნდუკები (სასტუმროები), გზების საერთო რუკაცა და თბილის-ჯავახეთის გზის აგებმა-გამოკვლევის შედეგად გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი.

უეჭველია, მომავალი გამოფენის ერთი საინტერესო ექსპონატთაგანი XI-XII ს. თლილი ქვით ნა-

შენი ქართული ასომთავრული დიდტანიანი წარწერით შემკული ხიდის ფოტო-სურათები, განაზოგები, გეგმა და აკვარელით ნახატი საერთო შესახედაობა იქნება, რომელთა სათანადო სპეციალისტების მიერ დამზადება-შესწავლის ხელმძღვანელობა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა იკისრა.

საქართველოს იმდროინდელი შინაგანი და საგარეო ვაჭრობის ობიექტებზე ცნობების გარდა გამოფენაზე დამთვალეირებელს XI-XIII სს. საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და უცხო ფულების მთელი კოლექციაც ექნება თვალწინ და ამას გარდა, საქართველოში ნაპოვნი ფულების საგანძურების რუკა მნახველს ფულების გავრცელების არისა და ინტენსივობის გათვალისწინების საშუალებასაც მისცემს, ნუმიზმატიკური კოლექციის შერჩევა, ფულის გავრცელების რუკის შედგენა და ამ საკითხზე მონოგრაფიული ნაშრომის დაწერა დოც. თამარ ლომოურს აქვს მინდობილი.

დასასრულ, იმდროინდელი აბანოების გეგმის ნახაზებისა და ფოტო-სურათების ნახვით გამოფენის დამთვალეირებელს ადამიანის სხეულის სისუფთავეზე მზრუნველობის მაშინდელი საშუალების გათვალისწინებაც შეეძლება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ხელობის, მწიგნობრობის, ჭედვითი, მეჭურჭლეობისა და სხვა ნიმუშებიც. ქართულ ჭედვითს ხელოვნებაზე გამოკვლევას პროფ. გ. ჩუბინაშვილი ამზადებს. სხვათა შორის, დამთვალეირებელს საშუალება ექნება ნახოს წიგნის შემზადების პროცესის სხვადასხვა მხარე, მხატვრული შემკულობა, აკინძვის წესი, დაკაზმა და ყდების საყურადღებო ნიმუშები.

ქართული კულტურის ზრდა, რასაკვირველია, ამ ხნის მეტყველებასაც უნდა ჰქონდეს აღბეჭდილი და ვისაც მისი ნამდვილი ღირებულების გათვალისწინება სწადიან, უნდა ისიც იცოდეს, თუ რა ლექსიკური მარაგი ჰქონდა ქართულ მწერლობას XI საუკუ-

ნემდე და რა შესძინა ქართულ ენასა და მწერლობას XI-XII სს. შემოქმედებითმა კულტურულმა მუშაობამ. ამ მიზნით შ. რუსთაველის მუზეუმში **ქართული გონებრივი და მატერიალური კულტურის სატერმინოლოგიო და რეალიების ისტორიული ლექსიკონის შედგენას შევუდექით წერილობითი ძეგლებისა და სხვა წყაროების მიხედვით.** თითოეული სიტყვა თუ გამონათქვამი ცალკე ქართაკება. წყაროებიდან ამონაწერებითურთ მოყვანილი ნათარგმნი თხზულებების მიხედვით, ყოველი მათგანის მნიშვნელობის ბერძნული, ლათინური, სომხური და სპარსული შესატყვისობაც იქნება გამორკვეული და ყველა ის ცვლილებაც, რომელიც თითოეულ მათგანს დროთა განმავლობაში დაეცყო, აღინიშნება. გეგმით ლექსიკონი დასურათებული უნდა იყოს თვით რეალიების ნახატებითაც. ამჟამად უკვე 111958 ქართაკია დამზადებული. მუშაობა გრძელდება. ასეთი ლექსიკონის შედგენა სხვათა შორის იმიტომაც არის აუცილებლად საჭირო, რომ მატერიალური კულტურის ნივთიერი ძეგლების ცოდნასთან ერთად ისიც ზედმიწევნით გამორკვეული უნდა გვქონდეს, თუ რა სახელი ეწოდებოდა თითოეულ მათგანს.

როგორც მკითხველი დარწმუნდება, სამუშაო ბევრიც და რთულიც არის. ამ, ზოგადად მოთხრობილი გეგმის მთლიანად განხორციელებისათვის თანამშრომელთა დიდი რაოდენობაც, სახსრებიც და ხელშემწყობი პირობებიც არის საჭირო. პარტიული და მთავრობის ორგანოების მხრივ შ. რუსთაველის მუზეუმს და გამოფენას დიდი ყურადღება ექცევა. წარსულ წელს საკმარ სახსრებიც იყო.

დარწმუნებული ვარ, წელს წარსულთან შედარებით უფრო მეტი დახმარება გვექნება, რათა ამ დიდი დღესასწაულისათვის ღირსეულად მომზადებული წარვედგეთ ჩვენს ქვეყანასაც და მოწვეულ სტუმრებსაც.

ივანე ჯავახიშვილი

უნიკალური ფულის პრეზენტაცია — ბრიტანეთის მუზეუმი — დავით აღმაშენებლის მონეტა

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა 16 წლის ჭაბუკი, მეფე დავით IV. ამ სახელოვანი მეფის ზეობის პერიოდში ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა; დავითმა შეძლო ქვეყნის გაერთიანება და განმტკიცება, რისთვისაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა.

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების ხანაა. საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო გახდა. დავითი განაგრძობდა ორი ტიპის ბიზანტიურტიტულიანი ქართული მონეტების მოჭრას.

პირველ ტიპზე მოთავსებულია წარწერა: „ქრისტე, ადიდე დავით აფხაზთა მეფე და სევასტოსი“, მეორის ცენტრში კი გამოსახულია ჯვარი და წრიული წარწერა:

„ქრისტე, ადიდე დავით მეფე და სევასტოსი“. მოგვიანებით, მეფემ უარი თქვა ბიზანტიურ ტიტულზე და, როდესაც 1118 წელს აიღო ლორე და გააუქმა ტაშირის სამეფო, სპილენძის მონეტა მოჭრა, რომლის ავერსზე გამოსახულია მეფე საიმპერატორო ინსიგნიებით, ხოლო რევერსზე — მედი-



დური წარწერა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“.

ავერსი — საიმპერატორო ტანსაცმელში გამოწყობილი წვეროსანი მეფის გამოსახულება წელს ზევით, პირდაპირ. მარჯვენა ხელში გრძელი სკიპტრით, მარცხენაში — ჯვრიანი სფეროთი,

თავზე — საიმპერატორო გვირგვინით. გამოსახულების მარცხნივ — ასომთავრული „დთ“ — დავით. მარჯვნივ — „მფ“ — მეფე.

რევერსი — მონეტის ცენტრში თანაბარტოტებიანი ჯვრის გამოსახულება. გარშემო ქართული ასომთავრული ლეგენდა: „სახელითა ქრისტესი დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“.

ყველაფერი ეს ჩასმულია ხაზოვან რკალში.

ეს ქართული მონეტა უნიკალურია და დღეს დიდი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. მონეტის წარწერის შინაარსი სრულად ასახავს ქვეყნის რეალურ პოლიტიკურ მდგომარეობას — იმ დროისთვის საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სუვერენული სახელმწიფოა.



მედიცინის მემკვიდრეობა

მედიცინის განვითარება და სამედიცინო კადრების მომზადება საქართველოში მტკიცედ დაუკავშირდა რუსული სამედიცინო მეცნიერების განვითარებას და რუსეთის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტებს. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მიწურულს ქართველ ექიმთა რაოდენობამ, რომლებმაც რუსეთის უნივერსიტეტებში მიიღეს განათლება, 100-ს მიაღწია. მეფის რუსეთის კაპიტალისტური წყობილების პერიოდის ქართველ ექიმთა რიცხვი კი, რომელთა შესახებ სათანადო ცნობები აქვე მოგვყავს, 400-მდეა. მათ დამთავრებული ჰქონდათ რუსეთის ესა თუ ის უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი.



ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 85-მა. ესენი არიან: ნიკოლოზ ჩიგიაძე, 1861; გიორგი ტარსაძე, 1881; აბელ იაშვილი, 1882; სამსონ თოფურიძე, 1885; გრიგოლ ვოლსკი, 1887; კონსტანტინე გრძელიშვილი, 1888; მათე ბახტაძე, 1889; გალაქტიონ ნადირაძე, 1890; გიორგი ბროძელი, 1891; მიხეილ ცისკარიშვილი, 1891; ივლიანე ხოფერიძე, 1891; ლეონტი გოცირიძე, 1893; კონსტანტინე ლორთქიფანიძე, 1893; კონდრატი მხეიძე, 1893; დავით ლორთქიფანიძე, 1894; სიმონ ჯაფარიძე, 1894; კლიმენტი თოფურიძე, 1896; ვლადიმერ მახვილაძე, 1896; გიორგი ქორქაშვილი, 1896; გაბრიელ გოკიელი, 1898; ვარლამ მოსეშვილი, 1898; გიორგი ლოლობერიძე, 1898; ნიკოლოზ ჯანდიერი, 1899; ივანე ასათიანი, 1900; გაბრიელ გვერნითელი, 1900; ვიქტორ ხუსკივაძე, 1900; ლევან ფაველენიშვილი, 1901; მიხეილ კილა-სონიძე, 1902; სიმონ ამირეჯიბი, 1903; ვალერიან ლორთქიფანიძე, 1904; ვახტანგ მუსხელიშვილი, 1904; ლავრენტი ფირცხალავა, 1904; დავით ჯაფარიძე 1904; მიხეილ მირზაშვილი, 1905; სევერიან ჭოლოშვილი, 1905; ალექსანდრე ნათიშვილი, 1906; ალექსანდრე სავანელი, 1906; სოლომონ ნერეთელი, 1906; რაჟდენ შუშანია, 1907; მიხეილ ბეთანელი, 1909; სტეფანე ბეთანელი, 1910; ნიკოლოზ გამრეკელი, 1910; კონსტანტინე გურგენიძე, 1910; ალექსან-

დრე დევიძე, 1910; ვლადიმერ კუჭაიძე, 1910; გრიგოლ მშველიძე, 1910; მიხეილ წინამძღვრიშვილი, 1910; ერმალოზ აბულაძე, 1911; ვალერიან კაკოიშვილი, 1911; აპოლონ ტყემალაძე, 1911; ევგენი შალამბერიძე, 1911; ილია ჩოგოვაძე, 1911; ვლადიმერ ციციშვილი, 1911; იონა გაბიჩვაძე, 1912; მინა მარუაშვილი, 1912; პლატონ ჯაში, 1912; გიორგი ავალიშვილი, 1913; პავლე კავილაძე, 1913; სამუელ კეკელია, 1913; გრიგოლ ნათიძე, 1913; ნიკოლოზ ორლოვსკი, 1913; ალექსანდრე წულუკიძე, 1913; მიხეილ ალადაშვილი, 1914; გრიგოლ კახიძე, 1914; გრიგოლ კეკელია, 1914; ივანე ლორთქიფანიძე, 1914; ვარლამ შერვაშიძე, 1914; ვლადიმერ ცეცხლაძე, 1914; ილია მამულია, 1915; ვახტანგ მაჩაბელი, 1915; ვლადიმერ ხვედელიძე, 1915; კირილე გურგენიძე, 1916; კლიმენტი იოსელიანი, 1916; ირაკლი პაპავა, 1916; ლევან ნერეთელი, 1916; ალექსანდრე ჯავრიშვილი, 1916; გიორგი ამაშუკელი, 1917; ნინო ივანოვა-ამირეჯიბი, 1917; ბეგლარ გობეჩია, 1917; სიმონ გურგენიძე, 1917; ილია თოფურიძე, 1917; კონსტანტინე კოკოჩაშვილი, 1917; მარიამ მაჩაბელი, 1917; მარიამ ონიაშვილი, 1917; ნიკოლოზ ჯანდიერი, 1917.

მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 55-მა ქართველმა: ვასილ გამრეკელი, 1864; სოლომონ მრევილიშვილი, 1864; ალექსანდრე ბახუტაშვილი, 1868; გრიგოლ მაღა-

ლაშვილი, 1868; მიხეილ სულხანიშვილი, 1869; რომან მაჭავარიანი, 1875; კონსტანტინე ბახუტაშვილი, 1876; გიორგი კახიანი, 1876; აბგარ ფანიაშვილი, 1879; გრიგოლ ელიავა, 1883; გიორგი იოსელიანი, 1883; დავით გედევანიშვილი, 1884; სიმონ ხეჩინაშვილი, 1884; ტიტე ქიქოძე, 1886; მიხეილ გედევანიშვილი, 1889; ივანე ელიაშვილი, 1893; იოსებ თუმანიშვილი, 1893; მაქსიმე ლამბარაშვილი, 1893; გიორგი ბადრიძე, 1894; კონდრატი კოჩინევი, 1895; მიხეილ მზარეულაშვილი, 1895; ლუკა ჯავახიშვილი, 1896; ერმილე ხუნდაძე, 1897; ალექსანდრე დიასამიძე, 1898; ივანე გომართელი, 1899; კონსტანტინე ელიოზიშვილი, 1899; იაკობ მეფისაშვილი, 1902; სპირიდონ ჯაფარიძე, 1903; ნიკოლოზ ხორავა, 1905; ნიკოლოზ რუხაძე, 1906; მიხეილ ასათიანი, 1907; ივანე ბოკერია, 1907; მიხეილ არჯევანიძე, 1909; მიხეილ ზანდუკელი, 1909; ვლადიმერ ნემსაძე, 1909; სიმონ ქვარიანი, 1909; იოსებ ჭიჭინაძე, 1909; იოსებ აბაკელია, 1911; სიმონ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძე, 1911; ივანე დემურია, 1912; ალექსანდრე კანდელაკი, 1912; გრიგოლ გაგუა, 1914; ლიუდმილა თავზარაშვილი, 1914; დიმიტრი კახნიაშვილი, 1914; ივანე მჭედლიძე, 1914; ნიკოლოზ პოლუმორდვინოვი, 1914; იოსებ სიმონიშვილი, 1914; მიხეილ ცხაკაია, 1914; მიხეილ დავითაშვილი, 1916; გიორგი ელიავა, 1916; გრიგოლ კუჭაიძე, 1916; ვა-

სილ კანდელაკი, 1917; კონსტანტინე ტატიშვილი, 1917; თამარ ჯავახიშვილი-ყავრიშვილი, 1917; ვალერიან ჯაფარიძე, 1917.

ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 47-მა: ანდრია ლორთქიფანიძე, 1904; მელიტონ არეშიძე, 1905; პლატონ გიგინეიშვილი, 1905; შალვა ანტონის ძე მიქელაძე, 1907; კაპიტონ მეუნარგია, 1907; ანდრია პატარაია, 1907; იასონ ჟორდანი, 1907; კონსტანტინე ადამია, 1908; ვასილ ბერეჟიანი, 1908; კონსტანტინე ტყეშელაშვილი, 1908; ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი, 1910; გიორგი გრიგორაშვილი, 1910; შალვა დარახველიძე (კრინიცი), 1910; ნიკოლოზ კახიანი, 1910; მიხეილ ლოლუა, 1910; ნიკოლოზ ხეჩინაშვილი, 1911; ეფრემ ზაქარაია, 1912; სამსონ ლეჟავა, 1912; ბორის დოლობერიძე, 1912; სიმონ ყიფშიძე, 1912; ლუკა ცაგარელი, 1912; ნიკოლოზ ანდრიაძე, 1913; ვალერიან კანდელაკი, 1913; რევაზ მაჩაბელი, 1913; სტეფანე მურმანიშვილი, 1913; გიორგი ნიჟარაძე, 1913; გრიგოლ რეკვავა, 1913; კონსტანტინე ჯაფარიძე, 1913; ისააკ ხათრიძე, 1913; ალექსანდრე ალექსიძე, 1914; კირილე ბარნაბიშვილი, 1914; გრიგოლ გეგელაშვილი, 1914; ილია კარგა, 1914; სიმონ საყვარელიძე, 1914; ივანე სემერჯიევი, 1914; კლავდი ტყემალაძე, 1914; გრიგოლ ციციშვილი, 1914; პეტრე ჯაფარიძე, 1914; ანდრია წერეთელი, 1914; სერგი ხეჩინაშვილი, 1914; მიხეილ იაშვილი, 1915; იოსებ ასლანიშვილი, 1915; მიხეილ ტყემალაძე, 1915; პეტრე ქავთარაძე, 1915; მიხეილ გეგელაშვილი, 1916; ალექსანდრე იმერლიშვილი, 1916; არქიპო ქეზულაძე, 1916.

კიევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 35-მა: სიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, 1882, პოლიკარპე ჩხიკვიშვილი, 1884; დიმიტრი ერისთავი, 1886; სერგო სემხი, 1889; სვიმონ გოგიტიძე, 1897; დიმიტრი აბულაძე, 1898; ეპიფანე შენგელია, 1898; გიორგი ჭოლოშ-



სიმონ ხეჩინაშვილი

ვილი, 1898; გიორგი ჯორჯიკია, 1898; ალექსი ბალარჯიშვილი, 1899; ვასილ წერეთელი, 1899; პოლიექტი კიკალიშვილი, 1900; ალექსანდრე თუმანიშვილი, 1901; იასონ ბერიშვილი, 1905; ნიკოლოზ ჯავახიშვილი, 1908; მიხეილ ვაჩნაძე, 1910; სიმონ აბაშიძე, 1911; ნოე ფხაკაძე, 1913; ბელა ჩხიკვიშვილი, 1913; ნიკოლოზ ხრამელაშვილი, 1913; ნიკოლოზ დემეტრაძე, 1914; ანა კარგარეთელი, 1914; მიხეილ მაჭარაშვილი, 1814; სევერიანე შარაშიძე, 1914; სამსონ ჩხიკვიშვილი, 1914; ალექსანდრე წერეთელი, 1914; ალექსანდრე ფხაკაძე, 1915; იპოლიტე ჩხეტია, 1915; გრიგოლ აბდუშელიშვილი, 1916; ემელიან გაბრიჩიძე, 1916; გიორგი ვაჩნაძე, 1916; დავით მარინაშვილი, 1916; გიორგი მღებრიშვილი, 1916; იოსებ მჭედლიშვილი, 1917; გიორგი რუსიშვილი, 1917.

იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 33-მა: ალექსანდრე შატილოვი, 1897; იაკობ გრძელიშვილი, 1899; სამსონ დიდიძე, 1899; ნიკოლოზ მელიქიშვილი, 1900; ილია ჯაში, 1901; ნიკოლოზ მრევლიშვილი, 1902; გიორგი ნათიშვილი, 1902; მიხეილ ჩხენკელი, 1902; ზებედე ცხვედაძე, 1902; ალექსანდრე ალადაშვილი, 1904; იასონ მუჯირი, 1904; კონსტანტინე რობიტაშვილი, 1904; დიომიდე ფან-

ცხავა, 1906; ალექსანდრე ანთაძე, 1907; ევსესი ლოსაბერიძე, 1907; ილარიონ ტოგონიძე, 1907; იოსებ შავგულიძე, 1907; ილია ახმეტელი, 1908; რაჟდენ ნანეიშვილი, 1908; ალექსანდრე ქუთათელაძე, 1909; ილია გეგელაშვილი, 1910; იოსებ ლომოური, 1912; ყადირ შევაშიძე, 1912; ნიკოლოზ გულისაშვილი, 1913; სიმონ კანდელაკი, 1913; ერმალოზ თოდაძე, 1915; გაბრიელ კელენჯერიძე, 1915; სილოვან ნიკურაძე, 1915; გიორგი გელოვანი, 1916; არსენ ვადაჭკორია, 1916; დავით ჟორდანი, 1916; დავით ზარდიაშვილი, 1917; ილია კვიჟინაძე, 1917.

ტომსკის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 6-მა: სპირიდონ ვირსალაძე, 1896; სიმონ გრძელიშვილი, 1900; პავლე გარსიაშვილი, 1908; გრიგოლ მუხაძე, 1908; მიხეილ ვეფხვაძე, 1912; არონ ჯორბენაძე, 1914.

ყაზანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა 2-მა: ვასილ მანსვეტაშვილი, 1885; ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, 1910.

პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია დაამთავრა 45-მა: ივანე თარხნიშვილი, 1871; მიხეილ ქანანაშვილი, 1873; ქაიხოსრო ფურცელაძე, 1874; ილია გოპაძე, 1878; დიმიტრი ნაზარიშვილი, 1878; სპირიდონ ვანაძე, 1883; მოსე კალანდარიშვილი, 1886; სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, 1890; იოსებ ჯინოშვილი, 1890; ვსესლავ შენგელიძე, 1892; კონსტანტინე მიქაბერიძე, 1893; ივანე თიკანაძე, 1894; ვარლამ ჭიჭინაძე, 1894; დიმიტრი ახვლედიანი, 1896; სამსონ ვაშაყმაძე, 1897; აბრამ თეთრაძე, 1898; ნოე მხეიძე, 1899; დავით მგელაძე, 1903; ივანე (მამია) ორახელაშვილი, (1908); ვლადიმერ კლდიაშვილი, 1909; სერგო ხუნდაძე, 1909; თომა აკოფაშვილი, 1910; დავით ლომინაძე, 1912; აკაკი ვეკუა, 1913; შალვა კოკჩაშვილი, 1913; ივანე კონიაშვილი, 1913. ვიანორ ანჩაბაძე, 1914; კონსტანტინე არდიშვილი, 1914;



სიმონ ხაჩინაშვილის უზუალო ხელმძღვანელობით და საპროექტო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობით გასული საუკუნის 70-იან წლებში აიგო ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკის შენობა, რომელიც იმთავითვე მის სახელს ატარებდა და იწოდებოდა სიმონ ხაჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკად.

ნიკოლოზ გეგეჭკორი, 1914; ალექსანდრე კეკელია, 1914; ნიკოლოზ მახვილაძე, 1914; ნიკონ ფოფხაძე, 1914; დავით ფალავა, 1914; ყარამან ფალავა, 1914; მიხეილ ქიქოძე, 1914; იოსებ ჩარკვიანი, 1914; სიმონ ჩიქოვანი, 1914; ნიკოლოზ ყიფშიძე, 1914; მიხეილ მუჯირი, 1916; არკადი ნინუა, 1916; სერგო ოდიშარია, 1916; დავით იოსელიანი, 1917; ვიქტორ სიხარულიძე, 1917; კლიმენტ ლომიძე.

პეტერბურგის ქალთა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა 7-მა: ოლღა მირზაშვილი-ჩოფიკაშვილი, 1900; მარიამ იოსელიანი, 1902; სოფიო მამრადე, 1908; ელენე ჩიჯავაძე, 1913; ვერა კაკაბაძე-შენგელაია, 1914; ევგენია კვებერელი-კოპაძე, 1914; ანა ლორთქიფანიძე-ქავთარაძე, 1914.

საზღვარგარეთ კი უმაღლესი სამედიცინო განათლება მიიღო 17-მა: პელაგია ნაცვლიშვილმა ციურისში, 1877; ივანე ლულაძემ ვარშავაში, 1891; მარიამ ბაქრაძე-დედაბერმაპარიზში, 1897; პეტრე მერაბიშვილმა პარიზში, 1900; ნიკოლოზ ტურიაშვილმა მიუნხენ-

ში, 1907; გაბრიელ ღამბარაშვილმა ბერლინში, 1907; შამშე ლეჟავამ ვენაში, 1908; იუსტინე ჯანელიძემ ჟენევაში, 1909; იორდანე გოცაძემ მიუნხენში, 1910; მიხეილ მგალობლიშვილმა, ვენაში, 1910; გიორგი ჭედიამ პარიზში, 1912; ბესარიონ ოქროპირიძემ ვენაში, 1912; კასიანე ინგოროყვამ პარიზში, 1913; ვალერიან აბზიანიძემ ლაიფციგში, 1914; სერგი ზედგენიძემ ჟენევაში, 1914; მარიამ უგრელიძემ ჟენევაში, 1914; სიმონ ბენაშვილმა ლიონში, 1916.

კაპიტალისტური წყობილების პერიოდის ექიმებიდან, ჩვენ მიერ შეგროვილი მასალის მიხედვით, დაახლოებით 150 ექიმი მუშაობდა მაზრის ექიმად, 90 — ქალაქის ექიმად, 60 — სოფლის ექიმად და 50 — სამხედრო ექიმად. ბევრმა ექიმმა სხვადასხვა დროს იმუშავა, როგორც სოფლის, ერობის, მაზრისა და ქალაქის, ისე სამხედრო ექიმად.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ექიმებს მოეთხოვებოდათ მედიცინის ყველა დარგის ცოდნა, ყველა სპეციალობაში გარკვევა

და საჭიროებისამებრ ავადმყოფისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა, უკვე მაშინ ჩვენშიც დაეტყო ექიმებს დახელოვნება ამა თუ იმ სპეციალობაში.

იმ დროის ექიმები, მოღვაწეობის ხასიათის მიხედვით, შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი — 60 (ვ. აბზიანიძე, თ. აკოფაშვილი, გ. ანჩაბაძე, ი. ახალშენიშვილი, გ. ბროძე, მ. გეგელაშვილი, ბ. კობერია, მ. დავითაშვილი, ა. დევძიძე, ს. ზედგენიძე, ა. თუმანიშვილი, მ. იაშვილი, პ. კავილაძე, ვ. კანდელაკი, ი. კარგა, ი. კვიჟინაძე, გ. კუჭაიძე, დ. ლომინაძე, ი. მამულაია, გ. მშველიძე, გ. ნიჟარაძე, ი. სემერჯიევი, ვ. სიხარულიძე, ი. ტოგონიძე, ი. ფრანგულიანი, ტ. ქიქოძე, ი. ჩხეტია, ს. ჩხიკვეშვილი, ლ. ცაგარელი, გ. ჭედია, პ. ჯაში, ა. ჯორბენაძე და სხვ.);

ანატომი, ტოპოგრაფ-ანატომი და ჰისტოლოგი — 5 (ნ. დემეტრაძე, ვ. კაკოიშვილი, ა. ნათიშვილი, ვ. ცეცხლაძე, ს. საყვა-

რელიდები;

ფიზიოლოგი — 1 (ი. თარხნიშვილი);

პათოლოგანატომი — 1 (შ.

დარახველიძე-კრინიცი);

სასამართლო მედიკოსი —

1 (კ. ტატიშვილი);

ფარმაცოლოგი — 1 (ვ. მოსეშვილი);

მიკრობიოლოგი — 6 (ს. ამირეჯიბი, ნ. ივანოვა-ამირეჯიბი, კ.

გურგენიძე, გ. ელიაშვილი, ე. ჩიძავაძე, ი. ხათრიძე);

ჰიპოქრატისტი — 4 (ი. ელიაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, ვ. სიხარულიძე, ლ. წერეთელი);

ინფექციონისტი — 7 (ნ. ანდრიაძე, მ. ბაქრაძე-დედაბერი, ე. გაბრიჩიძე, ვ. ნემსაძე, დ. ფალავა, ვ. ხვედელიძე, ნ. ჯანდიერი);

ფთიზიატრი — 8 (ი. აბაკელია, ი. გოპაძე, ნ. გეგეჭკორი, ი. დემურია, დ. ლორთქიფანიძე, ი. ლომოური, ს. შარაშიძე, ა. წერეთელი);

ტროპიკოლოგი — 9 (ს. კანდელაკი, ვ. ლორთქიფანიძე, მ. მარუაშვილი, მ. მუჯირი, ი. მჭედლიძე, ბ. ოქროპირიძე, ნ. რუხაძე, პ. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე);

თერაპევტი — 115 (ს. აბაშიძე, ე. აბულაძე, ა. ალადაშვილი, მ. ალადაშვილი, ან ანთაძე, გ. ამამუკელი, პ. არდაზიანი, მ. არეშიძე, ი. ასათიანი, დ. ახვლედიანი, მ. ახმეტელაშვილი, ა. ბახუტაშვილი, კ. ბახუტაშვილი, ს. ბეთანელი, ს. ბენაშვილი, ვ. ბერეჟიანი, ვ. გამრეკელი, ნ. გამრეკელი, ნ. გაჩეჩილაძე, გ. გვერდთელი, პ. გიგინეიშვილი, გ. გოკიელი, ი. გომართელი, კ. გონიაშვილი, ი. გოცაძე, გ. გრიგორაშვილი, ი. გრძელიშვილი, კ. გრძელიშვილი, კ. გურგენიძე, ს. გურგენიძე, ს. დიდიძე, გრ. ელიაშვილი, ე. ელიოზიშვილი, დ. ერისთავი, ნ. ერისთავი, გ. ვაჩნაძე, მ. ვაჩნაძე, სპ. ვირსალაძე, დ. ზარდიაშვილი, ს. თოფური, გ. ვოლსკი, ა. იაშვილი, კ. იოსელიანი, ვ. კაკაბაძე-შენნის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. ამავე დროს იგი პრაქტიკულად ხელოვნდებოდა ელექტროთერაპიაში ჰუეს ხელმძღვანელობით.

გ. გოკიელი მუშაობდა პარიზში,

დელაფუას, ლეგეს და სხვათა კლინიკებში, სადაც შინაგან სნეულებებში და მკურნალობის ფიზიკურ მეთოდებში ხელოვნდებოდა. მან შვეიცარიაშიც იმოგზაურა საკურორტო საქმეში დახელოვნების მიზნით.

ი. გომართელი შინაგან სნეულებათა დარგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად მუშაობდა ჰანოვერისა და ბერლინის კლინიკებში.

ი. გოპაძე სამკურნალო მასაჟის დარგში დახელოვნდა შვეიცარიაში ბერლინთან.

ა. დიასამიძემ პარიზის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის საავადმყოფოებსა და კლინიკებში აიმაღლა კვალიფიკაცია თავის სპეციალობაში.

გ. ელიაშვილი მიკრობიოლოგიაში დახელოვნდა პასტერის ინსტიტუტში (პარიზი).

სპ. ვირსალაძე ტროპიკულ ავადმყოფობათა დარგში დახელოვნების მიზნით მუშაობდა იტალიის, გერმანიის (ჰამბურგის, ბერლინის), საფრანგეთის (პარიზის) და ინგლისის (ლონდონის) დიდ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

ი. თარხნიშვილს უმუშავნია ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქსა და სამეცნიერო ცენტრში. იგი დაახლოებული იყო იმ დროის სახელმწიფო ფიზიოლოგებთან (კლოდ-ბერნარი და სხვ.).

ე. თოდაძემ უროლოგიაში კვალიფიკაცია აიმაღლა გერმანიის სხვადასხვა კლინიკაში.

ს. თოფურიამ თეორიული ცოდნის გაღრმავების მიზნით იმუშავა ბერლინის პათოლოგანატომიურ ინსტიტუტში რ. ვირხოვთან, ხოლო თერაპიაში დახელოვნდა გერმანიისა და შვეიცარიის სხვადასხვა კლინიკაში.

ი. თუმანიშვილმა მეან-გინეკოლოგიაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმუშავა ვენისა და ბერლინის გინეკოლოგიურ კლინიკებში.

ს. კანდელაკი ტროპიკოლოგიაში დახელოვნდა რომის, ლონდონის, პარიზის და ჰამბურგის ტროპიკული მედიცინის ცნობილ ინს-

ტიტუტებში.

ი. კონიაშვილმა კურორტოლოგიასა და ფიზიოთერაპიაში დახელოვნებისათვის იმუშავა საფრანგეთის, იტალიის, ჩეხეთ-სლოვაკეთის სათანადო დაწესებულებებში.

ნ. მახვილაძე თერაპიისა და პროფესიული სნეულებების დარგებში დახელოვნდა დასავლეთ ევროპის სათანადო დაწესებულებებში.

მ. მაგლობლიშვილი გინეკოლოგიაში დახელოვნდა ვენის გინეკოლოგიურ კლინიკებში.

შ. მიქელაძემ თერაპიაში კვალიფიკაცია აიმაღლა პარიზის კლინიკებში.

კ. მხეიძე უროლოგიის დარგში დახელოვნდა ლონდონის კლინიკებში.

ს. ოდიშარიამ რენტგენოლოგიაში კვალიფიკაცია აიმაღლა გერმანიის რენტგენოლოგიურ დაწესებულებებში.

ნ. რუხაძე მაღარიოლოგიაში დახელოვნდა იტალიის ტროპიკული მედიცინის დაწესებულებებში.

ა. სავანელმა ფსიქიატრიაში ცოდნა გაიღრმავა გერმანიის ფსიქიატრიის კლინიკებში.

გ. ტარსაიძემ თვალის სნეულებათა დარგში დახელოვნების მიზნით იმუშავა გერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრიის თვალის სნეულებათა კლინიკებში.

კ. ტყემელაშვილმა დერმატოლოგიაში და ვენეროლოგიაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმუშავა დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კლინიკებში.

ა. წულუკიძე უროლოგიის დარგში დახელოვნდა გერმანიისა და საფრანგეთის კლინიკებში.

ს. ხეჩინაშვილი დახელოვნდა თავის სპეციალობაში დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს თერაპიულ კლინიკებში.

ი. ხოფერია შინაგან სნეულებათა დარგში დახელოვნდა ბერლინის კლინიკებში.

ნ. ჯანდიერი გაეცნო კლინიკებს ვენაში — აიზელსბერგისა და ნოტნაგელის, ბერლინში — ბარისა და ბერგმანის და სხვ.

ქართველი ექიმები, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მატერიალურ სიღინწოვესაც კი განიცდიდნენ, მაინც კერძო პრაქტიკას არ ეტანებოდნენ, საზოგადოებრივ და საქველმოქმედო საქმეებში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდნენ.

ისინი ზედმინევენით ხშირად უსასყიდლო საექიმო დახმარებას უწევდნენ ამბულატორიებს, ქსენონებს (გ. გელოვანი, პ. გიგინეიშვილი, დ. ერისთავი, ო. ზანდუკელი, ს. თოფურია, დ. ნაზარიშვილი, ს. ხეჩინაშვილი და სხვ.), თბილისის ოპერის თეატრის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს, ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ პერსონალს, მათი ოჯახის წევრებს და მოწაფეებს (დ. გედევანიშვილი), ქუთაისის დრამატული თეატრის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს, კლასიკურ და სათავადაზნაურო გიმნაზიების პედაგოგიურ პერსონალს, მათი ოჯახის წევრებს და მოწაფეებს (გ. გოკიელი, დ. ნაზარიშვილი, ს. ხეჩინაშვილი, ე. ხუნდაძე), თიანეთის მაზრის გარნიზონის სამხედრო ნაწილს (მ. გედევანიშვილი და სხვა).

ქართველ ექიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი (ი. გომართელი, კ. მიქაბერიძე, ნ. მხეიძე, გ. ნადირაძე, ა. ფანიაშვილი, გ. ლოლობერიძე, ს. ხეჩინაშვილი, ნ. ჯანდიერი და სხვები) ღარიბ მოსახლეობას უსასყიდლოდ მკურნალობდა და ხშირად უზრუნველყოფდა მათ ნამლებითაც.

ქართველი ექიმების მნიშვნელოვანი ნაწილი (ს. ალექსი-მესხიშვილი, გ. ბადრიძე, მ. ბახტაძე, დ. გედევანიშვილი, კ. ელიოზიშვილი, გ. ვოლსკი, მ. მარუაშვილი, ნ. მელიქიშვილი, კ. მიქაბერიძე, პ. ჩხიკვიშვილი და სხვ.) პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მუშაობდა სკოლის ექიმად და ასწავლიდა მოწაფეებს ანატომიას, ფიზიოლოგიას და ჰიგიენას; ზოგი (კ. მიქაბერიძე და სხვ.) პედაგოგიურ მოღვაწეობაში მიღებული ჰონორარის დიდ ნაწილს ღარიბ მოწაფეებს ახმარდა.

ამან განაპირობა მოსახლეობის



**დავით გედევანიშვილი —
საქართველოს წითელი
ჯვრის საზოგადოების
თავმჯდომარის მოადგილე**

მხრივ ამ პერიოდის ექიმებისადმი დიდ სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა.

ქართველ ექიმთა სასახელოდ ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი სპეციალისტი და დიდი სახელის მქონე არა ერთი მათგანი, გარდა დიდი ქალაქებისა, მუშაობდა პატარა ქალაქებშიც, სამაზრო ცენტრში და სასოფლო უბანზეც კი. მაგალითად, გრიგოლ მუხაძე მუშაობდა ჭიათურაში, ალექსანდრე შატილოვი — ბათუმში, იოსებ აბაკელია — ოზურგეთში (მახარაძეში), ივანე გომართელი — ჯიხაშში, ნიკოლოზ ჯანდიერი — სიღნაღში, გიორგი ჯორჯიკია — ჩოხატაურისა და ლანჩხუთის უბანში სოფლის საავადმყოფოს ექიმად და ა.შ.

ბევრი მათგანი დროებით მუშაობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ (კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ივანე ელიაშვილი, კლიმენტი თოფურიძე — ბაქოში, მოსე კალანდარიშვილი — კავკავში, ალექსანდრე სავანელი — ხარკოვში, ივანე ლულაძე — ვარშავაში, ნიკოლოზ ჯანდიერი — კურსკის გუბერნიაში და ა.შ.).

ზოგი ქართველი ექიმი მუდმივ მუშაობდა რუსეთის და საბჭოთა

კავშირის დიდ სამეცნიერო ცენტრებში. მაგალითად, ივანე თარხნიშვილი, შალვა იასონის ძე მიქელაძე — პეტერბურგში (პეტერბურგში), შალვა დარახველიძე (კრინიცი) — ვარშავაში და დონის როსტოვში, კონსტანტინე ტატიშვილი — ბაქოსა და მოსკოვში, იუსტინე ჯანელიძე — პეტერბურგში, კონსტანტინე შხვაცაბაია — მოსკოვში, დიმიტრი აბულაძე — კიევში და სხვ.

უცხოეთში, ქ. ციურიხში (შვეიცარია) მუშაობდა პირველი ქართველი ექიმი ქალი პელაგია ნაცვლიშვილი, პეტრე მერაბიშვილი კი ქ. ადის-აბეზაში (ეთიოპია) და სხვ.

დიდი და სასარგებლო იყო ქართველი ექიმების საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. ბევრი ქართველი ექიმი (კ. ბახუტაშვილი, მ. ბაქრაძე-დედაბერი, ვ. გამრეკელი, მ. გედევანიშვილი, ა. დიასამიძე, ს. ვირსალაძე, ა. თეთრაძე, ა. იაშვილი, მ. კალანდარიშვილი, ს. მრევლიშვილი, მ. მზარეულიშვილი, გ. ნადირაძე, გ. ტარსაიძე, ტ. ქიქოძე, ი. ჩიგინი და სხვ.) იყო კავკასიის სამედიცინო საზოგადოების აქტიური წევრი.

დავით გედევანიშვილი იყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, კ. მიქაბერიძე — ფოთში წითელი ჯვრის საზოგადოების ფილიალის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

გიორგი მაღალაშვილი იყო ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების (1916) პირველი თავმჯდომარე, ს. ვირსალაძე — ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი და მეორე თავმჯდომარე, ხოლო ი. ელიაშვილი იყო ამ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

დ. ნაზარიშვილი და ს. ხეჩინაშვილი სხვადასხვა დროს იყვნენ ქუთაისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების თავმჯდომარეები, გ. ელიაშვილი — ბათუმის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე.

მ. ქანანაშვილი იყო საქართველოს პირველი გინეკოლოგიური

საზოგადოების აქტიური წევრი და მდივანი, ვ. ჭიჭინაძე — თბილისის კბილის ექიმთა საზოგადოების დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე, ხოლო მ. მენაღარიშვილი — აჭარის კბილის ექიმთა საზოგადოების პირველი თავმჯდომარე.

მ. ლაბარაშვილი იყო მოსკოვის რუს ქირურგთა საზოგადოების დამფუძნებელი ჯგუფის წევრი, ნ. ხორავა — მოსკოვის კბილის ექიმთა საზოგადოების წევრი, ხოლო ვ. შენგელიძე — ვარშავის უნივერსიტეტთან არსებული რუს ექიმთა საზოგადოების წევრი.

ს. გოგიტიძემ ჩამოაყალიბა ოდესის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება და იყო მისი პირველი თავმჯდომარე.

ი. თარხნიშვილი იყო რუსეთის, ევროპისა და ამერიკის არა ერთი ქვეყნის ფიზიოლოგთა და სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი.

ს. ხეჩინაშვილი იყო „კავკასიაში ტუბერკულოზთან მებრძოლი საზოგადოების“ თავმჯდომარე, ი. გოპაძე — ამ საზოგადოების გამგეობის წევრი, ხოლო გ. გოკიელი საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელიც სისტემატურად ხელმძღვანელობდა „გვირილის დღის“ ჩატარებასა და მოსახლეობას განუმარტავდა მის დიდ მნიშვნელობას.

მ. ციკარიშვილი იყო საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების წევრი, ი. გოპაძე — ამ საზოგადოებასთან შექმნილი სამეცნიერო-სატერმინოლოგიო საექიმო წრის თავმჯდომარე, საქართველოს ჯანსაზღვრის ტუბერკულოზის საბჭოს წევრი.

სახალხო საქმეებში ქართველი ექიმები არაფერში უკან არ იხევდნენ. მათი თაოსნობით საქართველოში დაარსდა საავადმყოფოები, ამბულატორიები, ქსენონები, სოფლის საექიმო პუნქტი, აფთიაქები.

მაგალითად, ძ. თბილისში დაარსდა ქართველ ექიმთა კოლეგტივის პირველი სამკურნალო (მ. გადევანიშვილი) და თვალის სნეულებათა



გიორგი მაღალაშვილი — ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების (1916 წ.) პირველი თავმჯდომარე

20 საწოლიანი საავადმყოფო (ბ. ტარსიძე); ძ. ქუთაისში — 75 საწოლიანი პირველი სტაციონარი სხვადასხვა განყოფილებაებით, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით (ს. თოფურიანი), კერძო საავადმყოფო (ბ. ნადირაძე), პირველი საძალაძო საავადმყოფო (დ. ნაზარიშვილი), 200 საწოლიანი საავადმყოფო ე.წ. სალორის ტყეში (დ. ნაზარიშვილი, ს. ხეჩინაშვილი, გ. გოკიელი); ძ. ბათუმში — 120 საწოლიანი საავადმყოფო (ბ. ვოლსკი, პ. მხეიძე). ექიმების ცდით დაარსდა, აგრეთვე, საავადმყოფოები ძ. გორში (პ. ელიოზიშვილი და სხვ.), ძ. ფოთში (პ. მიქაბერიძე), სენაკში (ი. ხოფურიანი), აბაშაში (ბ. ჯორჯიკია), ს. ველისციხეში (ნ. ჯანდიერი), ს. გორისაში (ი. გომართელი). სოფლის 18 საავადმყოფოს დაარსების ხელისშემწყობი იყო ტ. ქიქოძე. ნ. მაღლიქიშვილის ინიციატივით ძ. შამახაში აშენდა ამიერკავკასიაში პირველი ქალაქის სამაზრო საავადმყოფო;

მო; მის მიერვე თბილისში, ახლანდელ შეროზიას ქუჩაზე, 1909 წელს დაარსდა კერძო სამკურნალო 50 საწოლით და ამბულატორიით.

ქართველი ექიმების მეთავეობით დაარსდა საექიმო ამბულატორიები: ქუთაისში (დ. ნაზარიშვილი, გ. გოკიელი), ფოთში (პ. მიქაბერიძე), აბაშაში (გ. ჯორჯიკია), სამტრედიაში (რ. ნანეიშვილი, ი. ჯაში). მათივე ინიციატივით გაიხსნა საექიმო პუნქტი და სამშობიარო სახლი ქვემო ნიქოზში (პ. ელიოზიშვილი), შეიქმნა მაღარიის საწინააღმდეგო ამბულატორიული ქსელი (ტ. ქიქოძე), გაიხსნა ქსენონები — დიდ ჯიხაშში (ი. გომართელი, პ. ლორთქიფანიძე), ნაოლაღევში (ი. ხოფურიანი), კახეთის სოფლებში (ტ. ქიქოძე). ქართველი ექიმების თაოსნობით მოეწყო აფთიაქები: ოზურგეთში (დ. ერისთავი), აბაშაში (გ. ჯორჯიკია), ველისციხეში (ნ. ჯანდიერი), ზანგეზურის მაზრაში (მ. გადევანიშვილი).

ექიმების საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მხოლოდ სამკურნალო დაწესებულებების აშენებითა და ორგანიზაციით.

არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი უბანი, სადაც ქართველ ექიმებს თავისი სიტყვა არ ეთქვათ და მნიშვნელოვანი კვალი არ დაემჩნიათ. ბევრი მათგანი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი (მ. ბახტაძე, გ. ელიაშვილი, მ. კალანდარიშვილი, ა. შატილოვი, პ. ჩხიკვიშვილი, ნ. ჯანდიერი, ი. ჯაში და სხვ.). ისინი კითხულობდნენ ლექციებს საექიმო-სანიტარული განათლების, საბუნებისმეტყველო და სხვა საკითხებზე, თანამშრომლობდნენ ჟურნალ-გაზეთებში და ა.შ.

ვლ. ჟღენტაძე,

პ. ბაქრაძე,

ირ. ტატიშვილი,

„მედიცინის განვითარება

საქართველოში

და ქართველი ექიმები“

ილია ახმეტელი — 135

ქართველ ექიმთა და მოღვაწეთა შესანიშნავი წარმომადგენელი, პროფესორი ილია ვასილის ძე ახმეტელი იმთავითვე აქტიურად ჩაება პრაქტიკული და მეცნიერული ქირურგიის განვითარებასა და კადრების აღზრდაში და თითქმის ოთხი ათეული წლის მანძილზე პირნათლად ემსახურა ამ კეთილშობილურ საქმეს. ი. ახმეტელი ფართო ერუდიციის კლინიკისტი და შესანიშნავი ოპერატორი იყო. მისი მუშაობის დიდი დიაპაზონი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში. იგი წარმატებით აკეთებდა ოპერაციებს მუცლის ღრუს ორგანოებზე, სისხლძარღვებზე, ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე. ასევე აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მუშაობა ძვალ-სახსართა ტუბერკულოზში, ორთოპედია-ტრავმატოლოგიასა და ოტო-რინო-ლარინგოლოგიაში. იგი იყო დახვეწილი ტექნიკის ქირურგი.

ილია ახმეტელი დაიბადა სოფ. ანაგაში (ყოფილი სიღნაღის მაზრა) 1881 წელს. საშუალო განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა 1901 წელს. სწავლის გასაგრძელებლად იგი მიემგზავრება იურეკს (ტარტუ), სადაც იმ დროს მრავალი ქართველი იღებდა განათლებას. იგი სწავლას ინყებს ვეტერინარულ ინსტიტუტში, მაგრამ სტუდენტთა გაფიცვაში მონაწილეობის გამო მეორე წელსვე გარიცხეს ინსტიტუტიდან. 1904 წელს შედის იურეკის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. აქაც იგი აქტიურად ებმება სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში.

ი. ახმეტელი გ. ხირსაულთან და ლ. სარალიძესთან ერთად იყო კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოების დამაარსებელი. ეს საზოგადოება აერთიანებდა კავკასიელ, ძირითადად ქართველ სტუდენტებს, რომლებიც თანაუბრძოლებთან სოციალ-დემოკრატებს და იყვნენ სტუდენტთა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რუს სტუდენტთა საზოგადოების წევრები. კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება შემდეგში რუს სტუდენტთა საზოგადოების ფილიალს წარმოადგენდა და ორივე ამ საზოგადოებას ხშირად საერთო

ხელმძღვანელი ჰყავდა. რამდენიმე ხნის განმავლობაში ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო ი. ახმეტელი.

იურეკის სტუდენტთა მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ილია ახმეტელი 1909 წელს დააპატიმრეს. მალე ორი წლით გადაასახლეს ქ. ფსკოვში. აქ ქოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებებში თავდადებული მონაწილეობის გამო მას მოუხსნეს სასჯელი და სწავლის გაგრძელების უფლება მისცეს.

ი. ახმეტელი თავიდანვე დაინტერესებული იყო ქირურგიით. ჯერ კიდევ მეოთხე-მეხუთე კურსის სტუდენტი მუშაობდა სუბასისტენტად ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც პროფ. **მ. როსტოვცევი** ხელმძღვანელობდა. სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების (1911 წელი) შემდეგ იგი დატოვეს ამავე კლინიკაში უფროს ასისტენტად. ორი წლის შემდეგ, მ. როსტოვცევის წინადადებით, ორთოპედიის შესასწავლად მუშაობას იწყებს პროფ. **რ. ვრედენთან**. **1913 წელს კი რუსეთის წითელი ჯვრის ორგანიზაციაში ი. ახმეტელი სამხედრო ქირურგად მიაპლინა ქ. სოფიაში.**

ი. ახმეტელი 1914 წელს მუშაობდა ობუხოვის საავადმყოფოში პროფ. ი. გრეკოვთან პეტროგრადში, სადაც იმ დროს მოღვაწეობ-



და მისი უმცროსი ძმა, შემდგომში გამოჩენილი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ილია ახმეტელი დაინიშნა გენერალური შტაბის აკადემიასთან არსებული სამხედრო ლაზარეთის ორდინატორად პეტროგრადში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ზემოხსენებული ლაზარეთი გადატანილ იქნა ცარსკოე სელოში. ი. ახმეტელი ლაზარეთის მთავარი ექიმი და ქირურგიული განყოფილების გამგეა. ამავე დროს იგი აქტიურად მონაწილეობს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციაში. მას ირჩევენ აღმასკომის წევრად და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ.

1920 წლის მიწურულში ი. ახმეტელი სამშობლოში ბრუნდება. იგი რამდენიმე თვე მუშაობს სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო შემდეგ — ორდინატორად ყოფილი მიხეილის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, რომელსაც გ. მუხაძე ხელმძღვანელობდა. 1922 წელს გ. მუხაძის წარდგენით ი. ახმეტელს ირჩევენ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის უმცროს ასისტენტად.

1927-28 წლებში გ. მუხაძის

დავალებით ი. ახმეტელმა სიღნაღის საავადმყოფოში დააარსა ქირურგიული განყოფილება. ამ მან დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობაში ქირურგიული დახმარებისადმი უნდოზლოვის დასაძლევად. 1928 წელს ი. ახმეტელი ბრუნდება ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში.

ი. ახმეტელის მეცნიერული მემკვიდრეობა დიდი არ არის, მაგრამ თავის 20-მდე გამოქვეყნებულ ნაშრომში იგი თამამად აყენებდა ახალ საკითხებს და ორიგინალურად სწევტდა მათ.

ა. ახმეტელი 1929 წელს აქვეყნებს შრომას სისხლძარღვთა და ზიანებისა და ტრავმული ანევრიზმის შესახებ. ეს იყო პირველი ვრცელი ნაშრომი ამ საკითხზე ქართულ ლიტერატურაში. საინტერესოა, რომ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე სისხლძარღვთა დაზიანების დროს ავტორი ნაკერის დადების მომხრეა, ხოლო დაზიანებული არტერიის ბოლოებს შორის დეფექტის არსებობისას შესაძლებლად თვლის ვენის გადანერგვას. 1929 წლის 12 მაისს ბარდაყის არტერიის ანევრიზმის დროს მან განახორციელა დიდი საჩინო ვენის გადანერგვა ბარდაყის არტერიაში. ეს იყო არტერიაში ვენის გადანერგვის პირველი ოპერაცია საქართველოში.

ი. ახმეტელის რამდენიმე შრომა მიძღვნილია ტუბერკულოზური სპონდილიტის ქირურგიული მკურნალობის საკითხისადმი. მან ჯერ კიდევ 1922 წელს პირველმა საქართველოში გააკეთა ოსტეოპლასტიკური ოპერაცია ოლგის წესით

და დაამუშავა ამ ოპერაციის თავისებურებანი ხერხების სხვადასხვა მიდამოს დაზიანებისას, მისი გამოყენების შესაძლებლობა გავრცეთა ასაკში, შეისწავლა შორეული შედეგები.

საქართველოში ნეიროქირურგიის განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ი. ახმეტელის შრომებს თავისა და ზურგის ტვინის სიმსივნეების ქირურგიული მკურნალობის (1926) და ხერხემლისა და ზურგის ტვინის დაზიანების კლინიკისა და მკურნალობის (1930) საკითხებზე. მრავალი ოპერაცია აქვს გაკეთებული როგორც თავის, ისე ზურგის ტვინის დაავადების დროს. ი. ახმეტელმა კლინიკაში პირველმა განახორციელა ტვინის ქვემო დანაბატის ამოკვეთა აკრომაგალიის დროს (1924), ლამინექტომია ზურგის ტვინის კომპრესიის დროს (1926), საჯდომი ნერვის გაპარვა მისი ტრავმული დაზიანებისას (1929). მასვე ეკუთვნის პირველი ოპერაცია საქართველოში (1925) თავის ტვინის ეპინოქოქის გამო. ავადმყოფი დემონსტრირებული იყო ავტორის მიერ ქირურგიული კლინიკების კონფერენციაზე 1932 წელს. მან საქართველოში პირველმა აღწერა დაგვიანებული სუბდურალური ჰემატომის ოპერაციული მკურნალობის შემთხვევა (1936).

ი. ახმეტელის მიერ არაერთი ახალი ოპერაციული ჩარევა დაინერგა ორთოპედიასა და პლასტიკურ ქირურგიაშიც. მათ შორის აღსანიშნავია ვრედენის ოპერაცია

კიფოსკოლიოზის დროს (1925), ბარდაყის თავის რეზექცია მენჯ-ბარდაყის სახსრის ანგილოზის დროს (1915), კანის გადანერგვა ფილატოვის ყლორტის შექმნით (1925) და სხვა ოპერაციები.

ი. ახმეტელის რამდენიმე ნაშრომი ეხება ინფიცირებული ჭრილობის მკურნალობას. ომის დროინდელმა გამოცდილებამ საშუალება მისცა ავტორს, განეხილა ჭრილობის რეგენერაციის საკითხები, გამოეველინა ჭრილობის ტამპონაციის უარყოფითი მხარეები და უტამპონო მკურნალობის დადებითი შედეგები, დაეზუსტებინა ტამპონის გამოყენების ჩვენებები.

ცალკე უნდა აღნიშნოს ი. ახმეტელის ღვაწლი ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ დაარსებაში. 1924 წელს პერიოდული სამედიცინო ჟურნალის გამოცემა ითავა თბილისის უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმმა. როგორც კოლეგიუმის გამგეობის წევრმა ი. ახმეტელმა, დ. იოსელიანთან, ნ. ანდრიაძესა და გ. ბექაიასთან ერთად დიდი მუშაობა ჩაატარა ჟურნალის გამოცემის ორგანიზაციისათვის.

1930 წელს მას ირჩევენ პროფედვტიკული ქირურგიის კათედრის უფროს ასისტენტად პროფ. კ. ერისთავთან. 1933 წელს იღებს დოცენტის წოდებას და კითხულობს ტრავმატოლოგიის დამოუკიდებელ კურსს. 1935 წელს მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და იმავე წელს აირჩიეს პედიატრიული ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ. 1936 წელს მიანიჭეს პროფესორის წოდება. ამ კათედრას ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (1939).

„დიდბუნებოვანი, უანგარო და გულისხმიერი ადამიანის, ღვაწლმოსილი მამულიშვილის, პროფესორ ილია ახმეტელის ნათელი ცხოვრება ხალხისა და მეცნიერებისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითია“, — წერდა პროფ. დ. მამამთავრიშვილი 1971 წელს ჟურნალ „საბჭოთა მედიცინაში“ (№5).

ი. ახმეტელმა კლინიკაში პირველმა განახორციელა ტვინის ქვემო დანაბატის ამოკვეთა აკრომაგალიის დროს (1924), ლამინექტომია ზურგის ტვინის კომპრესიის დროს (1926), საჯდომი ნერვის გაპარვა მისი ტრავმული დაზიანებისას (1929). მასვე ეკუთვნის პირველი ოპერაცია საქართველოში (1925) თავის ტვინის ეპინოქოქის გამო.

ჰაერის დაბინძურების რეიტინგში საქართველო პირველ ადგილს იკავებს

ჰაერის დაბინძურებას მსოფლიოში ყოველწლიურად 6 მილიონ 500 ათასი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. სიკვდილიანობას იწვევს ყველაფერი, დაწყებული ფილტვის კიბოთი, დამთავრებული გულის დაავადებებით.

საერთაშორისო ენერგეტიკულ-მა სააგენტომ ვრცელი კვლევა გამოაქვეყნა იმასთან დაკავშირებით, თუ რითაა გამოწვეული დაბინძურების მსგავსი ხარისხი და რა უნდა გავაკეთოთ აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სააგენტომ 2012 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა იმ ქვეყნების რეიტინგი, რომლებშიც ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია.

რეიტინგის პირველ ადგილს საქართველო იკავებს. აქ 100 ათას გარდაცვლილს შორის 300 ჰაერის დაბინძურების მსხვერპლია.

მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ყველაზე მეტი სიკვდილიანობა ამ მხრივ ჩინეთსა და ინდოეთშია.

ჰაერის დაბინძურების ხარისხის ექსპერტიზა კოვარის აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ქვეყანაში ბევრი დიზელზე მომუშავე ძველი მანქანაა, რაც ჰაერის დაბინძურების მაღალ ხარისხს განაპირობებს. კოვარის თქმით, საქართველოში საზოგადოებრივი ტრანსპორტი განვითარებული არ არის, ამიტომ მოსახლეობა საკუთარი მანქანების ყოლას ამჯობინებს, რამაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ტრანსპორტის რაოდენობის გაორმაგება გამოიწვია. ხოლო ქვეყანაში მანქანების საშუალო ასაკი 10-დან 15 წლამდე მერყეობს და ამას ხელისუფლება სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

„საქართველოში ჰაერის დაბინ-

ძურების მაღალ დონეს ხელს უწყობს: მანგანუმის ძველი მალა-როები, ძველი და დიზელზე მომუშავე ავტომობილების მკვეთრი ზრდა, უმრავლესობა საზღვარგარეთიდან შემოტანილი მეორადი ავტომობილა, მეორადი საბურავები, არ მოქმედებს ვარგისიანობის შემოწმების სისტემა, რის გამოც ავტომობილების უმრავლესობა ტექნიკურად გაუმართავია, არ არსებობს დაბინძურების დონის ტესტირების სისტემა, შეჩერებულია გამონაბოლქვის შემოწმება, არასაკმარისაადაა განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა, გაორმაგდა პირადი ავტომობილების რაოდენობა, დაბალი ხარისხის საწვავი სწრაფად აფუჭებს ავტომობილის „კატალიზატორს“, რომელსაც არ ცვლიან, ხშირია საცობები“, — აცხადებს ექსპერტი ტიმ კოვარი.

ამერიკის შეერთებული შტატები რეიტინგის ბოლოშია. ექპერტების თქმით, ამ ქვეყანაში დიზელზე მომუშავე მანქანების რაოდენობა უმნიშვნელოა. მეცნიერების განმარტებით, დიზელზე მომუშავე მანქანები ბენზინზე მომუშავე ტრანსპორტთან შედარებით მეტად აბინძურებენ ჰაერს.

ამავე დროს, მდიდარი ქვეყნები სულ უფრო მეტ ინვესტიციას დებენ ჰაერის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამებში.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს კვლევების მიზანი 2040 წლისთვის ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მა-



საცობი თბილისის ქუჩაებში

ჩვენაბლის 3 მილიონ 300 ათას ადამიანამდე შემცირებაა.

სააგენტოს შეფასებით, სიკვდილიანობის დონე გაიზრდება, თუ ქვეყნები ენერგოპოლიტიკას არ შეცვლიან. ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნევს ეკოლოგიური ენერგიის წყაროებში ინვესტიციის გაზრდას.

„აუცილებელია, დავეხმაროთ ამ ქვეყნებს პრობლემების გადაწყვეტაში, ენერგიის გამოყენების ეფექტიანობის გაზრდისა და მავნე ნივთიერებების ფილტრაციის გზით. ამ ქვეყნებმა უნდა გაიგონ, რომ მათი პრობლემები ჩვენი პრობლემებიცაა“, — აღნიშნა სააგენტოს დირექტორმა ფატიჰ ბიროლმა.

სააგენტო პარიზში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1974 წელს ეუთო-ს ფარგლებში შეიქმნა.

მოგზაურის თვალით დანახული საქართველო

XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაურის, ჟან შარდენის, ცნობები საქართველოს შესახებ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მისი თხზულება „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“ გამოირჩევა საქართველოს შესახებ ცნობების სიმდიდრითა და მრავალმხრივობით; ასახავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას. შარდენისეული ცნობები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველია და ამდენად, მის მიერ მონათხრობი ისტორიები ავტორის უშუალო დაკვირვების შედეგს წარმოადგენს. გთავაზობთ ამონარიდს ამ წიგნიდან.



ჟან შარდენი

როდის მიიღეს კოლხეზა იესო ქრისტეს სჯული და მის დანერგა იგი პირველად მათ ქვეყანაში

კოლხეზის საერთო სახელით ცნობილია რამდენიმე ხალხი; სახელდობრ: აფხაზები, ჩერქეზები, ალანები, სვანები და სხვები, რომელთა რელიგიური წეს-ჩვეულებანი თითქმის ერთნაირია. ამიტომ მე საჭიროდ ვცანი, სანამ კერძოდ კოლხეზზე ვილაპარაკებდე, მკითხველისათვის მიმეწოდებინა ცნობები თითოეული ამ ხალხის შესახებ, რომელნიც არსებითად ერთ ერს წარმოადგენენ. როგორც გადმოგვცემენ, სახელგანთქმულმა წმ. მოციქულმა ანდრიამ სარწმუნოება უქადაგა აფხაზებს. იგი სკვითეთში ყოფილა, აქედან გადასულა საბერძნეთსა და ეპირში, შემდეგ სოდიანებსა და სიქტიანებთან. ცნობილია, რომ ბოლოს მან მიაღწია აფხაზებს, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ კოლხიდის ერთ ნაწილში. ამ გადმოცემას ადასტურებს წმ. ანდრია მოციქულის სახელობის უძველესი სამნავიანი ეკლესია, აგებული ამ მხარის ერთ-ერთ სოფელში, რომელსაც ბიჭვინტა ეწოდება. ეს ეკლესია მთელი კოლ-

ხიდის მეტროპოლიას წარმოადგენს, სადაც სიცოცხლეში ერთხელ, თითოეული კათალიკოსი ან პატრიარქი ჩამოდის ყველა ეპისკოპოსის თანხლებით წმინდა ზეთის დასამზადებლად, რომელსაც ისინი „მირონს“ უწოდებენ. აქ ჩამოდის მთავარიც მთელი თავისი კარით. თავდაპირველად ამ ეკლესიას ბიჭვინტის წმ. მარია-ამის სახელი ერქვა, მაგრამ ხალხის თაყვანისცემამ წმ. ანდრიასადმი, რომელმაც მათი აზრით ეს ეკლესია აღაშენა, დასძლია და ეკლესიაც მის სახელზე აკურთხეს.

ამბობენ, რომ ეკლესიის წინ დგას მარმარილოს სვეტი, საიდანაც ღვთის განაჩენით ამ წმინდა მოციქულის სიკვდილით დასჯის დროს მღულარე წყლის ნაკადი გამოღვრილა. ამ ნაკადის დინება შეუჩერებია რამდენიმე კაცს ამ წმინდანისადმი ვედრების ძალით. ასეთი სასწაულის შემდეგ ხალხი ამ წმინდანისადმი განსაკუთრებულ მოკრძალებას იჩენს; სვეტის წინ გავლის დროს მუხლს იდრეკენ და ემთხვევიან მას. ყოველივე, რასაც ვამბობ, ვიცი ერთი ჩვენბური მისიონერის პატრი ქრისტეფორე კასტელის სიტყვებიდან, რომელიც ერთ კათალიკოსს ხლებია ბიჭვინტაში და უნახავს, თუ რა მოწინებები (თუმცა ბარბაროსულად) ეთაყვანება ხალხი ამ სვეტს, წმინდანს და მის მკერდზე გამოსახულ ჯვარს.

იბერიელებისა და ქართველების მოქცევის შესახებ ბარონიუსთან ვკითხულობთ, რომ მათ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღეს 100 წელს წმინდა პაპის კლემენტის ქადაგების შედეგად, რომელიც იმპერატორ ტრაიანეს მიერ გადასახლებული იყო ქერსონესის კუნძულზე. მე უფრო დასაბუთებულად მიმაჩნია მამა ტ. თომას დე იეზუს კარმელიტის თვალსაზრისი. მსოფლიოს ხალხების მოქცევის შესახებ IV წიგნის IX თავის 190 გვერდზე იგი ამბობს, რომ იბერიელები მოაქცია ერთმა მონა ქალმა, რომელიც მარტიროლოგიაში 15 დეკემბერს არის მოხსენებული ქრისტიანისა და იბერიელების, ანუ ქართველების ბრწყინვალე განმანათლებლის სახელით; ქართველები მას წმინდა ნინოს უწოდებენ. ამ წმინდანზე ნიკიფორე VIII წიგნში XXXIV თავში ლაპარაკობს. ზემოთ მოხსენებული თომას იეზუსი ამბობს, რომ იგი, მონად მყოფი, წმინდა ცხოვრებას ეწეოდა — მარხულობდა, ლოცულობდა, ღმერთს თაყვანს სცემდა და ამით ეს ბარბაროსები მოხიბლაო, როდესაც მას ეკითხებოდნენ, თუ რატომ თრგუნავს ასეთი გულმოდგინებით საკუთარ სხეულს, იგი პასუხობდა, რომ მას სიამოვნებს ამგვარი ცხოვრება და რომ იგი თავის ღმერთს, ჯვარცმულ იესო ქრისტეს, ეთაყვანება.

ამ სახელის სიუცხოვემ ხალხი მოხიბლა და მათ იწყეს თავყვანის-ცემა ამ ქალისა, რომელსაც მანამდე არაფრად აგებდნენ. ერთხელ, აქაური ჩვეულებისამებრ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ბავშვის ავად გახდომის დროს ხშირად დედებს ისინი მეზობლებში დაჰყავდათ — მოხდა ისე, რომ ერთმა დედამ უშედეგოდ ატარა ბავშვი მეზობლებში და ბოლოს გადაწყვიტა იგი ამ მონა ქალთან მიეყვანა, თუმცა მისგან ავადმყოფის განკურვნის იმედი ნაკლებად ჰქონდა, რადგანაც ამ მონა ქალს არც თუ დიდად ენდობოდნენ. ქალმა უთხრა, რომ მან წამალი არ იცის, მაგრამ ღმერთი, რომელსაც იგი თავყვანს სცემს, იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია ავადმყოფს ჯანმრთელობა დაუბრუნოს. შემდეგ მან ბავშვი ხელში აიყვანა, გადააფარა თავისი ძაძები, ილოცა და დედას სავსებით განკურნებული დაუბრუნა. რამდენიმე ხნის შემდეგ დედოფალმა, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საშინელი ტკივილები აწუხებდა, გაიგო რა ეს სასწაულებრივი განკურნების ამბავი, ირწმუნა იგი, მოაყვანინა მონა ქალი და მისი მეოხებით აღიდგინა ჯანმრთელობა. ამ სასწაულებრივი განკურნებით ნაქეზებულმა დედოფალმა ქრისტიანობა მიიღო და ქმარსაც ურჩია მიებაძა მისთვის. ქმარი შეჰპირდა, მაგრამ დანაპირების შესრულებას აყოვნებდა. ერთხელ, ნადირობის დროს, მოულოდნელად ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ისეთი სიბნელე ჩამოწვა, რომ მეფე თავის მსლებლებსაც კი ვეღარ ხედავდა. მეფე განცვიფრდა და მოაგონდა, რომ მან არ შეასრულა ქრისტიანობის მიღების შესახებ ცოლისათვის მიცემული დაპირება და მაშინვე აღუთქვა ღმერთს, რომ პირობას გადაუდებლად შეასრულებდა, თუ გადაარჩინდა იმ ხიფათს, რომელშიაც იგი იყო ჩავარდნილი. მაშინვე წყვილიად გაიფანტა და ცა მოიწმინდა. შინ დაბრუნებულმა ცოლს უამბო, თუ რა გადახდა თავს, მოიხმო მონა ქალი, რომელმაც, მოისმინა რა მისი თავგადა-

სავალი და გაიგო რა მისი სურვილი, შეაძულა მას კერპები, დააჯერა მონათლულიყო, თავყვანი ეცა ჭეშმარიტი ღმერთის, ჯვარცმულიესო ქრისტესათვის და მისთვის ტაძარი აეგო. მეფემ ყველაფერი ზედმინევნიტ შეასრულა: დაგმო კერპები, დაარწმუნა თავისი ქვეშევრდომნი მიებაძათ მისთვის და მრავალსვეტიანი, დიდებული ტაძრის აგებას შეუდგა. მაგრამ როცა ორი სვეტი აღმართეს და უნდოდათ მესამეც აღმართათ, მისი დადგმა ვერასგზით ვერ მოახერხეს. ყველა იქ მომუშავე და დამსწრე გაოცებულნი და განბილებულნი გასცილდნენ იმ ადგილს. მონა ქალი მარტო დარჩა ღამით ეკლესიაში და შეევედრა ღმერთს, რომ სვეტი თვითონ აღმართულიყო და დადგმულიყო განკუთვნილ ადგილზე.

დილით მოსული ხელოსნები მეტად გაოცებული დარჩნენ, როცა სვეტი თავის ადგილზე იხილეს. ამ ამბავმა ხელი შეუწყო ხალხში ქრისტეს რჯულის რწმენის კიდევ უფრო განმტკიცებას. მეფემ, რომელსაც ბაკური ერქვა, დესპანები გაუგზავნა იმპერატორ კონსტანტინეს, რათა ეცნობებინა მისთვის თავისი მოქცევის ამბავი. იმპერატორი აღტაცებული შეხვდა ამ ამბავს, მას მღვდლები და ეკლესიის მსახურნი გაუგზავნა ხალხისათვის სარწმუნოებრივი საიდუმლოების სასწავლებლად; როცა რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონ მეფე გაემგზავრა კონსტანტინოპოლს, იმპერატორმა იგი დიდი პატივით მიიღო, მიანიჭა მას პირველი ხარისხის წარჩინება, დანიშნა პალესტინის სასაზღვრო შემოგარენის გამგებლად, თავისი ჯარის ორივე შენაერთის სარდლად, რომელთაც არციერთ და სკუტართ ჯარებს უწოდებდნენ. მაგრამ იმპერიის ორი სარდლის — რუსტიკესა და იოანეს — ხრიკებმა, რომელთაც ბაკურის განდიდება შეშურდათ, დაილუპა იგი. ღმერთმა ეს ბოროტება დაუსჯელი არ დატოვა; სახელმწიფოს ორმოცდაათათასიანი ჯარი სპარსელების ოცდაათათასიანმა ჯარმა დაამარცხა, ხო-

ლო რუსტიკესა და იოანეს თავი მოჰკვეთეს.

კარდინალი ბარონიუსი ამბობს, რომ კოლხებმა ქრისტიანობა მიიღეს 523 წ. პატრიარქ ჰორმიზდისა და იმპერატორ იუსტინეს დროს, რომელმაც დიდი პატივი სცა მეფე ბაკურს (რომლის შესახებ ჩვენ ვილაპარაკეთ), როდესაც იგი კონსტანტინოპოლში მოსანათლად იმყოფებოდა, მიიღო როგორც საკუთარი შვილი, უბოძა აზიის იმპერატორის ტიტული მეფის გვირგვინით და საიმპერატორო თეთრი სამოსით.

ტარკანოტის მოსაზრება, რომელიც მისი ისტორიის V წიგნშია გამოთქმული და რომლის მიხედვითაც კოლხები და სომხები ერთდროულად მოინათლენ პაპ იულიუსის და იმპერატორ კონსტანტინეს დროს, არ არის სარწმუნო, რადგანაც სომხებმა ქრისტიანობა მათი ბრწყინვალე მანათობელი ვარსკვლავის არქიეპისკოპოს გრიგოლისა და თრდატის მეფობის დროს, იმპერატორ კონსტანტინეს ხანაში მიიღეს.

ბარონიუსი წერს, რომ კოლხები ყოველთვის წმინდად ინახავდნენ თავიანთ სარწმუნოებას, მაგრამ მიიღეს რა ბერძნული წესები წმ. კირილესა და მისი ძმის მეთოდეს მეშვეობით, რომლებიც მათ იმპერატორმა მიხეილმა გაუგზავნა, და დაემორჩილნენ რა ბერძენ პატრიარქებს, ისინი სრულ უმეცრებაში ჩავარდნენ. მიუხედავად ამისა, **კოლხები ისევე მტკიცედ იცავენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, როგორც ოდითგანვე მოსდგამთ, თუმცა თურქების, სპარსელების, თათრების და ებრაელების გარემოცვაში იმყოფებიან. სპარსეთის ხელმწიფე კავადს ძლიერი არმიის დახმარებით უნდოდა აეძულებინა კოლხები სარწმუნოება შეეცვალათ, მაგრამ კოლხებმა თავიანთი დიდი სარდლის და ასევე ჭეშმარიტი ქრისტიანის მეფე გურგენის მეთაურობით მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და იმპერატორ იუსტინეს დახმარებით სძლიეს მტერს.**

სომეხი ჰეთუმი, რომელიც 1282

ნ. ცხოვრობდა ამბობს, რომ ამ ხალხს ხმლით ხელში სიკვდილი ერჩია მაჰმადიანობის მიღებას. ამას გადმოგვცემს რამუციო თავის წიგნში — ნაოსნობა — 1 ნაწ. XXI თავი.

თეიმურაზ ხანის დედას, კახეთის დედოფალს ქეთევანს, რომელმაც პირველმა მისცა ჩვენს პატრებს თავშესაფარი თავის ქვეყანაში, თავყვანს სცემენ დღემდე იმ დიდი სიმტკიცის გამო, რომლითაც იგი სარწმუნოებისათვის ეწამა. ეს დედოფალი მისმა შვილმა ზავის დასადებად გაგზავნა სპარსეთში შაჰ აბასის კარზე. იგი გარდაიცვალა იმ საშინელი წამების შედეგად, რომელიც ამ ბარბაროსმა მიაყენა მას დილეგში ყოფნის ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მისი მონამეობრივი ტანჯვის ამბავი აღწერილი აქვთ ავგუსტინელ ბერებს, რომლებიც ისფაჰანში ცხოვრობდნენ.

იმავე თეიმურაზ ხანმა, თავის მტერთან — სპარსეთთან სარწმუნოებრივი უთანხმოების გამო წარმოებული განუწყვეტელი ომებით, დაკარგა თავისი სამეფო; ამ მთავარს ძლიერ უყვარდა ჩვენი პატრები, რომლებმაც მისი მომხრობის მიზნით, აგრეთვე მადლიერების გამოსახატავად, მას საჩუქრად ოქროქარგული და აბრეშუმის სამოსელი მიართვეს.

ერთხელ სარწმუნოებაზე კამათის დროს პატრი დონ იაკობ დე სტეფანისთან, რომელიც მას მოციქულთა სადარი თავისუფლე-

ბით ელაპარაკებოდა, მეფე ისე გაცხარდა, რომ ხმალზე გაიკრა ხელი და უთხრა: თქვენ ფრანკები მეტად ჯიუტები ხართ; ჩემ სარწმუნოებას ამ ხმლით ხელში დავიცავ ყველა იმათგან, ვინც მეტყვის, რომ იგი ჭეშმარიტი არ არისო. საბრალო პატრი იძულებული შეიქნა, დადუმებულიყო.

კათალიკოსი – საოფოდელოების მეთაური

მას შემდეგ, რაც ქართველები და იმერლები სარწმუნოებრივად ბერძნებს მიემხრნენ, რაზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, კათალიკოსის არჩევის საქმე დამოკიდებული გახდა საქართველოს და იმერეთის მეფეებისათვის ყველაზე მახლობელ ბერძენ პატრიარქებზე; კერძოდ, კონსტანტინოპოლისა და ალექსანდრიის პატრიარქებზე, რომლებიც კანდიდატებს თვითონ ასახელებდნენ. დღეს კი იმერეთის მეფე ერთპიროვნულად განაგებს ამ არჩევნების საქმეს. ჩვენ დროში მან მთელი საქართველოსა და ოდიშის კათალიკოსად დანიშნა ერთი ბერი, გენათელად წოდებული. ხალხს ეს კათალიკოსი უზენაეს პატრიარქად მიაჩნია, რომელიც არაფერში აღარ ემორჩილება საბერძნეთის პატრიარქს. ამის მაგალითს წარმოადგენს ოდიშის მთავრის ლევან დადიანის მიერ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ჩვენი

პატრებისათვის გადაცემა. ამან აღაშფოთა ამ ქვეყანაში მყოფი რამდენიმე ბერძენი ბერი, რომლებმაც კონსტანტინოპოლის პატრიარქს მისწერეს ეს ამბავი; პატრიარქმა კი მთავარსა და კათალიკოსს წერილები გამოუგზავნა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამ ეკლესიის ფრანკებისათვის გადაცემის გამო; მისი აზრით, ეს ნიშნავდა კათოლიკური რწმენის მიღებაზე ფარულ შეთანხმებას და ბრძანებდა, რომ ეკლესია ფრანკებისათვის ჩამოერთმიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული გახდებოდა ეკლესიისაგან განეკვეთა ისინი. მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ ამას ყური არ ათხოვეს. ამ მუქარამ უფრო ცხადი გახადა ამგვარი წერილების უაზრობა.

ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინტაში, აფხაზეთის ახლოს, რომელიც წმ. ანდრიას ანუ წმ. მარიამის სახელზეა ნაკურთხი და რომელზედაც უკვე ვილაპარაკეთ.

მის შემოსავალს შეადგენს პური, ღვინო და სხვა სურსათი, რასაც მისი მრავალრიცხოვანი ქვეშევრდომების თითოეული ოჯახი ვალდებულია მიხედვით უხდის მას. მის მუდმივ საქმიანობას წარმოადგენს თავის სამწყსოში მოგზაურობა, მაგრამ არა მასზე მინდობილი სულების განსანათლებლად, ან ეკლესიების დასათვალიერებლად და არც იმის შესამოწმებლად, თუ როგორ გამგებლობენ მისი ეპისკოპოსები და პაპები, ან როგორ ასრულებენ ღვთისმსახურებას, ამაზე იგი ნაკლებად ზრუნავს. ეს მოგზაურობანი ყოველთვის ორას კაცზე მეტის თანხლებით, რომლებიც ისევე ხარბები არიან როგორც თვითონ — წარმოებს იმისათვის, რომ გაჭირვებულ ხალხს სისხლი გამოსწოვონ, გაუჩანაგონ საკლავი და ხელიდან გამოგლიჯონ უკანასკნელი სუ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ქვეყანა უკიდურესად ღარიბია, მაგრამ ბუნება უაღრესად მდიდარი აქვს.

**ქოლხაბი ისაჲ გჰკისაჲდ ისაჲნე ჟრისტიანულ
სარწმუნოებას, როგორც ოღითგანჲ მოსდგამთ,
თუჲსა თურქაჲის, სპარსელაჲის, თათრაჲის
და ეგრეაღაჲის გარემოცვაჲი იჲყოფაჲიან.
სპარსეთის ხელმწიფე კავადს ქლიარს არაჲის
დახმარაჲით უნდოდა აეკულებინა ქოლხაბი,
სარწმუნოება შეასვაღათ, გაგრაჲ ქოლხაბა
თავიანთი ღიღი სარდლის და ასაჲჲ ჭუმარაჲი
ქრისტიანის, მეფე გურგენის მეთაურობით მეფარაჲი
წინააღმდეგობა გაუწიეს და იმპერატორ
იუსტინეს დახმარაჲით სძლიეს გზარს.**

კათალიკოსის სინმინდე, რასაც ხალხი ესოდენ აფასებს, მდგომარეობს იმაში, რომ მან მუდმივ უნდა ილოცოს არა მარტო დღისით, არამედ, მეტწილად, ღამით. რამდენადაც კათალიკოსი გამუდმებით ეკლესიაში უნდა იყოს, მან მთელი ღამის განმავლობაში უნდა ილოცოს. მას თაყვანსცემენ, აგრეთვე, საჭმელ-სასმელისაგან თავშეკავებისათვისაც; მარხვის დროს იგი ღვინოს სრულიად არ სვამს. როდესაც ბერი კათალიკოსი ხდება, იგი ახალ ცხოვრებას იწყებს — დღე და ღამე ეკლესიაში ატარებს; მარხვის დროს, და განსაკუთრებით ვნების კვირაში, თავს იკავებს ჩვეულებრივი საჭმელებისა და ღვინოსაგან.

ისინი იმდენად გაუნათლებელნი არიან, რომ ძლივს კითხულობენ კონდაკს და ლოცვანს; აქედან მომდინარეობს მათი წეს-ჩვეულებების უცნაურობანი.

მე ვერასოდეს ვერ დავამთავრებ მათ შესახებ თხრობას, ვრცლად რომ შევეხო სიმონიას, რომელსაც კათალიკოსი აწარმოებს. იგი ეპისკოპოსს ისე არ აკურთხებს, თუ მისგან ხუთასი ეკიუ არ მიიღო. დიდი გასამრჯელოს გარეშე არავისაგან აღსარებას არ მიიღებს. ერთხელ მთავრის ვეზირმა მას აღსარებისათვის მხოლოდ ორმოცდაათი ეკიუ გადაუხადა. ავადმყოფობის დროს ვეზირმა კვლავ მოინდომა აღსარების თქმა. კათალიკოსმა უარი უთხრა, თან შეახსენა, რომ მას ჯერ წინა აღსარების ანაზღაურებაზე უნდა ეფიქრა. იგი არ წირავს ისე, თუ წინასწარ არ არის დარწმუნებული, რომ ას ეკიუს მიიღებს. უფრო მეტს ითხოვს დაკრძალვის დროს.

სამეგრელოს ეპისკოპოსების შესახებ

მარტო სამეგრელოს ექვსი ეპისკოპოსი ჰყავს: დრანდელი — აფხაზეთის საზღვარზე; მოქველი; ბედიელი — შავი ზღვის სანაპიროზე; ცაიშელი; წალენჯიხელი და ჭყონდიდელი — იმერეთის სამე-

კათალიკოსის სინმინდე, რასაც ხალხი ესოდენ აფასებს, მდგომარეობს იმაში, რომ მან მუდმივ უნდა ილოცოს არა მარტო დღისით, არამედ, მეტწილად, ღამით. როდესაც ბერი კათალიკოსი ხდება, იგი ახალ ცხოვრებას იწყებს — დღე და ღამე ეკლესიაში ატარებს; მარხვის დროს, და განსაკუთრებით ვნების კვირაში, თავს იკავებს ჩვეულებრივი საჭმელებისა და ღვინოსაგან.

ფოსა და კავკასიის მთების მახლობლად. ეს ეპისკოპოსები სრულებით არ ზრუნავენ თავიანთ სამწყსოზე. არ დადიან თავიანთი ეპარქიის ეკლესიებში, რომელთა პაპები იმდენად უმეცარნი არიან, რომ მუდამ ახალ-ახალ ცდომილებაში ვარდებიან. არ ზრუნავენ იმაზე, ინათლებიან თუ არა ბავშვები, ხომ არ ირთავს კაცი ორ ცოლს, ან რა მოელის ახალშობილს... ეპისკოპოსების ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს ყოველდღიური ქეიფი, მეტ-ნაკლები ზომით თრობა, რადგან შესანიშნავი ღვინო და საჭმელ-სასმელი უხვად აქვთ. ისინი მდიდრულად იცვამენ, ამ ფუფუნების მოსაპოვებლად უკანასკნელ სისხლს წოვენ თავიანთ ქვეშევრდომებს, ხოლო შემდეგ თურქებს მიჰყიდნიან ხოლმე ამ საცოდავებს და ამით ეშმაკის საუფლოში გზავნიან მათ. ასეთია ამ ქვეყნის ადათი.

ბერძნების მსგავსად, ისინი მკაცრად იცავენ მარხვას, რის შემდეგაც სინდისის ქეფნას აღარ გრძნობენ და ფიქრობენ, რომ ამ მოვალეობის მოხდით ყოველგვარი სხვა ვალდებულებისაგან თავისუფალნი არიან და ყველა სხვა მცნება შესრულებულად მიაჩნიათ. ასეთსავე მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი კათედრალურ ტაძარში ღამით და დღით მსვლას ღვთის სავედრებლად. ეს პრეტენციები გულმოდგინედ ზრუნავენ თავიანთ საეპისკოპოსო საყდრებზე: იცავენ სისუფთავეს, ამკობენ ბერძნული ყაიდის ხატებით, რომლებიც ოქროთი, მარგალიტებით და სხვა ძვირფასეულობითაა მოოჭვილი, და ამით ფიქ-

რობენ ღვთის რისხვის შემსუბუქებას. როცა შესცოდავენ, ცოდვებს კი არ ინანიებენ, არამედ ხატებს სწირავენ ოქროს ან ძვირფას თვლებს და ფიქრობენ, რომ ამგვარი მოქმედება მათ მრევლის თვალში წმინდანად სახავს, ისევე როგორც მარხვის მკაცრად დაცვა, რაც თევზის ჭამისა და ღვინის დაღვევისაგან თავშეკავებაში გამოიხატება. მარხვის დროს საჭმელს ჭამენ დღეში ერთხელ და ისიც მწუხრისას. მრევლიც ასევე იქცევა.

რადგანაც ეპისკოპოსებს შორის ბევრია ისეთი, რომელმაც კითხვა არ იცის, ისინი ლოცვებს ზეპირად სწავლობენ და წარმოთქვამენ მათ, განსაკუთრებით დასაფლავების დროს. ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ დიდი გასამრჯელოს მიღების შემდეგ ხდება; არავითარ საეპისკოპოსო მოვალეობას უფულოდ არ ასრულებენ, მსგავსად მათი მამამთავარი კათალიკოსისა.

მათი ტანსაცმელი, როგორც მე უკვე აღვნიშნე, საუცხოოა. იგი მოკლეა — თითქმის ისეთივე სიგრძისა, როგორსაც მრევლი ატარებს — ალისფერი ხავერდისა, კისერსა და ხელებზე ოქროს ძეწკვით. ისინი გამოირჩევიან გრძელი წვერით და თავზე შავი სკუფიით, რომელიც მათ ყურებს უფარავს. მთავრის მოთხოვნისთანავე ისინი კარგ საომარ ცხენებზე ამხედრებული მიდიან ომში, რადგან ითვლებიან წინამძღოლებად და სარდლებად თავიანთი ქვეშევრდომებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან იარაღასხმულნი იყვნენ. ისინი თავს ესხმიან და ებრძვიან მტერს ყოველგვარი წესრიგისა და

დისციპლინის გარეშე. ნადირობენ ირმებსა და გარეულ ღორებზე; ხობობსა და სხვა სახის ფრინველებს შევარდენით იჭერენ. ზოგ ბერს ეპისკოპოსის წოდება და შემოსავალი მთავრისაგან აქვს ნაბოძები, თუმცა ეპისკოპოსად არც არის ხელდასხმული, მაგრამ ხელდასხმულია თუ არა იგი, მღვდლებს მაინც ართმევს ფულს.

ბერებისა და მონაზვნების უსახეობა

ეპისკოპოსებს გარდა არის პრელატების ერთი ნაწილი, რომლებსაც უწოდებენ წინამძღვარს და რომლებიც დაახლოებით ჩვენებურ აბატებს ჩამოგავენ. მათ საკუთარი ეკლესიები აქვთ, მდიდრები არიან და ცხოვრობენ როგორც ეპისკოპოსები.

ბერებისათვის მხოლოდ ერთი — წმ. ბასილის ორდენი არსებობს. ისინი, წმ. იერემიას თქმით (ეპისტოლე ევსტათისადმი), ოდესღაც სამ ჯგუფად იყოფოდნენ. ერთნი **ცენობიტებად** იწოდებოდნენ, რადგანაც ისინი, ისევე როგორც ჩვენი თანამედროვე ბერები, ერთად ცხოვრობდნენ; მეორენი — **ანაქორეტებად**, რომლებიც უდაბნოში ცხოვრობდნენ და მუდმივ ლოცვა-ვედრებაში იყვნენ; მესამენი — **რემობიტებად**, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელში ერთად ორნი ან სამნი და საერთო შრომით იძენდნენ საზრდოს; ისინი უფრო ამქვეყნიური კეთილდღეობით იყვნენ დაინტერესებულნი და ნაკლებად ფიქრობდნენ ზეციურზე; ცდილობდნენ ერთმანეთისთვის თვალი აეხვიათ კეთილი საქმეების ჩადენით და მარხვის შენახვით. კასიანე თავის თხზულებათა X წიგნის VII თავში ამბობს, რომ არსებობს ასეთი ბერების მეოთხე სახეობაც — სარაბიტები, რომლებიც მესამე ჯგუფის ბერებისაგან ნაკლებად განსხვავდებიან.

დღევანდელი სამეგრელოს ბერები ეკუთვნიან მესამე ჯგუფს. ისინი ათონის მთიდან მოდიან და, იერუსალიმისათვის შეწირულების შეგროვების საბაბით, რჩები-

აქაური ბერები ხორცს არასოდეს არ ჭამენ, აბარებენ მოშავო ფარის შალის სამოსელს, აქვთ გრძელი წვერი და გრძელი თმები, მარხულობენ და ლოცულობენ წესების მკაცრი დასვით; მებრძო სრულებით არ ზრუნავენ თავისი გაჭირვებული ხალხის კეთილდღეობაზე. იშვიათად წირავენ, რადგანაც საზღაურად დიდ გასამრჯელოს მოითხოვენ.

ან ამ მხარეში, სადაც მათ მთავარი ფარველობა — აძლევს მათ რომელიმე საკუთარ ეკლესიას. ზოგი მათგანი თავშესაფარს პოულობს ქართველი ბერის — სახელად ნიკიფორე ირბახის — სახლში, რომელსაც ჩვეულებრივად ნიკოლოზ ბერს უწოდებენ. იგი საქართველოში ერთ-ერთი უწარჩინებულესი გვარის წარმომადგენელია. არის სამოცდაათი წლისა. აქვს არქიმანდრიტის ანუ წინამძღვრის ხარისხი. მას უწოდებენ ჯვარის მამას. ხალხი მას დიდ პატივს სცემს, სამეგრელოს მთავრები ნიშნავენ მას თავის ვეზირად ან ელჩად, რადგან იგი კარგად არის გარკვეული პოლიტიკაში და მრავალჯერ ყოფილა იერუსალიმში. შემოვლილი აქვს ევროპა. ყოფილა საფრანგეთში ინგლისში, ესპანეთში, პოლონეთსა და იტალიაში, სადაც ჩვენ პატრებთან ჩერდება ხოლმე. ქართულისა და მეგრულის გარდა იცის მრავალი ენა: ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური. მან კათოლიკური სარწმუნოება პაპ ურბან VIII-საგან მიიღო; დიდ პატივს სცემს ჩვენს პატრებს.

აქაური ბერები ხორცს არასოდეს არ ჭამენ, აბარებენ მოშავო ფარის შალის სამოსელს, აქვთ გრძელი წვერი და გრძელი თმები, მარხულობენ და ლოცულობენ წესების მკაცრი დაცვით; მაგრამ სრულებით არ ზრუნავენ თავისი გაჭირვებული ხალხის კეთილდღეობაზე. იშვიათად წირავენ, რადგანაც საზღაურად დიდ გასამრჯელოს მოითხოვენ.

მეგრელები თავიანთ ახლობლებს შემდეგი წესით აღკვეცავენ ბერებად. ჯერ კიდევ ბავშვებს თავზე ახურავენ შავ სკუფიას,

რომელიც მათ ყურებამდე აქვთ ჩამოფხატული; ჩააგონებენ მათ ხორცისაგან თავშეკავების აუცილებლობას, ვინაიდან ისინი ბერები არიან. ყოველივე ამას ზედმინევით ზუსტად ასრულებენ, მაგრამ სრულებით არ ესმით, თუ რას ნიშნავს ბერად შედგომა. შემდეგ მათ სხვა ბერებს მიაბარებენ აღსაზრდელად. ისინი, ვინც ბერდენ ბერებთან იმყოფებიან, უკეთ აღწევენ მიზანს.

მონაზნობის რამდენიმე სახეობა არსებობს. ერთნი არიან ქალწულნი, რომლებსაც მონიფულობის ასაკშიც გათხოვება არ სურთ; მეორენი — მხევალნი არიან, რომლებიც შემონაზონდებიან თავიანთ ქალბატონებთან ერთად ბატონის სიკვდილის შემდეგ; სხვები კი არიან ქვრივები, რომლებსაც აღარ სურთ კვლავ გათხოვება; არიან ისეთებიც, რომელთაც მოყირჭდათ ეს ცხოვრება და, მიაღწიეს რა გარკვეულ ასაკს, მონაზვნად აღიკვეცებიან; ზოგი ცოლყოფილია, როგორც, მაგალითად, ულამაზესი დედოფალი თამარი, რომელსაც იმერეთის მეფე გაეყარა, რათა თეიმურაზ ხანის ასული შეერთო; ბოლოს მონაზვნად ხდებიან აგრეთვე, სიღარიბის გამო; ესენი მონყალებას თხოულობენ ეკლესიაში და, მათი სამოსელის გამო, მათ უფრო ხელგამლით განიკითხავენ. მონაზვნებს აცვიათ ძაძები, ახურავთ ასევე შავი თავსაფარი, ხორცს არასოდეს ჭამენ; მონასტრებში მუდმივად არ ცხოვრობენ და დადიან ყველგან, სადაც კი მოესურვებათ. სამუდამოდ მონაზვნად დარჩენის აღთქმა არა აქვთ დადებული და შეუძლიათ დატოვონ მონასტერი, როცა კი მოისურვებენ.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრება

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ისტორიული მემკვიდრეობა“ №6)

საქართველოს მიწა-წყალზე, მგონი, არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომელზეც წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი — ან ძველი ეკლესია და სამრეკლო, ან ციხის ნანგრევები, ან სადარაჯო კოშკი, ან ნასახლარი. ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული ხვედრის მოწმეებია ნასოფლარები და ნაქალაქარები, რომლებიც უმეტესად სამხრეთის რაიონებშია, იმ კუთხეებში, რომელთაც პირველად უხდებოდათ მტრის შეხვედრა და გამკლავება. ...მეცნიერებამ უკვე ჩააღწია ძველი ნელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულის დროიდან, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები სრულიად პრიმიტიულ საცხოვრებლებს ქმნიდნენ და, ამგვარად, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამშენებლო ხელოვნების დარგში. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ჩვენი ხალხის შემოქმედება უწყვეტი და უშრეტი იყო.

გარდამავალი ხანის (VII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნის ნახევრამდე) ქართული კულტურა

მას შემდეგ, რაც არაბებმა აღმოსავლეთი საქართველო და მისი ცენტრი თბილისი დაიპყრეს, საქართველოს კულტურული ძალები პერიფერიაში იყრის თავს. თუმცა არაბთა უღელი მძიმე და ხანგრძლივი იყო, მას საქართველოსთვის არ მოუტანია ისეთი შედეგი, როგორიც მოუტანა, მაგალითად, ირანს, სადაც, ისლამის დამკვიდრებასთან ერთად, ცხოვრებისა და კულტურის ყველა მხარე მარსებითი ცვლილება განიცადა. საქართველომ ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა არაბობის დროსაც, ეს კი იმ პირობებში ეროვნული თავის-თავადობის შენარჩუნებას უდრიდა. მართლაც საკვირველია, რომ არც ქართულ ხელოვნებას, არც მწერლობას, რომელიც გამდიდრდა არაბულიდან ნათარგმნი თხზულებებით და რომელმაც ასახა არაბობისდროინდელი მოვლენები, არსებითად არ განუცდია არაბუ-

ლი გავლენა, ორივე თავისი ბუნებრივი, სრულიად დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა. ქვეყნის სულიერი ცხოვრებისათვის, მთელი შემდგომი კულტურული განვითარებისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ ქართულ მონასტრებს, რომლებიც არაბთა შემოსევების შემდეგ წარმოიშვა. ამ შემოსევებისგან ყველაზე მეტად აოხრებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჩვეულებრივ, სიმოკლისთვის ამ კუთხეს ტაო-კლარჯეთს უწოდებენ, თუმცა ეს სამთავრო სხვა ისტორიულ პროვინციებსაც აერთიანებდა). VII-IX საუკუნეებში დაარსებული მონასტრები იზხანი, ბერთა, წყაროსთავი, ხანძთა, ოპიზა, შატბერდი, ზარზმა, ხახული, ოშკი და სხვები გადაიქცა დიდ კულტურულ კერებად, სადაც ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა იყო გაშლილი. იქმნებოდა ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებები, ითარგმნებოდა უცხოური თხზულებები, გადაინერა უამრავი წიგნი, რომლებიც განსაცვიფრებელი კალიგრაფიული ოსტატობით გამოირჩევა, სრულდებოდა ჭედური ხატები, ჯვრები, წიგნის ყდები; ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი ის

არის, რომ აშენდა მონასტრების მთელი ხუროთმოძღვრული ანსამბლები ეკლესიებით, სამლოცველოებით, სატრაპეზოებით, გადამწერთა სახელოსნოებით, სემინარიებით, სამეურნეო შენობებით; აღდგა ძველი და დაარსდა ახალი ქალაქები, აშენდა მიუვალი ციხეები, ხიდები, გაყვანილი იქნა გზები.

შემოქმედებითი ცხოვრება ქვეყნის სხვა ნაწილებშიც გრძელდებოდა — დასავლეთ საქართველოში ე.წ. აფხაზთა სამეფოში, კახეთსა და ქართლშიაც კი, ე. ი. საამიროსგან ყველაზე მეტად შევიწროვებულ პროვინციაში. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს სწორედ ხუროთმოძღვრება, რომლის ძეგლებიც გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში — შავი ზღვის სანაპიროებიდან სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრებამდე. ამ ხანას მიეკუთვნება შუა საუკუნეთა ქართული სასულიერო მწერლობის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები. იოანე საბანის ძის „აბო ტფილელის მარტილობა“ (VIII ს.-ის დასასრულისა), ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X ს.) და სხვ. (მეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ამავე პერიოდს, IX საუკუნეს, მიეკუთვნება ბალავარიანის — შუა საუკუნეებში დიდად პოპულარული ბუდისტური ლეგენდის — ქართული ვერსია, რომელიც ბერძნულის წყაროდ იქცა, იქედან კი სხვა ენებზე ითარგმნა). ყველა ეს ნაწარმოები უშრეტი წყაროა ერისა და ქვეყნის მაშინდელი ცხოვრების გასაცნობად და გასაგებად, ყოველი მათგანი, თავისი განსაკუთრებული მხატვრული ღირსებების წყალობით და პროზის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. აქტიური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია არც უცხოეთის ქართულ მონასტრებს, რომლებიც ხელს უწყობდა ქართველთა მჭიდ-

რო სულიერ კონტაქტებს მთელ განათლებულ სამყაროსთან და, უპირველესად, ბიზანტიასთან.

ადრე არსებულთა გარდა, იქმნება ახალი მნიშვნელოვანი ცენტრები.

IX ს.-ში ულუმბოს ქართული მონასტერი მცირე აზიაში, X ს.-ის მეორე ნახევარსა და მიწურულში — ქართული მონასტრები სინას ნახევარკუნძულზე და ათონის მთაზე. ორივემ ძალიან დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. გარდამავალი ხანის არქიტექტურაში წინანდებურად მთავარი ადგილი უჭირავს სარწმუნოებრივსა და სათავდაცვო ნაგებობებს — ციხესიმაგრეებს, ციხე-ქალაქებს, ეკლესიებსა და მონასტრებს, რომლებიც ეს არის ვახსენეთ. მაგრამ სათავდაცვო შენობები ცუდადაა შენახული, ეკლესიათა დიდი ნაწილი კი ან შეუსწავლელია, ან არასაკმარისადაა შესწავლილი, რაკი, როგორც ცნობილია, უფრო გვიან საქართველოს მიწაწილის ნაწილი, განსაკუთრებით მდიდარი ძეგლების მხრივ, მიტაცებული იქნა თურქეთის მიერ და კვლევებისთვის მიუწვდომელი გახდა. მაგრამ მკვლევარებმა მაინც იმდენი გააკეთეს, რომ შესაძლებელია ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება. ამას გარდა, გარდამავალი ხანისაგან დაგვრჩა საცხოვრებელთა ნანგრევები (კახეთში), რომლებიც დიდად აფართოებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეთა მშენებლობის შესახებ. თემატურად საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა — მნიშვნელობის მხრივ ახლაც გუმბათიან ეკლესიებს ენიჭება უპირატესობა, მაგრამ განაგრძობდნენ სამნავიანი და სამეკლესიო ბაზილიკებისა და ცალნავიანი ეკლესია-სამლოცველოების შენებასაც. ძირითადი საშენი მასალა კვლავ ქვია, მაგრამ **თლილ ქვასთან ერთად გვხვდება ნატეხიც**, რაც ხშირად ეკონომიური მოსაზრებითაც იყო გამოწვეული — მძიმე დრო იყო, ქვეყანას უჭირდა. კახეთში VIII ს.-ში აქა-იქ აგურსაც იყენებდნენ რიყის ქვასა და ნატეხ ქვასთან ერთად. იცვლება ზოგი კონსტრუქცია. მაგ.: ტრომპები

თანდათანობით პანდანტივებს უთმობს ადგილს: VIII –IX საუკუნეებში არის შემთხვევა, როცა ტრომპი და პანდანტივი ერთდროულადაა გამოყენებული ერთსა და იმავე შენობაში, შემდეგ კი ტრომპები მთლიანად ქრება (საგულისხმოა, რომ ბიზანტიაში ტრომპები პირველად ამ დროს ჩნდება ეკლესიების ერთ ტიპში, რომელსაც ასე უწოდებენ კიდეც — კუთხისტრომპებიანი ეკლესია. ამის ნიმუშებია **დაფნის მონასტრის ეკლესია, ფოკიდის ხოზიოს-ლუკასი** და სხვ. თანდათან ქრება, აგრეთვე, მანამდე დიდად გავრცელებული ნალისებრი მოხაზულობა თაღებისა, კამარებისა და აფსიდებისა. მაგრამ, როცა უამრავ იმდროინდელ ძეგლს გადაავლებ თვალს, **მთავარი ის არის, რომ გეგმები, ხუროთმოძღვრული თემები ჭრელია, რაც წინა ხანის მკაცრი სტილის დათმობასა და ახალი ხუროთმოძღვრული გზების ძიებას მოწმობს.** ჩნდება დეკორაციული და ცხოველხატული ტენდენციები, რაც X ს.-ის შუა წლებში უკვე ახალი სტილის საბოლოო შემუშავებამდე მიგვიყვანს. ...ამ ძიებათა პროცესში მაინც შეიქმნა ზოგი ნაწარმოები, რომლებიც არა მარტო ევოლუციის გაგების თვალსაზრისითაა საყურადღებო, არამედ შესანიშნავი მხატვრული ღირსებებითაც.

გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა

ისეთი ძეგლის დასახელება, რომელიც შეიძლება ზუსტად VII ს.-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნოს, გაგვიძნელებს, მაგრამ VIII და IX საუკუნეებისათვის მშვენიერი მაგალითები გვაქვს. ზოგი მათგანი ზუსტად დათარიღებულიც კია. პირველად შეიძლება განვიხილოთ **სამშვილდის დიდი საეპისკოპოსო ტაძარი**. ნირქოლი მდინარის მარჯვენა მალალ ნაპირზე დგას, მთის კალთაზე, ციხის მახლობლად. ეს ციხე X ს.-ის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ქართულ მატყანეებში. ეკლესია დიდად დააზიანა მინისძვრამ: აღმოსავლეთის კედელი

შუაზე იყო გაგლეჯილი, ფრონტონის დიდი ნაწილი ჩამოიქცა, ფასადის ჩრდილოეთის ნაწილი გვერდზე გადაიზნია. სერიოზული სარესტავრაციო მუშაობის ჩატარების შემდეგ, ძეგლს თავდაპირველი სახე დაუბრუნდა..... სამაგიეროდ მეორე ძეგლს — **არმაზს** ზედვე აწერია ზუსტი თარიღი 864 წელი. ეს პირველი ქართული ეკლესიაა, რომლის თარიღიც პირდაპირ არის მითითებული წარწერაში (ეს ძეგლი მცხეთის არმაზთან არ უნდა აგვერიოს). არმაზის ეკლესია ნირქოლისას, უპირველეს ყოვლისა, იმით ენათესავება, რომ გუმბათი აქაც დამალულია. ესეც უყელოა, მაშასადამე, უსარკმლოც და ორკალთიანი სახურავის ქვეშაა მიჩქმალული.

...გარდამავალი ხანის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება VIII-IX საუკუნეების ორი ძეგლი კახეთში. ორივეს „ყველანმინდა“ ეწოდება. ერთი გურჯაანთანაა, მეორე ვაჩნაძიანის (ახლანდელი შრომის) მახლობლად. ვაჩნაძიანის ყველანმინდა მთებშია, დაბურულ ტყეში. ეკლესია დიდი ხანია მიტოვებულია, ახლო - მახლო მოსახლეობაც არ იყო და შენობა ხეებმა და ეკალბარდებმა დაფარა იმდენად, რომ ახლა მისი გარედან გადაღება თითქმის შეუძლებელია. მისი ძირითადი ნაწილი შეადგენს წაგრძელებულ ნავს, რომლის ცენტრშიაც აღმართულია სიგრძივი კედლების შვერილებზე დაყრდნობილი გუმბათი.... **გურჯაანის ყველანმინდა**, რომელიც შიგა სივრცის პროპორციით ვაჩნაძიანის მსგავსია, **ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში.** ეს თემა დამახასიათებელი იყო შემოქმედებითი ძიების ხანისათვის, მაგრამ ველარ განვითარდა. გარდამავალი ხანის ბოლოს, X ს.-ში, საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში ვხვდებით გუმბათიანი ეკლესიების მანამდე უცნობ ექვსაფსიდიან ტიპს. ეს ტიპი, ალბათ, წარმოიშვა, როგორც ტეტრაკონქის ძველი ტიპის ერთგვარი დეკორაციული გადამუშავების თუ განვითარების შედეგი. თუ არ ჩავთვლით ზემოთ განხილულ ნინოწმინდის ტაძარს (VI ს.), ეს ერთადერთი სახეობაა ქართული გუმბათიანი ტაძრებისა, რომელშიაც

გუმბათი კვადრატს არ ეყრდნობა — მის დასაყრდნობად აქ გამოყენებულია აფსიდების ექვსი შვერილი. გარედან ექვსფასიდიანი ეკლესიები შედგება ორი, ერთმანეთზე შესმული წახნაგოვანი ცილინდრისაგან: ქვემო, უფრო ფართო, შეიცავს თვით აფსიდებს, ზემო - გუმბათის ყელია. ამ ტიპის ცალკეული ნიმუშები საკუთარი თავისებურებით გამოირჩევა: **გოგიუბაში** (სამხრ. საქართველო, ახლა თურქეთშია) ექვსივე აფსიდი თანაბარია და გეგმა სრულიად სიმეტრიულია, იგი თანაბარზომიერად ვითარდება შუა ვერტიკალური ღერძის გარშემო; კიანთის - ალთისა და ოლთისში (ეს ძეგლებიც თურქეთშია) აღმოსავლეთის აფსიდის საკუთრებელი გამოყოფილია, იგი გამოშვერილია საერთო აბრისიდან და, ამგვარად, შიდა სივრცეში გარკვეული ლოგიკური მახვილია დასმული. ყოველი ნიმუშის დასახასიათებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აფსიდების სიღრმეს, ბემების არსებობას ან არარსებობას აფსიდების წინ. მაგ., **ბოჭორმის ციხის ეკლესიაში** (კახეთში), ბემები მკაფიოდ განაცალკევებს აფსიდებს გუმბათქვეშა სივრცისაგან: **კაცხში** (იმერეთში), რომელიც ამ ტიპის უკანასკნელი ნიმუში უნდა იყოს (აშენებულია X-XI საუკუნეთა მიჯნაზე), უფრო განვითარებული გეგმაა — მთავარ ბირთვს ემატება გარშემოსავლელი, რომელიც გარედან მესამე (ქვემო) საფეხურს ქმნის. გენეტიკურად ამავე თემასთანაა დაკავშირებული ორი სახელგანთქმული ძეგლი X ს-ის მეორე ნახევრის კუთვნიერად და XI ს-ის დასაწყისის **ნიკორწმინდა**. მათ, ისევე, როგორც კაცხს, ქვემოთ შევხებით, რადგანაც მთელი მათი ხუროთმოძღვრული და დეკორაციული დამუშავება უკვე მომდევნო ხანას მიეკუთვნება. აქ კი უნდა მოვიხსენიოთ **ტაოს-კარის ტაძარი** (სამხრეთ საქართველო, ახლა თურქეთშია), **უნიკალური ძეგლი რვა სწორკუთხა რადიალური მკლავით, რომლებიც გარედან დაბალსა და ფართო თექვსმეტწახნაგაშია ჩასმული**. გოგიუბასა და კიანთის-ალთის (ეს სახელები, ცხადია, გვიანდელია, თურქული). ძველი ქართული სახელწოდებები დაკარგულია. ფასადებზე, რომლებიც თლილი ქვითაა მოპირკეთებული, უკვე მოცემულია დეკორაციული თაღები. თაღები ეყრდნობა შეწყვილებულ შეუღლებულ სისტემა საბოლოოდ შემუშავდება X ს.-ის დიდ საეპისკოპოსო ტაძრებში და შემდეგ ძალიან ფართოდ გავრცელდება. სამხრეთ საქართველოში აშენდა X ს.-ში ბაზილიკების ყველაზე საინტერესო ნიმუშები. ერთი მათგანი, **ოთხთა ეკლესია** (ახლა თურქეთშია, ჭოროხის ხეობაში) წარმოადგენს წერილობითი წყაროებიდან ძველთაგანვე ცნობილი მონასტრის მთავარ ტაძარს.... ძალიან ახლო დგას ოთხთა ეკლესიასთან **პარხლის მონასტრის ეკლესია**, ესეც სამხრეთ საქართველოშია, ტაოში. პარხალი აშენდა 973 წელზე ცოტა ადრე, როდესაც შესანიშნავმა კალიგრაფმა („მწერალმა“) იოანე ბერმა შატბერდის მონასტერში გადაწერა და პარხალს შესწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით...



გურჯაანის ყველაწმინდა — ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში

გარდამავალი ხანის საეკლესიო არქიტექტურის რეპერტუარი მხოლოდ ზემოგანხილული ტიპებითა და ნიმუშებით არ ამოიწურება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ეპოქას სწორედ თემათა, ფორმათა და გეგმათა დიდი მრავალგვარობა და სიჭრელე ახასიათებს. აქ ყველაფ-

რის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ ორიოდ მაგალითი უკეთ დაგვანახებს ძიებათა მრავალფეროვნებასა და სიჭრელეს: **ოპიზის სახელგანთქმული მონასტრის** მთავარი ეკლესია სამხრეთ საქართველოშია, კლარჯეთში. **ბიჭვინტის ტაძარი**, კიდევ ერთი ნიმუში X ს.-ისა, — შავი ზღვის სანაპიროზე. **XIV-XVIII საუკუნეებში ეს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ტახტი იყო**. ზემოთ ვახსენეთ ამ ეპოქის სამოქალაქო შენობები — VIII-IX საუკუნეთა სასახლეები. ყველა ეს სასახლე კახეთშია. **ნეკრესის მონასტრისა და ჭერემში საეპისკოპოსო სასახლეები, ვაჩნაძიანსა და ვანთაში - ფეოდალთა საცხოვრებლები**. ტიპით ყველა ერთმანეთს ენათესავება. ეს გრძელი სწორკუთხა ორსართულიანი შენობებია. ჩვეულებრივ, არ არის არავითარი შვერილი, არც აივანი ან ლოჯია. ქვემო სართული დამხმარე სადგომებისთვისაა, უფრო დაბალია, მცირე სარკმლებით. ზემო — საცხოვრებელი და საზეიმოა. აქ, ჩვეულებრივ, მიყოლებით (ანფილადის წესით) დალაგებული ერთი დიდი დარბაზი და უფრო მცირე ოთახებია. მთავარი ფასადის მხარეს, რომელიც ხეობას ან ფართოდ გაშლილ ველს გადაჰყურებს, დიდი თაღოვანი სარკმლების მწკრივია. ფართო სარკმლები,

რომლებიც იატაკიდანვე იწყება, უშუალოდ და მჭიდროდ აკავშირებს დარბაზის ინტერიერს გარემო ბუნებასთან — ლანდშაფტთან. ამგვარი კონტაქტი ყველა სასახლის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, ალაზნის ველის თვალუწვდენელი პანორამა იშლება ნეკრესის სასახლიდან, რომელიც ზედხრამის პირასაა დაკიდული. დარბაზებში უზარმაზარი ბუხრებია. ასეთ ბუხარში მთელი ირმის შენვა შეიძლება: ქართველი ფეოდალები არ განსხვავდებოდნენ სხვა ქვეყნების ფეოდალთაგან — ნადირობა მათთვისაც ერთი უმთავრესი და უსაყვარლესი საქმეთაგანი იყო. ეკლესიებისაგან განსხვავებით, სასახლეების დარბაზებს ხის ბრტყელი კოჭებიანი გადახურვა ჰქონდა: სახურავები ორკალთიანი იყო. სარკმლის თაღები ჯერ კიდევ ინარჩუნებს მკაფიო ნალისებრ მოხაზულობას. კედლები რიყის ქვისაა — გარედან შელესილი ნაკერები ჰქონდა, შიგნით კი ერთიანად შელესილი იყო. დიდად დასანანი, რომ სასახლეთა დღევანდელი მდგომარეობის გამო, არაფერი ვიცით მათი გამართულობის შესახებ. ამ მხრივ ქართული საერო ხუროთმოძღვრების მდგომარეობა ვერ შეედრება დასავლეთ ევროპულისას. ამ სასახლეებს შეიძლება დავუკავშიროთ **იყალბოს აკადემიის შენობაც** — ორსართულიანი, დიდი, ოცმეტრიანი დარბაზით ზემო სართულში, სადაც, ალბათ, სამეცნიერო კრებები იმართებოდა. დაახლოებით X ს.-ის შუა წლებში და, მით უფრო, მომდევნო ათეულ წლებში, ახალი სტილის ნიშნები უკვე გამოკვეთილი და შემუშავებულია. იწყება ახალი „დიდი ეპოქა“ ქართული ხუროთმოძღვრებისა, დაკავშირებული თვით ქვეყნის ცხოვრების ახალ ისტორიულ საფეხურთან.

სახელმწიფოს ბაერთიანების ხანის ხუროთმოძღვრების ზოგადი დახასიათება

ეს არის ხანა (X ს.-ის ნახევრიდან XIII ს.-ის დასასრულამდე), როდესაც ფეოდალური სისტემა თავის

სრულ განვითარებას აღწევს. პოლიტიკური თვალსაზრისით უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც ეროვნული კულტურის მთელი შემდგომი განვითარება განსაზღვრა, გაერთიანებისათვის ბრძოლაა. როგორც შესავალში აღვნიშნეთ, XII ს.-ის დასაწყისში იგი სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა...

X ს.-ის უკანასკნელი ათეული წლები და განსაკუთრებით XI საუკუნე — უკანასკნელი ეტაპი გაერთიანების წინ დიდი ეროვნული აღტიყნების ხანაა, ხანა დიდი შემოქმედებისა, ხანა, როდესაც ხალხის სულიერი ძალები დაძაბულია დიდი ეროვნული მშენებლობისათვის. შედეგი კულტურის ყველა დარგში იჩენს თავს. ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესი ფაქტია საერო პროზისა და პოეზიის ჩასახვა. **კორნელი კეკელიძე**, ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარი, ნათელს ხდის ამ ამბის მნიშვნელობას: **„ქართველი ერი ეკუთვნის იმ ერთა ჯგუფს, რომელთაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და დაამუშავეს შინაარსიანი საეკლესიო მწერლობა. იმავე დროს, ის ერთგვარ გამონაკლისსაც შეადგენს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიან ერთა შორის: მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი ერები შებოჭილი იყვნენ საეკლესიო-სქოლასტიკური ბორკილებით, ქართველებმა, საეკლესიო მწერლობასთან ერთად, განავითარეს მდიდარი საერო მხატვრული მწერლობა“** (კ.კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 1).

ამ ეპოქაშივე უჩვეულო მასშტაბს აღწევს მშენებლობა. მრავალსა-ვაჭრო — სახელოსნო ქალაქს, რომლებიც მაშინ ჰყვავოდა, ჩვენ ქართველ არქეოლოგთა გათხრების წყალობით ვიცნობთ. ასეთებია, მაგალითად, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი. ქალაქებში, სიმაგრეთა და საცხოვრებელ სახლთა გარდა, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიც იყო — ქარვასლები, აბანოები, ქულბაქები (სავაჭროები), მაგრამ ყველა ეს შენობა იმდენად დაზიანებულია, რომ მათი არქიტექტურის შესახებ, მცირე გამო-

ნაკლისით, მსჯელობა არც კი ხერხდება. დიდი მშენებლობა იყო სხვა — დღესაც ცოცხალ — ქალაქებში, ყველაზე მეტი თბილისში, რომელიც 1122 წელს, დავით აღმაშენებლის მიერ უცხოელთა საბოლოოდ განდევნის შემდეგ, სრულიად საქართველოს დედაქალაქად იქცა. წერილობითი საბუთები და რეალურად დარჩენილი ნაშთები ადასტურებს გზების, ხიდების, წყალსადენთა და ფუნდუკების (სასტუმროების) მშენებლობას.

...ამ ეპოქაში აშენდა ციხე-ქალაქი თმოგვი და მძლავრი ციხე-სიმაგრეები საქართველოს ყოველ კუთხეში — ციხეები განლაგებული იყო გარკვეული, კარგად მოფიქრებული, საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის მიხედვით ძირითად გზებზე და უმთავრესი ცენტრების გარშემო. ბუნებრივია, დიდი ადგილი უნდა სჭეროდა სამეფო და ფეოდალთა სასახლეებსაც. მათიანეში მათი ხსენება ხშირია, მაგრამ რეალურად სულ თითო-ოროლაა გადარჩენილი და ისიც დანგრეულია. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ დროს კვლავ ცოცხლობს კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მშენებლობა. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის უმთავრესი ძეგლები სწორედ მაშინაა შექმნილი (უფლისციხის გარდა). მაგრამ განვითარების ყველაზე სრულ, თანმიმდევრულ და ნათელ სურათს ამჯერადაც საეკლესიო არქიტექტურა წარმოგვიდგენს. X-XIII სს. ტაძრები, იმავე დროს, გაცილებით უკეთესადაცაა დაცული, ვიდრე საშუალოქალაქო დასათავსადგო შენობები. საკულტო არქიტექტურაში უმთავრეს ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძრის ტიპი მკაფიოდ ხაზგასმული სიგრძივი ღერძითა და მასებით, რომლებიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის; ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათი, რომელიც ოთხ ბოძს ეყრდნობა; დასავლეთის მკლავი გრძელია და მასში შეიძლება კიდევ იყოს ბოძები. საკურთხევლის აფსიდი ჩვეულებრივ გარე კედლების ოთხკუთხედის ფარგლებში რჩება, მაგრამ გვხვდება შვერილი აფსიდებიც: პირველად, X ს.-ის მეორე ნახევარსა და

XI ს.-ის დასაწყისში, ხშირად მიმართავენ ტრიკონქის ტიპს, რომელიც ამის შემდეგ სრულიად ქრება, ტეტრაკონქები უკვე საბოლოოდ დავიწყებულია. უგუშბათო ეკლესიათაგან X ს.-ის შემდეგ მხოლოდ ცალნავიანი განაგრძობს არსებობას. ბაზილიკებს — არც სამნავიანსა და არც სამეკლესიანს — აღარ აშენებდნენ. X ს.-ის მეორე ნახევარსა და XI ს.-ის პირველ ათეულ წლებს მიეკუთვნება საქართველოს ყველა უდიდესი კათედრალის (საეპისკოპოსო ტაძრის) შექმნა ან აღდგენა — ამ ძეგლებს მაშინდელ პირობებსა და ვითარებაში ზოგადსახალხო, ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. არა მარტო შენობათა მასშტაბი გაიზარდა, არამედ პროპორციებიც არსებითად შეიცვალა. ზემოთკენ მისწრაფება, რომელიც უკვე გარდამავალი ხანის ძეგლებში იჩენდა თავს, ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა. ამას ხელს უწყობს მრავალნახნაგა და მრავალსარკმლიანი გუმბათის ყელის აზიდული პროპორცია და მისი სახურავის წვეტიანი პირამიდი. ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკლესიას აქვს კარიბჭეები დასავლეთით და, უფრო ხშირად, — სამხრეთით (ზოგჯერ ორივე მხარესაც). ცხოველხატულობა, დინამიკურობა, დეკორაციული გაფორმების სიმდიდრე ამ დროს მხატვრული შთაბეჭდილების საფუძვლად იქცევა. ნაცვლად ბოლნისის, ჯვარის, წრომის მკაცრი ფასადებისა, ახლა ჩვენ ვხედავთ დეკორაციული თაღების მთელი სისტემით დატვირთულ ფასადებს — თაღები ზოგჯერ ოთხსავე მხარეს უფლის შენობას; კარნიზები, კარ-სარკმელთა საპირეები და სათაურები შემკულია ქვაზე ნაკვეთი სახეებით. ფასადთა კომპოზიციაში ჩართულია ჩუქურთმისა და ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები (განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში) — ეს მორთულობა ხუროთმოძღვრული ნაწარმოების სრულყოფილების კომპონენტია. ქვაზე კვეთა დიდად ვითარდება: X ს.-დან XIII ს.-მდე შეიძლება თვალი გავადევნოთ განვითარების საფეხურებს. მსუბუქი, მცირე სიღრმის „გრაფიკული“ ორნამენტიდან, რომელიც



ოთხთა ეკლესია თურქეთის ტერიტორიაზე

მელიც თითქოს ობობას ქსელივით ედება კედელს XI და ნაწილობრივ XII-XIII საუკუნეთა ღრმა, შუქჩრდილის დაპირისპირებით გაცოცხლებულ, პლასტიკურ ჩუქურთმამდე, რომელშიაც განსაკუთრებულ როლს მცენარეული სახეები თამაშობს, დასასრულ, პერიოდის ბოლოს — მშრალ, დაქუცმაცებულ ორნამენტამდე. ტაძრის შიგნით კედლები და კამარები ერთიანად მოხატული იყო. მაგრამ ეს ცხოველხატულობა და დეკორაციულობა, მდიდარი სამკაული, რომელმაც ფასადთა სიბრტყეებზე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, ოდნავადაც არ არღვევს საერთო აღნაგობის ნათელ ტექტონიკასა და გეომეტრიულ სიცხადეს. ეს თვისება დამახასიათებელი იქნება ქართული ხუროთმოძღვრებისათვის მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ასევე, საუკეთესო ძეგლებში სამკაულისა და ხუროთმოძღვრული მთელის ურთიერთკავშირი მუდამ ლოგიკურია, ხოლო ჩუქურთმის შესრულება, თუმცა კი არტისტული თავისუფლებისა და ერთგვარი იმპროვიზაციულობის ბეჭედს ატარებს, მუდამ ემორჩილება გარკვეულ შემუშავებულ კანონებს. საშენი მასალების გამოყენებისა და კონსტრუქციების მხრივ პრინცი-

პულად ახალი არაფერია. თლილ ქვას ფასადთა პერანგისთვის კვლავ უმთავრესი ადგილი უჭირავს, მაგრამ ახლა ოსტატები პოლიქრომიის ეფექტებსაც მიმართავენ და საამისოდ ერთსა და იმავე შენობაში სხვადასხვა შეფერილობის ქვას იყენებენ, კედლის კონსტრუქცია ორმხრივი მოპირკეთებისა და მათ შუა ამოვსებისაგან შედგება მაგრამ XII ს.-დან ტაძრის შიგნით, უმეტეს წილად, თლილ ქვას მხოლოდ ბოძებისა, პილასტრებისა და თაღებისთვის ხმარობდნენ, კედლების შიგაპირი კი ტლანქად დამუშავებული ქვისა იყო, რაკი მაინც მხატვრობით იფარებოდა; სახურავი ქვის ფილებისა ან კრამიტისა კეთდებოდა. დარჩენილია მთლიანად აგურით აშენებული რამდენიმე ეკლესია, რომელთა ფასადები, ბუნებრივია, მოკლებულია იმ დროის ჩვეულებრივ მორთულობას. ციხესიმაგრეთა კედლები ნაშენია შედარებით უხეშად დამუშავებული და წესიერ რიგებად დანაწილები თანაბარი კვადრებით, თალი და კამარა ძველებურად რჩება გადახურვის უმთავრეს საშუალებად, მაგრამ ტრომპები და ნალისებრი მოხაზულობა საბოლოოდ უთმობს ადგილს პანდანტიგებსა და ნახევარწრიულ მოხაზულობას (ზოგჯერ ცენტრთან ოდნავ შეის-

რულს). დასასრულ: შესრულების ტექნიკური ხარისხი, რომლის დონეც დაქვეითდა VII-X საუკუნეთა ზოგ ძეგლში, კვლავ დიდ სიმაღლეს აღწევს.

ხუროთმოძღვრება X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე

პირველი ნიმუშები, რომლებიც ამ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ, ჯერ კიდევ ატარებს გარდამავალი ხანის ნიშნებს, მაგრამ მათში უკვე საკმაოდ ნათლად იჩენს თავს ახალი სტილის ნიშნებიც. ამ დროის, X ს.-ის შუა ათეული წლების, ტიპური მაგალითია **კუმურდოს შესანიშნავი ტაძარი ჯავახეთში**, ახალქალაქის მახლობლად... კიდევ უფრო მეტად უახლოვდება ახალი დროის ნორმებს ოშკის მონუმენტური საეპისკოპოსო ტაძარი (სამხრეთ საქართველო, ტაო)... იმავე დავით კურაპალატმა, ეროვნული ერთიანობისათვის დიდმა მებრძოლმა, რომლის სახელსაც უკვე რამდენიმეჯერ შევხვდით, ააგო კიდევ ერთი შესანიშნავი ტაძარი **ხახულის მონასტრისა** (სამხრეთ საქართველოშივე, თორთუმის წყლის ხეობაში). თავისი საერთო ხასიათით იგი ენათესავება ოშკს, ხოლო ქვაზე ნაკვეთი მორთულობის სიმდიდრით უეჭველად შეიძლება მიეკუთვნოს თავისი დროის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს. ჩვენ მივადექით XI ს.-ის მიჯნას. **XI საუკუნე ჩვენი კვალი ხუროთმოძღვრების დიდი საუკუნეა, როდესაც ახალი სტილის ნიშნები სრულსა და ყოველმხრივ სორცხესხმას ჰპოვებს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ყველა კუთხეში მხანგრძლივად არაჩვეულებრივი ინტენსივობით იშლება. არა მარტო დიდი საეპისკოპოსო ტაძრები, არამედ პატარა სასოფლო სამლოცველოებიც მოწმობს, რომ სახუროთმოძღვრო ხელოვნებამ კვლავ მიაღწია სრული სიმწიფის საფეხურს.** დროის მიხედვით პირველი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელიც XI ს.-ის მიჯნაზე

შეიქმნა, ქუთაისის ე.წ. **ბაგრატის ტაძარია...** ქუთაისის ტაძარს მრავალმხრივ უახლოვდება **ალავერდის** სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, აგებული XI ს.-ის პირველ მეოთხედში. იგი კახეთში მდებარეობს, თელავიდან 18 კილომეტრის დაშორებით. ბაგრატის ტაძრისაგან განსხვავებით, იგი ვაკეზე დგას და თავს დაჰყურებს ალაზნის ველს. მისი ცად აწვდილი წვეტიანი სახურავი და თეთრი კედლები ყოველი მხრიდან დიდი მანძილიდან ჩანს... XI საუკუნის მესამე ფუძემდებელი ძეგლი, რომელშიაც ეპოქის სტილმა აგრეთვე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველია — ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის, და საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრი... სვეტიცხოვლის მახლობლად, იქვე, მცხეთაში, მდებარეობს XI საუკუნის I ნახევრის კიდევ ერთი ძეგლი, **სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი**. სიდიდით იგი საგრძნობლად ჩამოუვარდება სვეტიცხოველს, პროპორციების დახვეწილობით მაინც დამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ ეს მაინც მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ძეგლია... სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი 1030 წლისაა (თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, 65 კმ. მანძილზე) საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით — პროპორციულ შეფარდებათა საკვირველი ჰარმონიულობით, ვირტუოზული ბრწყინვალეობით შესრულებული მორთულობით — არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომ განვითარებას. XI ს.-ის I ნახევარი იმდენად მდიდარია ძეგლებით, რომ მათი მთლიანი განხილვა დიდად გადააჭარბებდა ამ ნიშნის ფარგლებს. მაგრამ ზოგი მათგანის თუნდაც მოკლედ მოხსენიება აუცილებელია:

მანგლისის ტაძარი, დაარსებული V ს.-ში და საფუძვლიანად გადაკეთებულ-გაფართოებული XI ს.-ის ოციან წლებში; **ნიკორწმინდა** (1010-1014); უკვე მოხსენებული ექვსაფ-

სიდიანი **კაცხი** (X-XI სს. მიჯნა, XI ს.-ის დამატებებით); **იშხნის ძველი ტაძარი**, რამდენიმეჯერ გადაკეთებული IX-XI სს.-ში — საბოლოო სახე მან XI ს.-ის პირველ ნახევარში მიიღო (ხუროთმოძღვარი იყო ივანე მორჩაისძე); დასასრულ, ერთნავიანი ეკლესიები — **ხცისი** (1002 წ.) და **სავანე** (1046 წ. ხუროთმოძღვარი ჰარაბაი). ყველა ეს ძეგლი თავისი დროის შესანიშნავი ნაწარმოებია. ყოველი მათგანი საინტერესოა როგორც ხუროთმოძღვრული ფორმებით, ისევე ფასადთა მორთულობის იშვიათი მრავალფეროვნების, სიმდიდრის, შესანიშნავი ტექნიკური შესრულების მხრივ. ნიკორწმინდის ფასადები და ექვტერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია ძალიან დამახასიათებელი და ისტორიულ-ეპოქური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები (მაგ. „ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამადლება“), რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. მაგრამ ეს ცალკეული დამოუკიდებელი სამკაულები კი არ არის, არამედ ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული, პროგრამის შემადგენელი ნაწილებია. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ტაძართა სკულპტურული გაფორმება ნიკორწმინდაში მწვერვალს აღწევს: XIII ს.-დან ფიგურული გამოსახულებებისადმი ინტერესი აშკარად მცირდება. **იმისთვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეთა ქართული ტაძრის სურათი, კიდევ უნდა დავუმატოთ ზოგი მნიშვნელოვანი დეკორაციული ელემენტი: ხის მონარატებული კარი (XI საუკუნემ დაგვიტოვა რამდენიმე მშვენიერი ნიმუში, მორთული არა მარტო წნულით, არამედ სკულპტურული ფიგურებითაც კი), განსაკუთრებით კი კანკელი, ე.ი. ტიხარი, რომელიც საკურთხეველ ნავისგან ჰყოფდა. ქართული კანკელი — ქვისა ან თაბაშირისა — შედარებით მცირე სიმაღლის ბარიერია, რომელზეც შედგმულია ერთმანეთთან თაღებით გადაბმული სვეტები. სვეტებს შორის მანძილი ფარდით იყო შევსებული. კანკელებისადმი**

ინტერესს იწვევს მათი მორთულობა — ჩუქურთმები და რელიეფები. ჩუქურთმა ახლოდან დათვალიერების ვარაუდითაა შესრულებული, უფრო წვრილია, ვიდრე ფასადის ჩუქურთმები. XI ს.-ის კანკელთა ზოგი რელიეფი — **საფარისა, ხოვლისა** — შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. შესანიშნავია, აგრეთვე, **სპეთის პატარა სასოფლო ეკლესიის** კანკელიც, ურთულესი და უფაქიზესი ჩუქურთმებით. როცა ეს ეკლესია შენდებოდა, სპეთი ყრუ, გადაკარგული ადგილი იქნებოდა, მაგრამ კანკელი მაინც დიდი ოსტატობითაა შესრულებული. უცნაურია, მაგრამ **XI ს-ის მეორე ნახევრის ხუროთმოძღვრობას ჩვენ, ფაქტიურად, არ ვიცნობთ.**

რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

სელჯუკთა შემოსევა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობა? არა მგონია. წერილობითი საბუთები მოწმობს, რომ მშენებლობა მაშინაც წარმოებდა მაგ., ატენის წარწერა XI ს-ის 70-იან წლებისა, ატენში ქალაქისა და ქულბაქების აშენების შესახებ), მაგრამ ეს ცნობებიც რომ არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ ცხოვრება მაშინ სრულიად ჩამკვდარიყო და არავის არაფერი აღარ ეშენებინა. შესაძლებელია, მომავალში მოხერხდეს კიდევ ზოგი ზუსტად დაუთარილებელი ძეგლის მიკუთვნება სწორედ ამ დროისათვის. XII საუკუნე შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანაა“. დაახლოებით 120 წელი დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე არა მარტო სრული სტაბილიზაციის დროა, არამედ პოლიტიკური სიძლიერისა და ეკონომიური აყვავებისაც. XII საუკუნე „იხსნება“ **გელათის სახელგანთქმული მონასტრით**, რომელიც 1106 წელს დაარსა დავით აღმაშენებელმა ქუთაისის მახლობლად, მისგან დაახლოებით 12 კალომეტრის დაშორებით. დავით აღმაშენებლისავე სახელთანაა დაკავშირებული შიომღვიმის მონასტერში ზემო ეკლესიის აშენება. ეკლესია მას შემდეგ ძალიან გადააკეთეს. მისმა ქალიშვილმა თამარმა (თამარ მეფე არ გეგონოთ!) 1152 წელს ააგო ასკეტურად მკაცრი ეკლესია სოფ. თიღვა-



ზარზმა

ში (შიდა ქართლშია, ახლა სამხრეთ ოსეთში); იმავე წელსაა აშენებული მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული ერთნავიანი ეკლესია საორბისში (ესეც ქართლში). XII საუკუნის ბოლო ათეულ წლებსა და XIII ს-ის პირველ ნახევარში, ე.ი. თამარისა და მის უშუალო მემკვიდრეთა მეფობის წლებში, შეიქმნა ქართლის გუმბათოვან ტაძართა ერთი დიდი ჯგუფი. ამათგან დროის მიხედვით პირველი **სოფელ იკორთის ეკლესია**, 1172 წლისა (ერთადერთი, რომელიც თამარის გამეფებამდე აშენდა), მას მოსდევს შესანიშნავი ტაძრები XII -XIII საუკუნეთა მიჯნისა — **ბეთანია და ქვათახევი, ფიტარეთი** (1213 - 1222 წწ., გიორგი ლაშას ხანა) ყველაზე ბრწყინვალე ნიმუში ამ ხანის ხუროთმოძღვრებისა, **წულ-რულაშენი** (ესეც 1213-1222 წლებს შუა აშენდა) და კიდევ რამდენიმე ძეგლი XIII ს-ის პირველი ნახევრისა და შუა წლებისა — **კაბენი, ახტალა, სოფელ მეტეხის ეკლესია** და სხვ. ამ შენობებში საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე. ტაძრის გეგმა უკვე მტკიცედ იცავს იმ ტენდენციას, რომელიც XI ს-ის ცალკეულ ძეგლებში — სამთავროსა და სამთავისში — ჩაისახა: გეგმა კიდევ უფრო დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა; ოთხი ცალკე მდგომარეობის ნაცვლად ორიდა დარჩა, აღმოსავლეთის ბოძების წყვილი საკურთხევლის კედლებთანაა შერწყმული; დასავლეთის მკლავში ბოძები აღარ არის, მას ერთსა და მეორე მხარეს მხოლოდ თითო თაღოვანი მალი აქვს

(გამონაკლისია იკორთა, სადაც ზოგი ძველი გადმონაშთი ჯერ კიდევ არსებობს); აღარც პატრონიკეა. გეგმა და საერთო აღნაგობა თითქოს დაყვანილია ელემენტარულ ფორმულამდე, მათ ველარაფერს დააკლეს. პროპორციებიც შეიცვალა: „შენობის კორპუსი რამდენადმე დადაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი კიდევ უფრო აიწონა და კომპიკით წამოიშორა: ზოგ ტაძარში ქვემო კორპუსისა და გუმბათის ყელის სიმაღლე თითქმის თანაბარია. ეს უფრო დაძაბულ, პროპორციულ შეფარდებას ქმნის. სტილისტიკური თვალსაზრისით ეს იგივე საფეხურია, მაგრამ ფასადთა დამუშავების კონკრეტული ხერხები შეიცვალა. იკორთაში თითქმის უცვლელადაა განმეორებული სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია (შეცვლილია მხოლოდ პროპორციები, ცალკეული დეტალები და ჩუქურთმის სახეები), მაგრამ შემდეგ დეკორაციული თაღები, რომლებიც მანამდე ფასადთა კომპოზიციის საფუძველს შეადგენდა, თანდათან ქრება; მთელი მხატვრული ეფექტი ამიერიდან ემყარება გლუვი კედლის დაპირისპირებას სარკმელთა გარშემო თავმოყრილ ჩუქურთმათა ინტენსიურ „ლაქებთან“. ჩნდება ზოგი სპეციფიკური მოტივი, მაგალითად, მდიდრულად მოჩუქურთმებული საპირეებით მორთული შეწყვილებული სარკმელები, მათ შორის ჩასმული მოჩუქურთმებული ჯვრით. ასეთი სარკმელები თავსდება დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე: იცვლება სარკმელთა საპი-

რეებისა და მათი ჩარჩოების კომპოზიციაც. მორთულობის კულმინაციას შეადგენს გუმბათის ყელი, რომელზედაც სარკმლის საპირეები მთლიან მორთულ ზედაპირს ქმნის (ეს ზედაპირი მაინც მკაფიოდაა დანაწევრებული დეკორაციული თალებითა და გრეხილებით, ასე რომ ხუროთმოძღვრული სტრუქტურა ნათლად იკითხება და უწყვეტი ხალიჩის შთაბეჭდილება არ იქმნება). **ამდროინდელი ეკლესიები სიდიდით დიდად ჩამოუვარდება XI საუკუნის საეპისკოპოსო ტაძრებს. ეს შენობები უფრო ინტიმურია, უფრო დეკორაციული, თითქოს ზედმეტად რაფინირებულიც კი, თუმცა აქა-იქ უკვე თავს იჩენს ხელოსნური სიმშრალე და ერთგვარი მოდუნებაც.** თითქმის უგამონაკლისოდ ამ ჯგუფის ყველა ეკლესია განმარტოებულ, სოფელ-ქალაქთაგან დაშორებულ ხეობებში მდებარეობს (და არა მონასტრებში ან დასახლებულ ცენტრებში, როგორც ან XI ს-ის ტაძრები): მათი უმეტესობა აშენებულია ხანდაზმულ ფეოდალთა მიერ, რომელნიც განშორდნენ ბოპოქარ ცხოვრებას — ზოგი ბერადაც ალიკვეცა — და არჩიეს დარჩენილი დღენი „სულიერი“ ცხოვრებისათვის მიეძღვნათ. უმეტესად ეს ეკლესიები საგვარეულო საძვალეებიც იყო. ამგვარად, ამ ტაძრებს აღარ შეიძლება ჰქონოდა საყოველთაო სახალხო ძეგლების მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელიც წინა დროის დიდ კათედრალებს ჰქონდა. ეკლესიების გეგმებს, მათს სივრცობლივ აღნაგობას არც შემდეგ განუცდია არსებითი ცვლილება, მაგრამ მორთულობის სისტემამ კი ევოლუციის თვალსაჩინო საფეხურები განვლო. ...ბეთანიის, ფიტარეთის, ნულ-რულაშენისა და ახტალის ხუროთმოძღვრები სრულიად უკუაგდებენ თაღედს. აღმოსაელეთის ფასადის ნიშები შენარჩუნებულია, მაგრამ ფასადის მთლიანი კომპოზიცია მრავალ შემთხვევაში ამჟღავნებს უფრო ინდივიდუალურ, კანონიკური სქემებისაგან თავისუფალ მიდგომას ამოცანისადმი. მაგალითად, ფიტარეთელი ოსტატი ნიშებს უახლოებს შუა სარკმელს, სარკმლის თავზე ათავსებს თაღოვან სათა-

ურს, რომელიც, თავის მხრივ, ნარმოადგენს კვარცხლბეკს მოჩუქურთმებული ჯვრისთვის, ამ ჯვარს თავი ფრონტონის წვერზე აქვს მიბჯენილი. გამოდის შეკრული, სავსე კომპოზიცია, რომლის ყოველი ნაწილიც ერთ განუყოფელ მთელადაა შერწყმული. **განსაცვიფრებლადაა შესრულებული ფიტარეთის მორთულობა. ოსტატს სრულიად თავისუფლად გამოჰყავს ჩუქურთმის რთული ხლართი, ერთსადაიმაცე საპირეში გაბედულად ათავსებს სხვადასხვა მოტივებს, სტილიზებულ ნახატში აქსოვს ცხოველთა და ადამიანთა ფიგურებს. კედლის წყობისათვის იგი სხვადასხვა ფერის ქვას იყენებს, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აძლიერებს დახვეწილი დეკორაციულობის შთაბეჭდილებას.** ბეთანიასა და ფიტარეთში დარჩენილია იმდროინდელი ქართული ტაძრების დამახასიათებელი კარიბჭე — ექვტერები სამხრეთის შესასვლელის წინ, ამალღებული შუა ნაწილებით, რომლებიც ფასადის მხრივ ფრონტონებითაა გამოყოფილი, შიგნით კი ვარსკვლავისებრი კამარებითაა გადახურული. მცირეოდენი განსხვავებით ამ ჯგუფს ემხრობა თამარის-დროინდელი ერთი ძეგლი თბილისში, ე.წ. **ლურჯი მონასტერი.** მაგრამ იგი იმდენად გადაკეთებული და დამახინჯებულია, რომ რაიმე მხატვრულ შთაბეჭდილებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ამ დროის ერთნაგვიანი ეკლესიების ნიმუშებია **მაღალანთ ეკლესია** (ქართლში, კავთურის ხეობაში), რომელიც გვხიბლავს მსუბუქი, ელეგანტური პროპორციებით, მშვენივრად შესრულებული მდიდარი ჩუქურთმით, ფასადთა კომპოზიციების ორიგინალობით, ძალიან ლამაზი ფერის პერანგით (გამოყენებულია მწვანე და ყვითელი ქვა. ორი ფერის შეფარდება ნათლად დასახულ მხატვრულ ამოცანას ექვემდებარება); გუდარეხი (1222-1245 წლებს შუა) ქვემო ქართლში; ადრინდელ სამრეკლოთა ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ გუდარეხის სამრეკლო 1278 წლისა, ორსართულიანი, კუბური ქვემო სართულით, რომელშიაც გალავნის შესასვლელია მოწყობილი, და მრავალწახნა-

გა გამჭოლი ფანჯატურით მეორე სართულზე — აქ არის საკუთრივ სამრეკლო. განსახილველი ხანა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნამდე გრძელდებოდა, ე. ი. მას შემდეგაც, რაც საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ და მის კეთილდღეობას ძირი გამოუთხარეს. ქვეყანა მძიმე პოლიტიკურსა და ნივთიერ კრიზისს განიცდის, რაც, რა თქმა უნდა, მშენებლობის მასშტაბზეც ახდენს გავლენას. საქართველოს შუაგულ რაიონებში ახლა ბევრად უფრო ნაკლებს აშენებენ, მაგრამ მაინც აშენებენ, ეკლესიებსაც კი. მაშინდელი მშენებლობის ბევრად მეტი ნიმუშია დარჩენილი სამცხე-საათაბაგოში, ე.ი. საქართველოს სამხრეთ ნაწილში, რადგანაც შექმნილი ისტორიული ვითარების წყალობით, მონღოლთა უღელი იქ ნაკლებ საგრძნობი იყო, ცხოვრების პირობები კი უკეთესი.

მაგრამ XIII ს.-ის მიწურულში თავს იჩენს ზოგი ხარისხობრივი ცვლილებაც. ეს არის:

ა) რეაქცია XII საუკუნის დასასრულისა და XIII ს-ის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრების უკიდურესი რაფინირებისა და დეკორაციულობის წინააღმდეგ; ბ) ზოგი ადრინდელი (X-XI საუკუნეების) ხუროთმოძღვრული და დეკორაციული მოტივების რემინისცენციები; გ) წინანდელი ორგანული მთლიანობის დაკარგვა, ეკლექტიზმის ნიშნების გაჩენა; დ) ქვაზე ნაკვეთი მორთულობის მხატვრული ხარისხის დაქვეითება; შესრულება დუნეა, სახეები დანვრილმანებული, მშრალი, ტექნიკური დონეც უფრო დაბალი.

ყველა ეს ნაშანი უფრო მკაფიოდ იჩენს თავს მომდევნო ხანაში, XIV ს-ის მეორე ნახევრიდან. **XIII-XIV სს-თა მიჯნაზე აგებული ყველა მნიშვნელოვანი ძეგლებია: წმ.საბას ეკლესია საფარის მონასტარში, ზარზმის მონასტრის მთავარი ტაძარი და სამრაკლო (ორივე სამცხეში), თბილისის მთაწმინდის ეკლესია და ხოვის მონასტრის ტაძარი (სამეგრელოში).** საფარის მონასტერი, დაარსებული, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს X ს.-ისა, მდებარეობს ხეობის სიღრმეში, მთებით

გარემორტყმულ ადგილას. XIII ს. - ში იგი ეკუთვნოდა სამცხის მფლობელთ — ჯაყელებს, რომელთაც საუკუნის მიწურულში ააშენეს წმ.საბას ტაძარი.... მეტეხის ტაძარი, აგებული 1278-1289 წლებში, მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანაში, მანამდე არსებული ეკლესიის ადგილზე, დიდ როლს თამაშობს ძველი თბილისის განუყოფელი სილუეტის შექმნაში.... ამ ხანის საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები გაფანტულია მთელ საქართველოში. დიდად საინტერესოა სხვადასხვა დანიშნულების შენობები საქართველოს მონასტრებში — სამწუხაროდ, ეს შენობები საკმარისად შესწავლილი არ არის. **ოშკის მონასტერში დარჩენილია მოზრდილი ნაგებობის ნაშთები, ფიქრობენ, რომ ეს სემინარია-სატრაპეზო იყო.** სწორკუთხა დარბაზი ბოძებით სამ ნაგავადაა გაყოფილი ბაზილიკის მსგავსად. მის გვერდით სფერული გუმბათით გადახურული კვადრატული ოთახია. გუმბათი ეყრდნობა ტრომპებს, რომლებიც ამ დროს იშვიათად გვხვდება და ისიც არა საეკლესიო შენობებში. განათება ზემოდანაა, გუმბათის შუაში გაკეთებული სარკმლიდან. მიჩნეულია, რომ აქ მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა — სკრიპტორიუმი, ე.ი. სახელოსნო. სადაც წიგნების გადანერა წარმოებდა.

XI-XII სს. მიჯნაზეა აგებული **აგარის მონასტრის სატრაპეზო** (ახალციხის რაიონი, ურავლის ხეობა) - გრძელი, სწორკუთხა კამაროვანი დარბაზი, რომელსაც გვერდით დამატებითი დამხმარე სადგომი აქვს — ასევე ვიწრო გრძელი ოთახი. გარედან შენობა თლილი ქვითაა მოპირკეთებული და ერთნაფიან ეკლესიას მოგვაგონებს. სასახლეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გეგუთისა, ქუთაისის მახლობლად... მაგრამ თუ სანადირო ან "სააგარაკო" სახლი ასეთი იყო, უმთავრესი სამეფო სასახლეები (ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში), რომლებშიც, მრავალ სხვა სადგომთან ერთად, უნდა ყოფილიყო საზეიმო ცერემონიებისთვის განკუთვნილი დიდი დარბაზები, კიდევ უფრო მონუმენტური და შთამბეჭდავი იქნებოდა. საუბედუროდ,



დაუნის მონასტრის მოზაიკა

დრომ და მტრებმა არ დაზოგეს ეს სასახლეები. **წერილობითი ცნობები მოწმობს, რომ თბილისის სამეფო რეზიდენცია XII ს-ში მეტეხის ტაძრის გვერდით მდებარეობდა, მტკვრის კლდოვან ნაპირზე, და რომ მისი დარბაზები მოხატული იყო ქვეყნის სამხედრო ისტორიის სცენებით. გელათის აკადემია, არსებითად, წარმოადგენდა ერთადერთ დიდ დარბაზს კარიბჭითა და ვესტიბიულით: საქალაქო სახლების (ალბათ, საცხოვრებლების) ნანგრევები აღმოჩენილია დმანისისა და სამშვილდის საქალაქარებში, გუდარეხის მონასტრის ანსამბლში. მათი უმეტესობა დაზიანებულია. სტილის მხრივ სამოქალაქო შენობები უახლოვდება საეკლესიოს, მათი განსხვავება გამოწვეულია მხოლოდ ფუნქციური სხვაობით და ამასთან დაკავშირებით სხვანაირი კონკრეტული გეგმითა და მასებით. გარეგნულ მორთულობას სამოქალაქო შენობებში გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ეკლესიების ფასადებზე. საქართველოს ძველი სიმაგრეები ჩვენი ქვეყნის ბუნების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. დღეს ეს მხოლოდ რომანტიკული ნანგრევებია, რომლებიც გარემოს თავისებურ მეტყველებას ანიჭებს და სრულიად თავისებურ სილუეტებს ქმნის მდებარეობის მიხედვით. მაგრამ თავის დროზე მათი არსებობა სასიცოცხლო საკითხი იყო. სიმაგრეთა გარეშე ვერ იარსებებდა ვერც ერთი ფეოდალური ქვეყანა, ვერ იარსებებდა ვერც საქართველო. ციხესიმაგრე — ყველაზე მი-**

უვალიც კი — დაუზიანებლად, ბუნებრივია, დიდხანს ვერ გაძლებდა, რაკი ყოველი მათგანი ხშირი თავდასხმის საგანს წარმოადგენდა; ციხეებს ანგრევდნენ, ალადგენდნენ, კვლავ ანგრევდნენ და კვლავ ალადგენდნენ, ყოველთვის თავისი დროის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა შესაბამისად. ამიტომაც, რომ ციხეებზე ძნელად თუ ვიმსჯელებთ, როგორც ერთი რომელიმე გარკვეული ეპოქის მთლიან ძეგლებზე. ამდროინდელ — ე.ი. ცეცხლისმფრქვევი იარაღის წინააღმდეგ — ციხეებს არ გააჩნია სათოფურების სისტემა, რაც დამახასიათებელია უფრო გვიანდელი სიმაგრეებისთვის, ისინი ყოველთვის მოთავსებული არიან ძნელად მისადგომ მალღობებზე, თავს დაჰყურებენ და კონტროლს უწევენ ხეობას, ველს, გზას. გეგმები რთულია და არა გეომეტრიულად მოწესრიგებული, მოხაზულობა მისდევს გამოყოფილი ნაკვეთის მოხაზულობასა და რელიეფს (აღრინდელი ფეოდალური ხანის ციხეების გეგმები უმეტესად რეგულარული ხასიათისაა). კოშკები, ჩვეულებრივ, არ სცილდება ციხის გარე გალავნის ხაზის ფარგლებს, რაკი მაშინ ჯერ კიდევ არ ისმოდა ფლანკირების (ციხის კედლების მეციხოვნეთა ცეცხლით დაცვის) საკითხი. ყველა ციხესიმაგრე ქვისაა. ქვა, ჩვეულებრივ, საკმაოდ კარგადაა დამუშავებული, სწორკუთხაა, მაგრამ მაინც არ არის სუფთად გათლილი, როგორც ეკლესიების კედლებისთვის იხმარებოდა. ციხეები ისეა შეზრდილი მთასთან, კლდესთან, თითქოს მათგან იყოს აღმოცენებული: ზოგჯერ ძნელი გასარჩევია კია ბუნებრივი კლდე და ნაშენი კედელი. **ხარტვიში, ანჟური, ოძროსციხე (სამივე მისხეთში) მშვენიერი ნიმუშებია დიდი ციხეებისა, რომლებიც თავის დროზე დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში.**

დასასრული
შემდეგ ნომერში

3. პერიკი,
ძველი ქართული
ხუროთმოძღვრება

ნუნუ გაბუნია — 75

ნუნუ გაბუნია — კომპოზიტორი, მომღერალი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი... მისი მუსიკა ჟღერს მოსკოვში, რომში, ვენასა თუ ვარშავაში... წლები გადის, იცვლება ხელისუფლება და სახელმწიფო წყობაც, დროის სვლას თან ახლავს კერპების მსხვერვეა და ახლების გაჩენა... და მთელს ამ ორომტრიალში ნუნუ გაბუნია აგრძელებს თავისი საქმის კეთებას აქ, მშობლიურ თბილისში — მუსიკალურ ხელოვნებას აზიარებს თავის მრავალრიცხოვან მოსწავლეებს, წერს შესანიშნავ მუსიკას — სიმღერებსა და რომანსებს, ბალეტსა და მიუზიკლს, კამერულ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებსა და ოპერეტებს, მუსიკას თეატრალური წარმოდგენებისა და ფილმებისთვის.

მისმა ბავშვობამ რუსთაველის გამზირზე, ოპერის გვერდით მდებარე სახლში გაიარა. პატარობიდან ოპერის თეატრის სტუმარი იყო და ამან მის მომავალ პროფესიაზე დიდი გავლენა მოახდინა.

დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1966 წელს (საკომპოზიციო), 1970 წელს (ვოკალური). 1961-1968 წლებში მუშაობდა საბავშვო მუსიკალური გადაცემების რედაქტორად; 1971 წლიდან იყო საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ორკეს-



ტრის სოლისტი; შექმნილი აქვს: ნაწარმოებები მუსიკალური თეატრისათვის — საბავშვო ოპერა „შემოდგომიდან გაზაფხულამდე“ (1969, ორ ნაწილად), ოპერეტა „ნანა მღერის სიყვარულზე“ (1969, სამ ნაწილად), სამნაწილიანი ოპერეტა (1980); საესტრადო სიმღერები (ასზე მეტი) — „მეორე ლეგენდა“ (ა. გელოვანის სიტყვებზე), „იავნანა“ (დ. გვიშიანის სიტყვებზე), „სიმღერა თბილისზე“ (ბ. აბაშიძის სიტყვებზე), „საახალწლო“ (მ. ქვლივიძის სიტყვებზე), „სიმღერა სამშობლოზე“, „სიმღერა იეთიმ გურჯზე“, „სალაღობო“, „ჩემი თბილისი“, „10 ლირიული სიმღერა“ (1980, კრებული), „4 სიმღერა საქართველოზე“ (1983), „6 ლირიული სიმღერა“ (1983); საბავშვო სიმღერები (სამოცზე მეტი); მუსიკა სპექტაკლებისთვის (1963, თბილისის თოჯინების თეატრი, 1967, ქ. საგარეჯოს დრამატული თეატრი, 1968, ქ. თელავის დრამატული თეატრი, 1972-1976 წლებში, ქ. ახალციხის დრამატული თეატრი) და ანიმაციური ფილმებისათვის („მონადირე“ — 1968, „ლურჯა“ — 1973, „სახლობანა“ — 1975, „ბუღბუღლის იუბილე“ — 1978). მის სიმღერებს დიდი წარმატებით ასრულებენ ცნობილი საესტრადო მომღერლები; რამდენიმე სიმღერა წლის საუკეთესო სიმღერად იქნა დასახელებული (1974).

კომპოზიტორს თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით 2012 წელს ვარსკვლავი გაუხსნეს.

დღეს ნუნუ გაბუნია 75 წლისაა. წარმატებებს ვუსურვებთ ამ დიდ შემოქმედს, კვლავაც დიდხანს ელვანოს და გაემდიდრებინოს ქართული მუსიკის საგანძური.



ნუნუ გაბუნია მეუღლესთან — გიორგი აბაშიძესთან ერთად





ISSN 1987-5908



9 771987 590006